

გიორგი ადიბუგაძე  
ეკა დუღაძე  
თამარ მღებრიძე

# თარგმანის ისტორია

თბილისი  
2017

წიგნში მოცემულია თარგმანის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია უძველესი დროიდან გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. სხვადასხვა ქვეყნის მთარგმნელობითი საქმიანობის განხილვის მაგალითზე ნაჩვენებია ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი ძირითადი მთარგმნელობითი პრინციპები და ტენდენციები. ყურადღება გამახვილებულია იმ თარგმანებსა და კვლევებზე, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს მხატვრული თარგმანის განვითარების საქმეში. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია კ. კეკელიძის, რ. სირაძის, ქ. ბეზარაშვილის, გ. ხუხუნის სტატიები თარგმანის ისტორიის შესახებ. (Г. Т. Хухуни, Л. Л. Нелюбин. «Наука о переводе. История и теория с древнейших времен до наших дней». 2006.)

ნაშრომში მოცემულია აგრეთვე ძველი ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის მოკლე მიმოხილვა. სახელმძღვანელო განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თარგმნის სპეციალობის სტუდენტებისათვის და საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რედაქტორი: ფილოლოგიის დოქტორი  
ქეთევან ტატიშვილი

დამკაბადონებელი: თამარ ჭავჭავაძე

ISBN 978-9941-9457-3-1

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

# სარჩევი

|   |    |
|---|----|
| შესავლის მაგიერ.....  | 5  |
| ქართული ენობრივი მსოფლმხედველობა .....  | 5  |
| ძველი აღმოსავლეთის ძვეყნების თარგმანის ისტორიიდან .....                                 | 18 |
| 1. თარგმანის წინაისტორია .....  | 18 |
| 2. ძველი ეგვიპტე .....  | 18 |
| 3. წინა და მცირე აზიისა და შუამდინარეთის სამეფოები .....                                | 21 |
| ანტიკური ეპოქის თარგმანები და მთარგმნელობითი კონსტრუქციები .....                        | 24 |
| 1. ანტიკური კულტურის ცნება. ტერმინ „ანტიკურის“ განმარტებისათვის .....                   | 24 |
| 2. ბერძნულ ენაზე შესრულებული თარგმანები და მათი სპეციფიკა .....                         | 24 |
| 3. მთარგმნელობითი საქმიანობის დასაწყისი ძველ რომში .....                                | 27 |
| 4. რომაული თარგმანის გავითარება კლასიკურ ეპოქაში .....                                  | 30 |
| მსოფლიო რელიგიები და თარგმანის გავითარება.....  | 34 |
| 1. მსოფლიო რელიგიების გაგებისათვის .....  | 34 |
| 2. ბუდისტური ლიტერატურის თარგმანები .....   | 34 |
| 3. ძველი აღთქმის ლიტერატურა და ბერძნულ ენაზე თარგმანები .....                           | 36 |
| 4. ლათინური ბიბლიის შექმნა .....  | 39 |
| 5. ბიბლიის გადმოღება სხვა ევროპულ ენებზე და მასთან ბრძოლა .....                         | 42 |
| მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში .....                                    | 44 |
| სასულიერო მწარმოების ნიმუშები.....  | 47 |
| საერო ლიტერატურის თარგმანები.....   | 52 |
| მე. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი.....   | 60 |
| შუასაუკუნეობრივი თარგმანი და მისი შესაძლებლობანი.....                                   | 65 |
| 1. ტერმინ „შუა საუკუნეების“ შინაარსი .....  | 65 |
| 2. ეროვნული სიტუაცია შუა საუკუნეების ევროპაში .....                                     | 65 |
| 3. რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულებების თარგმანი .....                                      | 66 |
| 4. არსებული მთარგმნელობითი ტრადიცია და მისი ზეგავლენა<br>შუა საუკუნეების ევროპაზე ..... | 69 |
| 5. ბერძნული ორიგინალების თარგმანები .....   | 72 |
| 6. ინგლისური თარგმანის დასაწყისი .....  | 73 |
| აღორძინების ეპოქა და თარგმანის განვითარება .....  | 75 |
| 1. აღორძინების ეპოქის გაგებისათვის და მისი განმასხვავებელი ნიშნები .....                | 75 |
| 2. ენობრივი სიტუაცია აღორძინების ეპოქაში .....  | 75 |
| 3. რენესანსული ტრადიციის ბერძნულ-ლათინური თარგმანის დასაწყისი .....                     | 76 |
| 4. ჰუმანისტური თარგმანის განვითარება .....  | 77 |
| 5. აღორძინების ხანის მთარგმნელობითი კონსტრუქციები.....                                  | 78 |

# სარჩევი

|  |     |
|--|-----|
| რეფორმაცია და თარგმანის პრობლემები .....                             | 81  |
| XVII-XVIII საუკუნეების ევროპული თარგმანი.....                        | 82  |
| (კლასიციზმის პერიოდი) .....  | 82  |
| კლასიციზმის პერიოდის თარგმანის ძირითადი ნიშნები .....                | 82  |
| ფრანგული მთარგმნელობითი ტრადიცია .....                               | 83  |
| XVII-XVIII საუკუნეების ინგლისური თარგმანი .....                      | 86  |
| თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება გერმანიაში .....         | 88  |
| თარგმანი და ენობრივი კულტურა.....                                    | 90  |
| <br>   |     |
| XIX საუკუნის დასავლეთევროპული თარგმანი .....                         | 92  |
| რომანტიკული თარგმანის ძირითადი თავისებურებანი .....                  | 92  |
| რომანტიკული თარგმანი გერმანიაში .....                                | 93  |
| <br>   |     |
| 3. ზონ უმბოლტის მთარგმნელობითი კონცეფცია .....                       | 97  |
| <br>   |     |
| გოეთე და თარგმანის პრობლემები .....                                  | 99  |
| <br>   |     |
| XIX საუკუნის გოთე ნახევრის გერმანული მთარგმნელობითი ტრადიცია .....   | 102 |
| <br>   |     |
| ფრანგული რომანტიზმი და თარგმანის განვითარება .....                   | 104 |
| <br>   |     |
| XIX საუკუნის ინგლისური თარგმანი .....                                | 105 |
| <br>   |     |
| XX საუკუნის მთარგმნელობითი აზროვნება .....                           | 107 |
| XX საუკუნის თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ზოგადი დახასიათება ..... | 107 |
| <br>   |     |
| თარგმანის თეორიის განვითარება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში .....       | 109 |
| <br>   |     |
| აღმოსავლეთ ევროპის მთარგმნელობითი აზროვნება .....                    | 113 |
| <br>   |     |
| თარგმანმცოდნეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში .....                   | 115 |

# შესავლის მაგიერ

## ქართული ენობრივი მსოფლმხედველობა

ქართული ენა „ახალმა ნინომ მოაქცია და ჰელენე დედოფალმან“, – წერდა იოანე-ზოსიმე. ეს აზრი დღეს შეიძლება მეტაფორულად გვეჩვენოს, მაგრამ იოანე-ზოსიმე ამას პირდაპირი მნიშვნელობით ამბობს ისევე, როგორც ამბობდნენ ხოლმე: „მოქცევაჲ ქართლისაჲო“. ძველად ერთიანობაში გაიაზრებოდა „ერნი და ენანი“ (გამოცხ. 14,7). ენაც, სულიერი აზრით, ერს გულისხმობდა (ენა სულია ერისაო, – ეს აზრი ფუნდამენტურ პრინციპად შედის ვ. ჰუმბოლტის ლინგვისტურ კულტუროლოგიაშიც).

წმიდა ნინოს წყალობით დაფუძნდა სვეტი-ცხოველი (სიმბოლო ღვთაებრივი სულისა), და აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი, ხალხი მოინათლა, ჯვრები აღიმართა და საერთო-საქვეყნო ეკლესიური ქრისტიანობა დამყარდა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ერი საბოლოოდ მოიქცა. ერის საბოლოო გაქრისტიანება იწყება მაშინ, როცა გაქრისტიანდება მისი „ენა“, ე. ი. მისი ცნობიერება და მისი სული. ამიტომაც იოანე-ზოსიმემ ქართული ქრისტიანული ენის ქების კონტექსტში წმ. ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანება წარმოგვიდგინა მისი უმაღლესი რაობით – ქართული ენის მოქცევით.

ენის გაქრისტიანება კონკრეტულად იმით გამოიხატა, რომ ითარგმნა ბიბლიური წიგნები, უპირველეს ყოვლისა, სახარებანი და ფსალმუნი და შემდეგ ღვთისმსახურებაც დაწესდა ქართულ ენაზე. მაშასადამე, ენას დაეკისრა სრულიად ახალი რამ: სიღრმისეულად გამოეხატა ქრისტიანული სამყარო, რასაც თვით ენა უნდა ზიარებოდა. ე. ი. ენას უნდა წარმოეჩინა ისეთი შესაძლებლობანი, რაც მას მანამდე არ გამოემყუდვებინა. ეს იყო უდიდესი გარდატეხა, რომლის ტოლფარდი რამ არასდროს მომხდარა ქართული ენის ისტორიაში, არც მანამდე და არც მის შემდეგ. ეს იყო ქართული ენის უდიდესი გამოცდა, კერძოდ, გამოცდა მისი „დამტყვენებლობისა“ (როგორც წერია წმ. დიონისე არეოპაგელის ქართულ თარგმანში), ანუ შესაძლებლობისა, რომ ეტვირთა ახალი რწმენა და ახალი სიბრძნე.

იოანე-ზოსიმეს გააზრებით, ეს უნარი ქართულ ენას შესძინეს „ახალმა ნინომ და ჰელენე დედოფალმან“. წმ. ნინოს ეწოდება „ახალი“. ეს სიტყვა, ჩვეულებრივ გაგებასთან ერთად, „ახალ აღთქმაში“ გულისხმობს მარადგანახლებადსაც. შაიდ-

უმლო სერობაზე მაცხოვარი ამბობს: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა“. (მთ. 26, 28). პავლეს ეპისტოლეში წერია: „აჰა ესერა, იქმნა ყოველივე ახალ“ (II კორინთ. 5,17). მარადგანახლებადობის მოლოდინი კარგად ჩანს წმ. პეტრეს II ეპისტოლეში: „ახალთა ცათა და ახალსა ქუეყანასა მსგავსად აღთქუმისა მისისა მოველით“ (3,13) და „წმ. იოანეს გამოცხადებაში“ „ვიხილე ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი“ (21,1). ქრისტიანობა ახალი ცხოვრებაა (აქედან მოდის, მაგალითად, დანტე ალიგიერის ნაწარმოების სათაურიც – „ახალი ცხოვრება“). ძველია „კანონი“ („ათი მცნება“) მოსეს რჯულისა ძველი აღთქმიდან, ახალია „მადლი“ ქრისტესი, რომელიც წმ. ნინომ მოიტანა ქართლში. ახალი აღთქმის ქადაგება წმ. ნინოს დაუდასტურა საღვთო გამოცხადებამ ფარავნის ტბასთან ევანგელური „ათი სიტყვის“ (ანუ ათი მცნების) გადმოცემით („ახალის“ სხვა სემანტიკურ ასპექტებს ეხება თამაზ ჩხენკელი).

ყოველივე ამითაა გაშინარსებული ის, რომ წმ. ნინოს ეწოდა „ახალი“, თანაც ისეთ კონტექსტში, სადაც ენის მოქცევაზეა საუბარი. ქართული ენაც ხდება „ახალი“.

ქართული ენის გამაქრისტიანებლად დასახელებულია წმ. ჰელენე დედოფალიც, დედა წმ. კონსტანტინე იმპერატორისა, ქრისტიანული ბიზანტიის დამფუძნებლისა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად ამლიარებლისა და თავდაპირველი აიასოფიის ტაძრის აღმშენებლისა (აქაც ანალოგიებია წმ. მირიან მეფის ღვანლთან). წმ. ჰელენე დედოფალმა იერუსალიმში, გოლგოთას მთაზე იპოვა სამი ჯვარი: მაცხოვრის ვნებისა და ორიც მასთან ერთად ჯვარცმულებისა. წმ. ნინოს ძალისხმევის შედეგად აღმართეს პირველი ჯვრები. ეს ჯვრებიც იყო „ახალი“. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ პირველ ნაწილში ნათქვამია: „ნეტარსა ნინოს ჰელენეს სურვილით უწოდა დედოფლად და თვისა სწორად და სწორად წმიდათა მოციქულთა“. ამიტომაც იოანე-ზოსიმე განაცხადებს, რომ ჰელენე და ნინო არიანო „ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა“. მარიამ და მართა იყვნენ დები წმ. ლაზარესი, რომელნიც ოთხი დღის მკვდარი აღადგინა მაცხოვარმა, რაც მაცხოვრის აღდგომის წინამოსწავებად იქცა. იოანე-ზოსიმეს თქმით, ქართულ ენას სახარებაში „ლაზარე“ ჰქვია, რაც ქართული ენის სიმბოლური სახელდებაა და წარმოაჩენს ქართული ენის საღვთო ბუნებას, მის ლოგოსურ დანიშნულებას. ამიტომაც ქართული ენა აღდგება ესქატოლოგიური მომავლისათვის. ქართულმა ენამ კი საღვთო ბუნება შეიძინა, როცა იგი მოაქციეს წმ. ნინომ და წმ. ჰელენე დედოფალმა.

ქართულმა ენამ შეიძინა ლოგოსური ბუნება და ესქატოლოგიურ მომავალში (ანუ მეორედ მოსვლისას) იგი ამ ქრისტესმიერი შინაარსით შეესიტყვება „სხვათა

ენათა“, – აღნიშნავდა იოანე-ზოსიმე (არასწორია ისეთი გაგება, რომ თითქოს იოანე-ზოსიმე ამბობდეს, ესქატოლოგიურ მომავალში მხოლოდ ქართული ენა იქნებაო. ის ახსენებს „სხვა ენებსაც“. არც ის გამოირიცხება, რომ ასევე „სხვა ენის“ ლოგოსური ბუნებითაც განაცხადებს ღმერთი საიდუმლოებას).

არალოგოსური ბუნებით ერთი ენა ვერ გადასცემს სულიერ საიდუმლოს სხვა ენას (სწორედ ამისდაკვალად გაიგება ის, რომ „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“ ერთმანეთის ენის არმცოდნენი, ქართველი ბერი გაბრიელი და ლათინი ლეონი უგებენ ერთმანეთს).

გასაგებია, რომ ღვთისმეტყველი ჰიმნოგრაფი იოანე-ზოსიმე ქართული ენის რაობას განიხილავს ზეცნებითი აზროვნების ფორმით, მაგრამ ამას მაინც ახლავს ზოგიერთი ასპექტი, რომლებიც, თუნდაც მიახლოებით, ცნებით სიბრტყეზეც შეიძლება მოვიაზროთ: ა) „ენა“ შეიძლება გულისხმობდეს „ენა-აზროვნებას“; ბ) „ენა“ არის ერის „სული“, ანდა „გონი“ ერისა (იდეალისტური ფილოსოფიის ცნებათმეტყველების შესაბამისად); ე. ი. ენა ერის აზრთანყოობის განმსაზღვრელია; გ) ქრისტიანობაზე მოქცევის უმაღლესი გამოხატულებაა მოქცევა ენისა. ენის მოქცევა უნდა გულისხმობდეს ენის სულიერ ბუნებას.

როცა ითქმის: ენა მოიქცაო, – ეს თავისებურად მაინც უნდა გულისხმობდეს იმას, რასაც შემდგომ ენის ფილოსოფიაში ეწოდა „ენის შინაფორმა“: (ვ. ჰუმბოლტი, დ. უზნაძე). ენის შინაფორმა ზეცნობიერი ფენომენია. ესაა „სული“ ენისა. იგი განსაზღვრავს ენობრივი მსოფლხედვის რაობას, რაც გულისხმობს, რომ ყოველი ენა თავისებურად გამოხატავს სინამდვილეს. ამ აზრით ენა შემოქმედებაა (მ. ჰაიდეგერი). მისივე აზრით, „ენა ყოფიერების სავანეა“ (მ. ჰაიდეგერი). სინამდვილე ჩვენში ისეთნაირად შემოდის, როგორცაა ენა.

ქართული ენის ქრისტიანობაზე მოქცევა იმასაც გულისხმობს, რომ ენობრივი მსოფლხედვა ცვალებადია. ენათა დიდი გარდაქმნა სულიწმიდის მოფენით ხდება (სულიწმიდის მოფენისას მოციქულებს „ეჩუენნეს განყოფანი ენათანი ვითარცა ცეცხლისანი და დაადგრა თითოეულად კაცად-კაცადსა მათსა ზედა“. საქმე, 2,3). სულიწმიდის მოფენის შემდეგ მოციქულები ამეტყველდნენ სხვადასხვა ენაზე („და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყუად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყუად“. საქმე, 2,4). სულიწმიდის მიერ გაქრისტიანდა სხვადასხვა ენა. ამან განსაზღვრა აღმოსავლეთ საქრისტიანოში ღვთისმსახურების დანესება ეროვნულ ენაზე.

სულიწმიდის გარდამოსვლის მომსწრეთა შორის არ არიან დასახელებული „ქართველები“ („იბერები“), მაგრამ აქ მოიხსენებიან „მკვიდრი პონტოესანი“ (საქმე, 2,9), აგრეთვე, „მკვიდრი კაბადუკიისანი“. კაბადოკია და პანტო კოლხი-დას ესაზღვრებოდა და მათ მოსახლეობაში კოლხები შედიოდნენ. ამ მხარეში კი ქრისტიანობა იქადაგა წმ. ანდრია მოციქულმა. არა ჩანს, თუ როგორ განხორციელდა აქ ენის მოქცევა. მაგრამ ერთი რამ კი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და ჯერ კიდევ ამოუცნობელ საიდუმლოებათა შემცველი, რომ წმ. ნინო იყო კაბადოკიელი. კ. კეკელიძის მითითებით, წმ. ნინო იყო ქართველი (კაბადოკიელობა ამას უშვებდა).

წმ. იოანე ღვთისმეტყველმა აპოკალიპსურ ჟამს იხილა „ანგელოზი მფრინვალე შორის ცისა და ქუეყანისა და აქუნდა სახარებაჲ საუკუნოჲ ხარებად მკვიდრთა ქუეყანისათა და ყოველსა ერსა ზედა და ტომთა და ენათა და წარმართთა“ (გამოცხ. 14,6). მაშასადამე, ესქატოლოგიურ ჟამს იქნებიან „ერნი და ენანი“. ამასვე ამბობს იოანე-ზოსიმეც.

ენის მოქცევისა და „ახალი ენის“ ევანგელური კონცეფცია ჩანს წმ. მარკოზის სახარებაში: „რომელსა ჰრწმენეს და ნათელ იდოს, ცხოვნდეს, ხოლო რომელსა არ ჰრწმენეს, დაისაჯოს. ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდნენ, ენათა ახალთა იტყოდიან“ (16, 16-17). რწმენით იცვლება კაცთა და ერთა ბუნება და ეს ვლინდება „ახალი ენით“. ესაა ახალი „ენა-აზროვნება“ ანუ ლოგოსური ენა.

ყველაფრის სათავეა ევანგელური მოძღვრება „სიტყვაზე“ ანუ ლოგოსზე: „პირველითგან იყო სიტყუა და სიტყუა-იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (ი. 1,1). ცხადია, „სიტყვა“ აქ არ ნიშნავს ლექსიკურ ერთეულს, მაგრამ იგი გულისხმობს „თქმას“ იმ აზრით, რაც „შესაქმეთა“ წიგნშია: „თქუა ღმერთმან: იქმენინ ნათელი“ (1,1). ნათელი იქნა ღვთის სიტყვით, „თქმით“ ანუ ლოგოსით. ღვთის სიტყვა ძალია ღვთისა. იგია ძე-ღვთაება, ქრისტე. ნიშანდობლივია, რომ წმ. იოანეს სახარება იწყება სიტყვა-ლოგოსით. ასეთი დაწყება მიანიშნებს, რომ წინა სამ, სინოპტიკურ (თანხვედრილ) სახარებაში ქრისტეს შობა გულისხმობს მის განკაცებას, ხოლო თავისი არსით იგი მარადიულად არსებობდა („პირველითგან იყო“). სიტყვა-ლოგოსი საზრისია ცხოვრებისა.

სიტყვა-ლოგოსი გამაერთიანებელია სოფლისა და ზესთასოფლისა. ქართულ მწერლობაში ეს ყველაზე მეტად შეიძლებოდა მოეაზრებინათ სწორედ სოფლისა და ზესთასოფლის შესახებ მოძღვრების მიხედვით, რადგანაც იგი ძალზე

გავრცელებული იყო (რ. თვარაძე). „სიტყვა“ ადამიანის უმთავრესი ნიშანიცაა. იგია მისი ღვთაებრიობის ნიშანი. „სიტყვით“ ანუ ღვთაებრივი სულითაა ადამიანი სახე და ხატი ღვთისა. ამიტომ ღვთის რაობასაც ყველაზე მეტად გვახვედრებს სიტყვა. თვით ადამიანის „სიტყვა“ აერთიანებს სულიერ და ხორციელ ბუნებას, რადგან ადამიანის სიტყვა „ხორციქმნილი“ აზრია. სულხან-საბა ორბელიანი წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ მიხედვით განმარტავს „სიტყვას“. „განიყოფებისო სიტყვიერებაჲ სულისა შინაგან მდებარისა სიტყვისა და ხმოვანისა მიმართ. და არს შინაგანი მდებარე უკვე სიტყვა მოძრაობა სულისაჲ განმსიტყველობითისა ძალსა შინა ქმნილი, თვინიერ რომელი-ესე ვიდრემდე ხმა-ყოფისა“. „სიტყვა“ თავიდან ადამიანის სულშია. ისაა სათქმელი სიტყვის შინა-ფორმა. ის სულიერი რაობაა, „მოძრაობაჲ სულისა“. აქ ისიც იგულისხმება, რომ ადამიანური სიტყვები ცალ-ცალკე არსებობენ, ხოლო მათი შინა-ფორმები ზეცნობიერ მთლიანობაშია. ეს მთლიანობა ქმნის „ენას“, რომელიც მთლიანად ადამიანური მოვლენაა. ასე ედება საფუძველი ენის გაგებას „სიტყვაზე“ მოძღვრებით. ღვთაებასა და ენათა შორის მედიუმი ა სიტყვა, რომელიც ღვთის მიმართაც და ადამიანის მიმართაც გაიგება ქმნილებრივ-პიროვნულ რაობად (ს. ტრუბეცკოი).

ღმერთი არა ჩანს, მაგრამ მისი სიტყვა ისმის. ღმერთი ვლინდება სახისმეტყველებითი სიტყვით. არის გაცხადებული სიტყვა, არის იგავური სიტყვა („მოვალს ჟამი, ოდეს არღარა იგავით გეტყოდი თქუნ, არამედ გაცხადებულად“) (ი. 16,25) და არის უთქმელი სიტყვაც („მიიტაცა სამოთხედ და ესმნეს უთქმელნი სიტყუანი, რომელ არა ჯერ-არიან კაცთა სიტყუად“. II კორინთ. 12,10). საღვთო უნარია „თარგმანებაჲ ენათაჲ“ (I კორინთ. 12. 10). მონაფენი სთხოვენ იესოს: „გადმოგვითარგმნეო ჩუნ იგავი იგი ლუარძლისაჲ და აგარაკისაჲ“ (მთ. 13,36) და იესოც განუმარტავს მათ თავის იგავენს. ეს იგავები გარეგნულად სულ უბრალოა და მარტივი, მაგრამ ღრმა სიბრძნეს შეიცავენ. აქაა უნივერსალური სიბრძნე. ევანგელური სიტყვის უბრალოება დიდი საიდუმლოს შემცველია. ეს არის უმთავრესი სიტყვაზე (საერთოდ, ენაზე) ევანგელურ მოძღვრებაში: ადამიანს ენიჭება უნარი იღუმალების წინაშე პირისპირ დგომისა, რწმენითი სიტყვის შემეცნებისა, ე. ი. რწმენითი შემეცნებისა.

„იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში“ ნათქვამია:

„მიზეზნი არიან აღმძვრელ სიტყვისა და სიტყუაჲ მიმთხრობელ მიზეზთა, რომლისთვის პირველ მივლენან საგრძნობელთა და მიართვიან მიმღებელსა, და მიმღებელმან მისცის განმკითხველსა, და განმკითხველმან – დამმარხველსა. და ესრეთ დასახული იგი მოიქცეს და დაებერის ნესტუსა ენისა თვისისასა

და განგებულად ოხრინ, რაფთა კუალად სასმენელთა სხუათა მისცემდის თვით თანაზიარებითა სმენისაფთა“.

აქ ჩანს გზა „სიტყვის“ ქმედებისა: „მიმთხრობელი“-„საგრძნობელი“-„მიმღებელი“-„განმკითხველი“-„დამმარხველი“. ყველა მათგანს გაივლის სიტყვა. ესენი ცნობიერების საფეხურებია და არა პიროვნებანი (თორემ არ იქნებოდა „საგრძნობელთა“). ჯერ შეგრძნებაა, შემდეგ შეგრძნებულის გაცნობიერება („მიმღებელი“ ცნობიერება), მერე განსჯა („განკითხვა“) და დამახსოვრება („დამმარხველი“-შემნახველი ცნობიერება). ყველა მათგანს განმსჭვალავს სიტყვა და შთაბერავს ენას ხმოვანებას, რომელიც „სიტყვას“ გადააქცევს მოსასმენად ანუ პიროვნულ ენად. იგულისხმება, რომ მოსასმენი ენა პიროვნულია, ერთი პიროვნების მიერ ხმოვანდება. და სიტყვის ზემოაღნიშნული გზაც პიროვნებისეულია. პიროვნულია ადამიანური სიტყვაც და ღვთაებრივი ლოგოსიც.

აქ ისიც ჩანს, თუ რატომ ცხადდება ადამიანური ენის საფუძვლად „სიტყვა“ და იგულისხმება არა ლექსიკური ერთეული, არამედ „სიტყვა“, როგორც სულიერი აქტი, „სულის მოძრაობა“. ე. ი. საუბარია არა ენის ლექსიკურ შემადგენლობაზე („სიტყვის კონაზე“), არამედ ენის წარმოქმნის სულიერ საფუძველზე, ადამიანის, სულიერ-ხორციელი ბუნების მომართულებაზე. სიტყვას რაიმე მიზეზი აღძრავს, პიროვნებაში იგი ყალიბდება სიტყვა-აზრად და შემდეგ ის ცხადდება მეტყველ ენად. ენა სულიერი რაობაა თავისი არსით და არა თავისი ბგერითი ხმოვანებით (თუ განვაგრძობთ ამ აზრს, შეიძლება ითქვას, რომ პოეზია ესწრაფვის, რათა ბგერითი მხარე აქციოს სულიერ ფენომენად).

პავლე მოციქულის ეპისტოლეში სული კაცისა, მისი ენა და პიროვნული ბუნება ურთიერთკავშირშია გააზრებული (I კორინთ. 12,10-26). აქ იგულისხმება, რომ ენა (ცხადია, ლოგოსური ენა) სულია კაცისა, ისაა მისი ბუნების განმსაზღვრელი. ხოლო ბუნება კაცისა მისი მთლიანობაა, რომელიც არ დაიყვანება ერთ რაიმეზე. საამისოდ ასეთი ანალოგიაა მოტანილი: „ვითარცა-იგი გუამი ერთ არს, და მრავალი ასოები აქუს და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გუამისაჲ“ (12,12).

ქრისტიანული პერსონალიზმისა და ტაძრული ცნობიერების პრინციპთა მთლიანობის საფუძველზე ყალიბდება ერის, ვითარცა სულიერი ერთიანობის გაგება. ამ მთლიანობის ნიშანია ენა, ცხადია, ქრისტიანული ენა. სწორედ ენაა ერის არსობრივ რაობად გამოცხადებული გიორგი მერჩულის ცნობილ სიტყვებში: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კვირიელეი-

სონ ბერძულად ითქუმის“. ქრისტიანული ენა (ენა-აზროვნება, ენა საზრისი, ენა-ლოგოსი) განსაზღვრავს ქართველი ერისა და მისი ქვეყნის რაობას (გ. რამიშვილი).

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის მონოგრაფიაში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ წარმოდგენილია კულტურის ლინგვისტური პალეონტოლოგია და ფართოდაა გათვალისწინებული ქართული ენის მონაცემები. კერძოდ, ადამიანური სამყაროს ფუნდამენტური ფენომენების ასახვა ქართულ ენაში. ამ გზით დგინდება ქართული ენობრივი მსოფლხედვა, რაც განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ინდოევროპულ ენებთან. ვფიქრობთ, ყოველივე ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქართული სახისმეტყველების ტიპოლოგიის დასადგენადაც, ენის, როგორც კულტურული ფენომენის და მისი „შინა-ფორმის“ (დ. უზნაძე) გათვალისწინებით.

ერის რაობის გიორგი მერჩულისეულ განმარტებაში შედის სამი რამ: 1. ქართლი (საქართველო), 2. ქართულ-ქრისტიანული ენა და 3. სარწმუნოება. სწორედ ამ სამი სინმიდის მთლიანობაა მოცემული ილიას მიერაც: მამული-ენა-სარწმუნოება და ამ სამობაში ენას ღვთაება-ლოგოსის ადგილი უჭირავს.

ენა ყოფიერების სავანეაო, – მ. ჰაიდეგერის ამ აზრის „წინასწარმოსწავება“ ჩანს წმ. ეფრემ ასურის (IV ს.) მეუღაბნოეებისადმი მიმართულ სიტყვებში: მათ „ეკლესიად ჰქონდათო ენაჲ თვისი“. ესაა არსობრივი მნიშვნელობის მქონე ნააზრევი.

ერის რაობის ზემომოტანილ განსაზღვრაში ისიცაა შეტანილი, რომ ქართულ ქრისტიანულ ენას კავშირი უნდა ჰქონდეს ბერძნულთან; აქ ისახება გამომდინარე აზრი: ერისა და სარწმუნოების დაცვაა დაცვა ენის სინმიდისა (ამისი მრავალმხრივი გაგებით. ეს სიტყვაც – „სინმიდე“ – ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვიდან მოდის).

რა არის ენის ქრისტიანიზების უმთავრესი საფუძველი? ამ კითხვას წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე ასე პასუხობს: „ენათა-ღა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყვოდი, ხოლო სიყვარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელი ხმობედ. და მაქუნდეს ღათუ წინა-სწარმეტყუელებაჲ და ვუნყოფი ყოველი საიდუმლოჲ და ყოველი მეცნიერებაჲ, მაქუნდეს ღათუ ყოველივე სარწმუნოებაჲ, ვიდრე მათათაცა ცვალებადმდე და სიყუარული არა მაქუნდეს, არაჲვე რაჲ ვარ“ (I კორინთ. 13,1-2).

ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვის საფუძველთა საფუძველია სიყვარული. ესაა „აგაპე“, სიკეთით აღვსილი სიყვარული. ამ ეპისტოლეს ბოლოს განმარტებულია, რომ სამი რამაა ყველაზე არსებითი: რწმენა, სასოება და სიყვარული და სამთაგან უმთავრესია სიყვარული. ადამიანს სიყვარულით აღვსილი ენა მოაქცევს ქრისტიანად, ხოლო უსიყვარულოდ რაზედაც უნდა უბნობდეს ენა კაცისა, თუნდაც ანგელოზთა სათქმელის თქმას ესწრაფვოდეს და თუნდაც მათა შემძვრელ რწმენას, ის არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ქრისტიანი, ის არარაობაა, ე. ი. არაა სულით ცოცხალი ანუ მაცხოვართან ზიარებული (გავიხსენოთ, რომ წმ. შუშანიკი ეკითხება ვარსკენისგან წარმოგზავნილს: „უკეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა...“). ეპისტოლეს სიტყვები იმასაც გულისხმობს, რომ მეცნიერება ქრისტიანობის შესახებ ჯერ კიდევ არაა ქრისტიანობა, თუკი მეცნიერების ენა არაა გამსჭვალული ქრისტიანული სიყვარულით. ჩვენმა საუკუნემ აშკარად წარმოაჩინა, რომ დამღუპველია თვით უმაღლეს საიდუმლოებათა მწვდომი მეცნიერება და, საერთოდ, ყოველგვარი სიბრძნე, როცა ამას არ ახლავს დიდი სიკეთე. ატომურ საიდუმლოებათა წვდომა მეფისტოფელურ სიბრძნედ ექცა კაცობრიობას. როცა ხელოვნება უარყოფს სიყვარულს, მისი არარობა საჩინოდება. იწყება ანტიკულტურა. იგი ემყარება უსიყვარულო ცივილიზაციას, რომლის მიერ მხოლოდ მაღალფარდოვნად აღიქმება პოეტური „მტიციება“, რომ „უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე...“ დღეს ძალზე ხშირად ხელოვნების სხვადასხვა დარგთა „ენა“, ვითარცა ნიშანთა სისტემა, ადამიანის ბუნების უაზრო და უსარგებლო საიდუმლოებებს სწვდება. სატანურ წიაღს სწვდება უსიყვარულო ენა და თანაც იგი ესწრაფვის, საყოველთაო ენად იქცეს.

რასაკვირველია, ამის პარალელურად მოქმედებს ენის მარად განახლებადი ქრისტიანიზება, მუდმივი გასულიერება და გაცხოველება ენისა. ქრისტიანული მსოფლხედვისათვის ენის „განწყობას“ ანუ „მზაობას“ ქმნის სიყვარული. მან უნდა გამსჭვალოს ერის სულიერი წიაღი, ანუ შინა-ფორმა, რათა იქცეს კოლექტიურ ზეცნობიერ ძალად, ენის არსის განმსაზღვრელად. ენობრივი მსოფლმხედვა კი ერის მთელი კულტურის რაობის განმსაზღვრელია. როგორცაა ენა, იმნაირია კულტურა და მისი ნებისმიერი დარგი.

ენა ჯვარსახოვანი უნდა იყოს. ამ მეტაფორმაში სრულიად რეალური აზრი ძევს: ენით გამოთქმული ნებისმიერი სიტყვა თუ ნააზრევი ორმხრივ შეიძლება განვიხილოთ ერთი მხრივაა მათი კონკრეტული შინაარსი, მაგრამ, მეორე მხრივ, ამას უნდა ახლდეს სიკეთისკენ მიმავალი მიზანდასახულება. მაშასადამე, ერთმანეთს უნდა გადაკვეთდეს ამქვეყნიურობა (ჯვარში ჰორიზონტალური ხაზით

გამოხატული) და ზეადმართული სულიერება. ასეთი გაგებით, ენა სახეობრივი რაობაა: სათქმელი უნდა განასახოვნებდეს სიკეთეს. ამავე აზრითაა ნათქვამი: „ნიგნი მოაკვდინებს, ხოლო სული აცხოვნებსო“ (II კორინთ. 3,6).

ენა, ერთი მხრივ, სახეა რეალობისა, ხოლო, მეორე მხრივ, ვითარცა სული ადამიანისა, სახეა ღვთისა. პ. ფლორენსკის მოჰყავს პ. ჰერცის აზრი, რომ ბუნების შესწავლისას ჩვენ შინაგანად ვიქმნით სიმბოლოებს და მერე ლოგიკურად ვასისტემებთ მათ. ე. ი. სიმბოლურია თვით მეცნიერული ენაც და მეტადრე სიმბოლურია ენა სიკეთისადმი მიმართებაში.

წმ. ნინოს საქართველოს მინაზე უფლის ანგელოზი პირველად გამოეცხადა ფარავნის ტბასთან და „ჰრომაულებ“ ანუ ბერძნულად აუნყა „ათი სიტყვანი“, რომლებიც შემდეგ ქართულად იქნა ჩანერილი. ეს იყო უმეტესწილად სახარე-ბიდან მომდინარე „ათი მცნება“ ანუ „ქართული დეკალოგი“. იგი ქართულ ენას ბერძნულისაგან ეუნყა და შემდგომ გადაეცა ხალხს. აქედან იწყება ქართული ენის მოქცევა. „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ ორჯერაა მოტანილი ადგილები ქრისტიანული მრწამსიდან. სვეტიცხოვლის აშენების შემდეგ ქართული ენა შევიდა ქრისტიანულ ტაძარში. ენას დაეკისრა ტაძრული ცნობიერების გამოხატვა. ენა ეზიარა ლიტურგიულ ცნობიერებას. ითარგმნა ბიბლიური წიგნები, „წმიდანი წიგნი მონამეთანი“ და, სავარაუდებელია, რომ დაინერა უძველესი პლასტები „წმ. ნინოს ცხოვრებისა“. შეიძლება თავდაპირველად ეს მოხდა „ალოგლოტო-გრაფიის“ წესით ანუ „სხვა-ენაზე-ჩანერის“ წესით, რომელიც საჭიროებისას ქართულად გახმიანდებოდა (თ. გამყრელიძე). საამისოდ სავარაუდებელია შემდეგი ენები: ბერძნული, არამეული, ებრაული, სპარსული და თითქოს სომხურიც, მაგრამ ყველაზე მეტად, ალბათ, ბერძნული, რადგან ძალზე ნიშანდობლივია ზემო-დამონმებული ცნობა, რომ წმ. ნინოს ხელთა აქვს „ათი სიტყვა“ „ჰრომაელებრ“ ანუ ბერძნულად, რაც შემდეგ უნდა გახმოვანდეს ქართულად.

ენის ქრისტიანიზების ახალი საფეხური გამოიკვეთა VI საუკუნეში, როცა ჩვენში ფუძნდება სამონასტრო სისტემა, ყალიბდება ახალი სკოლა და ხდება ბიბლიის ქართული ადაპტაცია. „წმ. ევსტათი მცხეთელის ნამებაში“ ჩართული ე. წ. „ქართული თარგუმის“ (კ. კეკელიძე) სახით, ანუ ბიბლიის მოკლე შინაარსის განმარტებითად გადმოცემით. იოანე საბანისძის მიერ „ჩუეულებისაებრ მამულისა სღვის“ დაცვა ენის ქრისტიანიზების გაძლიერებას გულისხმობდა. სრულიად ახლებური აზროვნების წარმომაჩენელია, როცა ახალ მნიშვნელობას იძენენ სიტყვები: კარი, გზა, ტარიგი, მწყემსი, ლოდი, მარგალიტი, მარილი, ყვავილი და ა. შ. ისინი აღნიშნავენ ქრისტეს, წმ. ეპიფანე კვიპრელისეული სიმბოლიკის



ნივთისაგან მიუხეებელი წამომყენაო“ (ანუ წარმომედგინა საგნობრიობაზე ამაღლებული ღვთისმეტყველება). აქ სამი მიზანი იკვეთება: ა) არისტოტელისებრი ფილოსოფოსობა, ბ) ღვთისმეტყველური ჭვრეტა და გ) ყოველივე ამის საფუძველი, ენობრივი მსოფლხედვის ამაღლება. პეტრინისათვის ფილოსოფოსობა არაა საბოლოო სააზროვნო მიზანი. უმაღლესი მიზანია ღვთისმეტყველება და ეგვევა ენობრივი კულტურის ამაღლების მიზანიც. ამის ერთი-ერთი საინტერესო მაგალითია „ზევის“ მნიშვნელობის სახეცვლილება პეტრინის სიტყვახმარებაში. მის ნაშრომში ტრადიციული მითოსური შინაარსის გვერდით „ზევი“ იქცევა ფილოსოფიურ ტერმინად და აღნიშნავს ნივთიერი (ანუ „კერპული“) სამყაროს პირველსათავეს და ეს ხდება ქრისტიანული რელიგიურ-ფილოსოფიური კოსმოლოგიის კვლობაზე. ნივთიერი ანუ ზევსური სამყაროს მალა არსებობს წმიდა სულიერების საფუძველი. ასე იქცა „ზევი“ ქრისტიანულ ენობრივი მსოფლხედვის გამომხატველ ცნებად (იოანე პეტრინი მოჰყვება წმ. ბასილი დიდის პრინციპებს მითოსის ქრისტიანიზების შესახებ).

ქრისტიანული ენობრივი მსოფლხედვის თვალსაზრისით, განსაკუთრებულად რთული პრობლემების წინაშე დადგა ქართული ენა საერო მწერლობის აღმოცენების შემდეგ (XI-XII ს.ს.). აქ უნდა გავითვალისწინოთ ერთი არსებითი მნიშვნელობის გარემოება: საქართველოში არ გავრცელებულა ერეტიკული მიმდინარეობანი. არაორთოდოქსალურმა ტენდენციებმა თავისი გამოვლენა პოვა საერო მწერლობაში. საერო თხზულებებში მათ შესაძლებლობათა დონეზე ხდებოდა ამქვეყნიურ იდეალთა გამოხატვა და მათი შეთანხმება ქრისტიანობასთან. ეს მრავალმხრივ ვლინდებოდა. მოვიყვანოთ მხოლოდ ერთ კონკრეტულ მაგალითს: რუსთაველი თვით უმაღლესი საღვთო სიყვარულის სახელდებისათვის იყენებს არაბულიდან მომდინარე ტერმინს – „მიჯნურობას“. ამ სიტყვით აღინიშნება საღვთო სიყვარულიც („საქმე საზეო“) და „ხელობანი ქვენანიც“ ანუ ამქვეყნიური სიყვარული. ამას მიჰყვება პოემის სახისმეტყველებაც.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არის სწრაფვა სიტყვის განმარტებისას განიმარტებოდეს არა ამ სიტყვით აღნიშნული საგანი ან მოვლენა (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება), არამედ თვით სიტყვა. ეს ხდება სიტყვის სახისმეტყველებითი გააზრებით, რაც უმეტესწილად ემყარება ბიბლიას და სასულიერო მწერლობას.

საერო მწერლობაში პოეტური ენის ქრისტიანიზების ფრიად საინტერესო განხორციელებაა „დავითიანის“ ლირიკა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სამი ნაკადი: ერთია საერო ფორმით (შაირით) და არატრადიციული ლექსიკით ბიბლიურ თემაზე დაწერილი ლექსები („ჯვარცმის ამბავი“, „ტირილი ღვთისმშობლისა“),

„მოთქმა ხმით თავ-ბოლო ერთი“და სხვანი), მეორეა დავით ფსალმუნთმეტყვე-  
ლის შესხმანი, ხოლო მესამეა ხალხური ლექსების „ხმაზე“ დანერილი სასუ-  
ლიერო შინაარსის ლირიკა („ხარებობის დღის შესხმა“: „ახა წმიდა კოპალეს“  
სანაცვლოდ სიმღერალი“; „სიტყვა ესე ღვთისა, სიტყვისა-სიტყვად შეწყობილი  
და სწავლა საყვარლისა, ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სამღერად –  
„ეეო, მეო, ქალო ქალთა-მზეო“-ს სანაცვლოდ სათქმელი“; „სიმღერა ფერხისული  
„აგერ მიღმა ახოს“ სანაცვლოდ სათქმელი“ და სხვანი). ამ მესამე შემთხვევაში  
გამოყენებულია ხოლმე ფოლკლორული სიმღერის „ხმები“, ანუ სალექსო საზო-  
მი და პოეტური ინტონაცია. ხდება დესაკრალიზება მათი არასასულიერო და  
წარმართული შინაარსისა და მათი ქრისტიანული შინაარსით საკრალიზება, ე. ი.  
ქრისტიანულად მოქცევა მათი პოეტური ენისა: ის, რაც კოპალეს სადიდებლად  
იმღერებოდა, ხარების დღის შესხმად გარდაიქმნება და ამ გზით ხდება პოეტური  
ენის გაქრისტიანება.

ვფიქრობთ, რომ უპირველესად სწორედ ამ მხრივ უკაშირდება დავით გუ-  
რამიშვილის რელიგიურ ლირიკას ვაჟა-ფშაველას „სიმღერები“. და სწორედ ამ  
მხრივ უნდა მიეჩნია ვაჟა-ფშაველას თავის უმთავრეს წინაპრად დავით გურა-  
მიშვილი (ამის სპეციალური შესწავლა, ალბათ, წარმოაჩენს, რომ ვაჟა-ფშაველას  
პოეტური ენა ქრისტიანულია და არა წარმართული).

ქართული ენის შემოქმედებითი პოტენცია მის ქრისტიანულ წიაღშია და არა  
წარმართულში. ეს ცნობიერადაც ვლინდება და ქვეცნობიერადაც. მაგალითად,  
როცა ვისმე ვახასიათებთ სიტყვით – „უმსგავსო“, არცკი ვაცნობიერებთ, თუ  
ვის მსგავსებას დაშორდა ეს პიროვნება. არადა, აქ იგულისხმება, რომ ბიბლი-  
ური სწავლებით ადამიანი შეიქმნა ღვთის მსგავსად, ხოლო უკეთური ადამიანი  
„განემსგავსება“ღმერთს და ამ აზრითაა „უმსგავსო“. სიტყვა – „ერთსულოვნება“  
სულიერ კავშირს გულისხმობს.

ასევე ქრისტიანობით უნდა აიხსნას მნიშვნელობა სიტყვებისა – „წყალობა“,  
„მონყალება“. ქართულში პიროვნების მიერ ქრისტიანობის მიღება დაუკავშირ-  
და ნათელს („მონათვლა“, რასაც მეგრული ენობრივი მსოფლხედვაც მიჰყვება:  
„თანაფა“ – განათება აღდგომასაც აღნიშნავს). მაგრამ „წყალობაში“ უნდა და-  
ვინახოთ წყლით განბანვის პატივი, რომელიც მონათვლისას ხდება და არა პრე-  
ისტორიულ ქართველთა უდაბნოში ცხოვრებისას წყლის ნატვრის გადმონაშთი.

მხატვრული სიტყვა ემყარება სიტყვათა სემანტიკურ ბინარულობას. ქარ-  
თულში სიტყვათა სემანტიკურ ბინარულობას ხშირად ქრისტიანული ენობრივი

მსოფლზედვა განაპირობებს. ამ მხრივ, მიზანშეწონილია დაკვირვება სულიერ სფეროთა აღმნიშვნელ სიტყვებზე, რომლებსაც მეორე, ყოფითი მნიშვნელობაც აქვთ: სიტყვა (ლექსიკური ერთეული და ლოგოსი), ერთი (რიცხვითი სახელი და ღვთიური ყოვლისმთლიანობა), სამყარო (ქვეყნიერება და სულიერი ზეცა), სამოთხე (ბალი და სულეთი), ქვეყანა (მინა და ქრისტიანული ოიკუმენა), სახე (პირისახე და არსობრივი „ფორმა“), ასო (ბგერის ნიშანი და პირველელემენტი), ქალაქი (საცხოვრისი და სულიერად მონესრიგებული გარემო), სული (სამშვენივლი და მსოფლიო ძალა), გონი (აღამიანის თვისება და მსოფლიო ძალა).

ყოველ მათგანს სულიერი მნიშვნელობა ქრისტიანობამ შესძინა. ქრისტიანობამვე მოაწესრიგა მათი ყოფით და სულიერ მნიშვნელობათა ურთიერთმიმართებანი. ქრისტიანულ სააზროვნო კულტურას ასაჩინოებს სიტყვათა პოლისემანტიკურობა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სიტყვათა შინაარსი ლოგოსურია. გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „სიტყვა? სხვა არის ფიქრი ამაზე, ლოგოსი, აზრი მისი რაც არი“.

წინასწარი სახით ენის ქრისტიანიზება ასე შეგვიძლია შევაჯამოთ:

1. სიტყვათა წარმართული შინაარსის დესაკრალიზება და ქრისტიანულად საკრალიზება: მონათვლა (წარმართობაში – ნათელთან ზიარება და ქრისტიანობაში – ქრისტესთან ზიარება), სამოთხე (ბალი და სამოთხე), დედოფალი (წარმართობაში-დედა-უფალი ანუ ქალ-ღმერთი; ქრისტიანობაში – სულიერი დედოფალი ღვთისმშობელი, წმ. ნინო), ხუცესი (წარმართობაში უხუცესი და ქრისტიანობაში – მღვდელი), ზევსი (ღვთაება, პეტრინთან – საგნობრივი სამყარო), და სხვ.
2. სიტყვათა ეტიმოლოგიური კავშირი ქრისტიანობასთან: სახიერი (კეთილი, ღვთის სახის მქონე), უმსგავსო (ღმერთთან მსგავსების არმქონე), მონამე (ღვთის რწმენის დამმონმებელი, აქედან – ტანჯული, მარტვილი) და მისთანანი.
3. „ყოფითი“ სიტყვის გაქრისტიანება: დედა (დედაო, – ასე მიმართავს მირიანი წმ. ნინოს), მამა, და, ძმა, სახლი (სახლი ღვთისა) და ა. შ.
4. სიტყვათა ახლებური სიმბოლიზება (მაგალითად, კარი, კრავი, კლდე, გზა, მზე და ა. შ.).
5. ენის ზიარება ქრისტიანულ სიტყვიერებასთან (ბიბლია, ეგზეგეტიკა და ა. შ.); სახელთა სიმბოლიზება: ადამი, ევა, აბელი, კაენი, იუდა, მოსე, აბრაჰამი და სხვ.
6. ენის ზიარება ტაძრულ ცნობიერებასთან, რწმენითი ცნობიერების დანერგვა და ლიტურგიული ცნობიერება ენობრივ მსოფლზედვაში.

# ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების თარგმანის ისტორიიდან

## 1. თარგმანის წინაისტორია

ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის განსაკუთრებული ფორმის, თარგმანის ჩასახვა, სავარაუდოდ, უძველეს წარსულს უკავშირდება, როდესაც სხვადასხვა ენობრივ ტომებს შორის პირველი კონტაქტები დამყარდა. ბუნებრივია, ეს კავშირი მხოლოდ ზეპირი სახით ხორციელდებოდა და სპორადული ხასიათისა იყო. რაიმე წყარო, რომლითაც თარგმანის განვითარების ამ ყველაზე ადრინდელი ფაზის შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლეოდა, არ მოიპოვება, რამდენადაც კაცობრიობის განვითარების საწყის ეტაპზე დამწერლობა არ არსებობდა.

ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ჩამოყალიბებამ, მათ შორის სხვადასხვა ურთიერთობის დამყარებამ (პოლიტიკის, სავაჭრო, სამხედრო, კულტურული და სხვ.) თანდათანობით განავითარა მთარგმნელობითი მოღვაწეობა და აამაღლა მისი მნიშვნელობა. სწორედ ამ დროიდან შეიძლება საუბარი მთარგმნელო-პროფესიონალებზე, რომელთათვისაც მთარგმნელობა ძირითადი საქმიანობა გახდა; კერძოდ, ასე დგას საკითხი ძველ ეგვიპტესა და შუამდინარეთის ქვეყნებში, რომლებიც კაცობრიობის ცივილიზაციის აკვნებად ითვლებიან.

## 2. ძველი ეგვიპტე

ძველი ეგვიპტის სახელმწიფოებრიობა ქრისტეს შობამდე დაახლოებით 3000 წელს ჩაისახა. ტრადიციულად მასში გამოიყოფა: ადრეული სამეფოს ეპოქა, რომელსაც თინის პერიოდიც ეწოდება, რადგან ქვეყნის დედაქალაქი თინი იყო (2950-2640 წ.წ.), ძველი სამეფო (2640-2160 წ.წ.), პირველი გარდამავალი ხანა (2160-2134 წ.წ.), შუა სამეფო (2134-1785 წ.წ.), მეორე გარდამავალი პერიოდი (1785-1557 წ.წ.), ახალი სამეფო (1552-1070 წ.წ.), დაბოლოს, მოგვიანო ხანა (1070-343 წ.წ.). ქრისტეს შობამდე 343 წლიდან 322 წლამდე ეგვიპტე სპარსელებმა დაიპყრეს, შემდეგ ალექსანდრე მაკედონელმა დაიმორჩილა და იქ პტოლემეოსთა დინასტია გაბატონდა; მისი საფუძვლის ჩამყრელი ალექსანდრე დიდის ერთ-ერთი თანამოღვაწე იყო; ქრისტეს შობამდე 30 წლიდან კი ის რომაელებმა დაიქვემდებარეს.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ეგვიპტეს არაერთ ხალხთან ჰქონდა ურთიერთობა, რაც, ბუნებრივია, მთარგმნელთა პროფესიის საჭიროებას გულისხმობს, ძველ და შუა სამეფოთა პერიოდების ტექსტებში „უფროსებისა“ და მათი „ხელმძღვანელების“ მოხსენიება მკვლევრებს ავარაუდებინებს, რომ ამ დროისათვის ქვეყანაში არა მხოლოდ თითო-ორი მთარგმნელი იყო, არამედ მათი პროფესიული ჯგუფებიც არსებობდნენ, რომლებიც, ალბათ, ან სამეფო კანცელარიაში ან ტაძრებში მოღვაწეობდნენ. ამას მოწმობს უკვე ძველ და შუა სამეფოთა ეპოქაში შექმნილ ტექსტებში დაფიქსირებული სიტყვა, ტრადიციულად ინტერპრეტირებული როგორც „ს“-„მთარგმნელი“ და გამოყენებული ისეთ კონტექსტებში, რომელთაც მეცნიერები „მთარგმნელთა უფროსად“ და „მთარგმნელთა ხელმძღვანელად“ შიფრავენ.

მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეგვიპტის ურთიერთობამ შუამდინარეთის ქვეყნების ხალხებთან: ასირიელებთან, ხეთებთან, ბაბილონელებთან და სხვა, რომლებიც უმთავრესად ეგვიპტის ახალი სამეფოს ეპოქაში არსებობდნენ. ჩნდება მწერლების (გადამწერთა) სპეციალური სკოლები, რომლებშიც სხვადასხვა საგანს შორის შეგირდებს უცხო ენასაც ასწავლიდნენ. რამდენადაც ქრისტეს შობამდე II ათასწლეულში წინა აზიის საერთაშორისო ენა აქადური, მესოპოტამიის და ასირიის ძველი მოსახლეობის ენა, იყო, ეგვიპტელი ფარაონები დიპლომატიურ მიმონერას მეზობელი ქვეყნების მმართველებთან სწორედ აქადურად აწარმოებდნენ. შემორჩენილია ქრისტეს შობამდე XIV საუკუნის არქივი, სადაც 4000-მდე წერილი ინახება; შემორჩენილია ქრისტეს შობამდე XIV საუკუნის არქივი, სადაც ინახება ლურსმულით შესრულებული 4000-მდე წერილი, რომელთა ადრესატები ეგვიპტის მმართველები არიან. არქივი არქეოლოგიური გათხრებისას ეგვიპტური დასახლების – ამარნის მახლობლად აღმოაჩინეს (აქედანაა სახელდება თელ-ელ-ამარნის არქივი). თავის მხრივ, თურქულ დასახლება ბოლაზკეისთან არქეოლოგებმა ხეთელი მეფეების არქივს მიაგნეს, რომელშიც ეგვიპტელი ფარაონებისადმი აქადურ ენაზე ლურსმულად შესრულებული წერილებიცაა დაცული.

გასაგებია, რომ ამგვარი დიპლომატიური აქტიურობა კვალიფიციურ მთარგმნელთა სათანადო რაოდენობას მოითხოვდა – მათ უცხო ქვეყნის მმართველებთან მიმონერა უნდა შეძლებოდათ. როგორც თელ-ელ-ამარნის არქივი ადასტურებს, ძველ ეგვიპტელებს სპეციალური ტექსტებიც კი ჰქონდათ, რომლებიც აქადური ენისა და ლურსმული დამწერლობის სახელმძღვანელოთა ფუნქციას ასრულებდნენ.

ფარაონ რამზეს II-ის მმართველობის პერიოდში (XIII ს. ქრისტეს შობამდე), დაახლოებით 1280 წელს, ხეთის მეფე ხათუსილისთან დაიდო ხელშეკრულება. ეს დოკუმენტი თავიდან აქადურ ენაზე შეიქმნა და რამზესს მიუტანეს; მას ჩაუტარდა რედაქტირება, თავიდან ითარგმნა აქადურად და ხეთის მეფეს გადაუგზავნეს. რამდენადაც ორივე ვერსიაა შემონახული, მეცნიერებმა ისინი ერთმანეთს შეადარეს და დაასკვნეს, რომ ორივე მათგანი შიანარსობრივად ერთი და იგივე ტექსტია, მაგრამ ეგვიპტური ვარიანტი მეტი სიზუსტით გამოირჩევა.

წყაროები არა მხოლოდ ძველეგვიპტელი მთარგმნელების არსებობას ადასტურებენ (მათზე საუბარია ბაბილონელი მმართველების მიერ ეგვიპტელი ფარაონებისადმი გაგზავნილ წერილებში, სადაც აღნიშნულია, რომ ეს მთარგმნელები ბაბილონში დიპლომატიურ მისიასთან ერთად ჩავიდნენ); „ისტორიის მამად“ სახელდებული ბერძენი ავტორის, ჰეროდოტეს (V ს. ქრისტეს შობამდე) ცნობით, რომელიც ეგვიპტეს ეწვია, მთარგმნელები ცალკე ფენას წარმოადგენდნენ; მათ ვაჭრებსა და მესაჭეებს შორის ეკავათ ადგილი (თუმცა მოყვანილი ინფორმაცია სხვა წყაროებით არ დასტურდება); თელ-ელ-ამარნის არქივის მონაცემებით, აქადურის გარდა, ძველეგვიპტელმა მთარგმნელებმა სხვა ენებიც იცოდნენ (მაგალითად, ხეთური და ხურიტული). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბერძნულიდან მთარგმნელთა საქმიანობა ქრისტეს შობამდე უკვე I ათასწლეულში; სწორედ მათი მეშვეობით ესაუბრებოდა ზემოდხსენებული ჰეროდოტე ეგვიპტელებს. ეგვიპტურ-ბერძნული თარგმების მნიშვნელობა არსებითად აღექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ გაიზარდა, როდესაც ბერძნული სახელმწიფო ენად დამკვიდრდა; ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ბერძნული არ იცოდა, სახელმწიფო აპარატის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირონი იყვნენ მთარგმნელები, ამიტომ მრავალი მნიშვნელოვანი დოკუმენტი ორ ენაზე იქმნებოდა. ამგვარი ბილინგვებიდან ყველაზე ცნობილი როზეტის ქვაა, რომლის ტექსტიც ქრისტეს შობამდე 196 წელსაა შესრულებული, სწორედ თარგმანებმა შეუწყო ხელი ფრანგ მეცნიერს, ფ. შამპოლიონს, სათავე დაედო ძველეგვიპტური იეროგლიფების გაშიფრისთვის.

ინტერესმოკლებული არ იქნებოდა იმის აღნიშვნაც, რომ ქრისტეს შობამდე უკვე XIV-XIII საუკუნეებში წყაროები კონკრეტულ მთარგმნელის, ქურუმ ანხურმესის შესახებ გვაუწყებენ, რომელიც, თავისი სილატაკის მიუხედავად, მთარგმნელი გახდა და მრავალი ენა „ზეპირადმოიწუართნა“.

დაბოლოს, ძველ ეგვიპტეში შეიძლება საუბარი ე. წ. „ქრონოლოგიურ“ თარგმანზე, ანუ ტექსტების ენის არქაული ფორმების შედარებით გვიანდელზე გადმოღების შესახებაც. ეს როგორც თავად ენის ევოლუციასთან, ასევე დამწერლობის სისტემის—იეროგლიფების დემოტიკური დამწერლობით შეცვლასთან იყო დაკავშირებული. ეს მოხდა, მაგალითად, ძველეგვიპტური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ძეგლის – „მიცვალებულთა ნიგნის“ შემთხვევაშიც.

ამგვარად, ძველი ეგვიპტის სახელმწიფოებრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საკმაოდ ინტენსიური მთარგმნელობითი მოღვაწეობის არსებობა უდავოდ დასტურდება, რაც აშკარად ჩანს ზემოთ მოყვანილი მონაცემებით—მაგრამ უმეტესწილად სახეზეა საინფორმაციო—საკომუნიკაციო ტექსტები; ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნის ნიმუში ძველეგვიპტურ ცივილიზაციაში არ გვხვდება, თუმცა გამოთქმულია არაერთი მოსაზრება უცხოენოვან მწერლებთან შესაძლო კონტაქტების თაობაზე.

### 3. წინა და მცირე აზიისა და შუამდინარეთის სამეფოები

ამ რეგიონის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ცივილიზაციათა დახასიათებისას მეცნიერენი ყურადღებას მრავალი ენის, უკიდურეს შემთხვევაში, ორენოვნების არსებობის შესახებ ამახვილებენ. განსახილველი რეგიონში შემავალი ქვეყნების უძველეს კულტურად შუმერული ითვლება, რომლის ლურსმული ძეგლებიც ქრისტეს შობამდე IV ათასწლეულს განეკუთვნება. თავისი ისტორიის ადრეულ ეტაპზე შუმერები აქადელებმა დაიმორჩილეს, მაგრამ დამპყრობლები თავად მოექცნენ შუმერთა კულტურული გავლენის ქვეშ. ამან უდიდესწილად შეუწყო ხელი მთარგმნელობითი მოღვაწეობის განვითარებას, ამასთანავე, არა მხოლოდ საინფორმაციო – კომუნიკაციურის, არამედ – ლიტერატურულიც; ამის უზრუნველსაყოფად იქმნებოდა შუმერულ-აქადური ლექსიკონები და სახელმძღვანელოები. ცნობილია, ასევე, გამოთქმათა შემცველი ხელნაწერები ორ შუმერულ დიალექტზე, რომელთაგან ერთი კულტურის, ხოლო მეორე სახალხო ენად გამოიყენებოდა. ტექსტებში იშვიათად მთარგმნელებიც არიან მოხსენიებული.

მთარგმნელობითი საქმიანობის განვითარებაში დიდი როლი შუმერულმა სკოლებმა შეასრულეს, რომლებშიც მომავალი გადამწერნი განისწავლებოდნენ.

განათლების მიღების შემდეგ ისინი ვალდებულნი იყვნენ, განეხორციელებინათ როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი თარგმანი შუმერული ენდიდან აქადურზე და – პირიქით. დღემდე მოღწეულმა ძველევგვიპტური ენის ლურსმულმა სახელმძღვანელომ მკვლევარებს ავარაუდებინა, რომ ეგვიპტურიდან მთარგმნელებიც არსებობდნენ.

მართალია, შუმერული ენა მრავალი საუკუნის მანძილზე საკულტო მიზნებით გამოიყენებოდა, მაგრამ თავად შუმერები თავიანთი ქვეყნის ბაბილონელთა მიერ საბოლოოდ დაპყრობის შემდეგ აქადურ ეთნოსს შეერწყნენ. შუმერული ცივილიზაციის მემკვიდრემ, ბაბილონურმა კულტურამ მისგან ბევრი რამ შეითვისა, და მნიშვნელოვანი წვლილი ამ საქმეში სწორედ თარგმანმა შეიტანა. ცნობილია, რომ აქადურ ენაზე სხვადასხვა შუმერული ტექსტი ითარგმნებოდა და მუშავდებოდა; ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბაბილონში, საინფორმაციო-საკომუნიკაციო თარგმანებთან ერთად, საკმაოდ განვითარებული მხატვრული თარგმანიც არსებობდა. სპეციალური ტერმინებიც კი შემოიღეს მთარგმნელთა აღსანიშნავად: უფრო ძველი „თარგანუ (მ)“, რომელიც შემდგომ მრავალმა ენამ ისესხა (შდრ. : ქართული „თარგუმი“, „თარგმანი“ „თარგმანება“, ან მოძველებული რუსული „დრაგომან“), და ახალბაბილონურ პერიოდში გაჩენილი „სეპირუ“. ტექსტთა ანალიზი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა სახის სეპირუს ჯგუფი არსებობდა (სამეფო, ტაძრის, სამხედრო და სხვ.); საქმიანობდნენ ისინი კერძო პირებთანაც; ამასთანავე, დღემდე კონკრეტულ გადამწერთა სახელებმაც მოაღწიეს; ისინი მთარგმნელობით ფუნქციას ასრულებდნენ როგორც ბაბილონელთათვის, ასევე —უცხოელთათვის.

ქრისტეს შობამდე VII საუკუნეში აქადური, რომელიც დიდი ხნის მანძილზე საერთაშორისო ენა იყო, არამეულმა შეავინროვა, რაც მთარგმნელობით მოღვაწეობაზეც აისახა. ყველაზე ცნობილია ქრისტეს შობამდე VII-VI საუკუნეებში შექმნილ მოთხრობასთან („ახიკარის მოძღვრება“) დაკავშირებული შემთხვევა: თავდაპირველი ასირიული ტექსტი ანტიკურ ეპოქაშივე ითარგმნა ძველ ბერძნულად (როგორც ვარაუდობენ, ეგვიპტეში, სადაც აღმოჩნდა კიდეც დასახელებული ნაწარმოების ორიგინალი), ხოლო მოგვიანებით, შუა საუკუნეებში – სხვადასხვა აღმოსავლურ და დასავლურ ენაზე, ძველი რუსულის ჩათვლით, რომელზეც მიიღო სახელწოდება „თხრობა აკირ ბრძენზე“.

მთარგმნელობითმა საქმიანობამ თვალსაჩინო როლი ხეთურ სამეფოში ითამაშა, რომელიც მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში ქრისტეს შობამდე XVIII-XII საუკუნეებში არსებობდა. რამდენადაც ხეთური კულტურის ჩამოყალიბებაზე

მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჩრდილოეთ მესოპოტომიასა და ჩრდილოეთ სირიაში მცხოვრებმა ხურიტებმა იქონიეს, ამდენად, ხეთურ ენაზე უამრავი ხურიტული ტექსტი ითარგმნებოდა, სხვა ენებიდანაც მიმდინარეობდა გადმოღება, კერძოდ, აქადურიდან და შუმერულიდან, რაზეც ტექსტები და ლექსიკონები მეტყველებენ, რომელებიც თურქული დასახლების, ბოლაზკეის მახლობლად ლურსმული დამწერლობის არქივში აღოაჩინეს; მაგრამ იმ პრინციპების შეფასება, რომლებითაც ხეთელი მთარგმნელები ხელმძღვანელობდნენ, ფრიად ძნელია, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მათ მიერ სრულდებოდა სხვადასხვა ტიპის თარგმანები (სიტყვასიტყვითი, პნკარედული, თავისუფალი, თხრობა-გადმოცემა). შუმერულიდან და აქადურიდან გადმოღებულ თარგმანებში მკვლევრები ტექსტების ლიტერატურულად დამუშავებისკენ სწრაფვასაც შენიშნავენ.

მთარგმნელობითი მოღვაწეობის გარკვეული დონე სხვა აღმოსავლური ცივილიზაციების გაცნობის დროსაც გამოიკვეთება: ირანულის, ინდურის და ა. შ. ამასთანავე, უნდა შეინიშნოს, რომ, მოპოვებული წყაროების მიხედვით, მიუხედავად სიმრავლისა და მრავალფეროვნებისა, უპირველეს ყოვლისა, პრაქტიკული მიმართულება შეინიშნება: მთარგმნელობითი კონცეფციის შექმნის დრო ჯერ არ დამდგარიყო.

# ანტიკური ეპოქის თარგმანები და მთარგმნელობითი ჟონსეფსიები

## 1. ანტიკური კულტურის ცნება. ტერმინ „ანტიკურის“ განმარტებისათვის

ტერმინი „ანტიკური“ (ლათინური სიტყვიდან „antiquus“ – „ძველი“) ორი უძველესი საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის-ბერძნულისა და რომაულის აღსანიშნავად გამოიყენება. ამ ტერმინის ასეთი შეზღუდული ხმარება (აღმოსავლეთის ზემოთ განხილული ცივილიზაციები ხომ გაცილებით ადრინდელია „ანტიკურ“ საბერძნეთსა და რომზე!) ევროპულ ტრადიციაში იმის გამო დამკვიდრდა, რომ დასავლეთის ხალხები მათთან უშუალო კულტურული მემკვიდრეობით იყვნენ დაკავშირებულნი, და მოიაზრებიან კვლავაც ბერძნულ-რომაული ცივილიზაციის გამგრძელებლებად. ამასთანავე, თითოეული ინდივიდუალურია, მათ შორის, მთარგმნელობითი ტრადიციების ასპექტით.

## 2. ბერძნულ ენაზე შესრულებული თარგმანები და მათი სპეციფიკა

ძველი ბერძნული ლიტერატურის თავისებურებების გამოკვეთისას ხშირად აღნიშნავენ, რომ ევროპული მწერლობიდან ის ერთადერთია, რომელიც დამოუკიდებლად, სხვა ლიტერატურათა უშუალო გამოყენების გარეშე ვითარდებოდა. მართალია, აღმოსავლური ელემენტები მასში აღწევდა, მაგრამ ეს უმთავრესად ზეპირი, „ფოლკლორული“ გზით ხორციელდებოდა. ასეთ ვითარებას ხელს ბერძენთა ყბადაღებული კულტურული ქედმაღლობაც უწყობდა, რის გამოც ისინი ყველა უცხოტომელს „ბარბაროსებად“ თვლიდნენ და მათი ენებისადმი ამპარტავნული დამოკიდებულება ჰქონდათ. მითითებულმა მიზეზებმა განაპირობა, რომ კლასიკური პერიოდის (ქრისტეს შობამდე V-IV საუკუნეები) ბერძნული ლიტერატურა საერთოდ არ იცნობს მხატვრულ თარგმანს. რა თქმა უნდა, სხვა ხალხებთან ურთიერთობისთვის აუცილებელი იყო თარჯიმნის მიერ საინფორმაციო-კომუნიკაციური ხასიათის თარგმანი (ამის შესახებ შეგვახსენებენ ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელიც ქრისტეს შობამდე V საუკუნეში ეგვიპტეს, ფინიკიასა და ბაბილონს ეწვია; აგრეთვე, მომდევნო საუკუნის სარდალი ქსენოფონტე – მან მონაწილეობა მიიღო ბერძნულ დაქირავებულ მეომართა ცნობილ უკანდახევაში სპარსეთის სახელმწიფოს უზარმაზარი ტერიტორიის გავლით და სხვა წყაროებიც); თუმცა ეს

ფუნქცია არა ბერძნებმა, არამედ სხვა ხალხებმა აღასრულეს, რომლებიც ბერძნულ ენას ფლობდნენ.

ქრისტეს შობამდე IV საუკუნის ბოლო მესამედში ალექსანდრე მაკედონელის დამპყრობლური ლაშქრობებისა და ამის შემდეგ შექმნილი უზარმაზარი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, რაც დიდი მეფის გარდაცვალებას მოჰყვა, წარმოიქმნა რამდენიმე ახალი სამეფო, რომელთა სათავეშიც ალექსანდრეს ყოფილი თანამოღვაწენი და მათი მემკვიდრენი მოექცნენ (ეგვიპტე, სირია, პერგამონი და სხვ.). ამ სახელმწიფოებს, რომლებშიც ბერძნული და აღმოსავლური ელემენტების თავისებური შერწყმა შეინიშნება, ელინისტური უწოდეს, ხოლო მთელ პერიოდს, ალექსმდრე მაკედონელიდან მოყოლებული ვიდრე აღნიშნულ ქვეყნებში რომაული ბატონობის დამყარებამდე, ელინიზმის ეპოქა; ანუ სხვა გვარადაც რომ ითქვას, ეს ნიშნავდა ელინური (ბერძნული) კულტურის ექსპანსიას იმ სახელმწიფოებში, რომლებიც მაკედონელებმა დაიმორჩილეს. ბერძნული ენა განსაკუთრებული მამულობით გავრცელდა, გახდა უნივერსალური საურთიერთო საშუალება და თავისი პოზიციები მას შემდეგაც შეინარჩუნა, რაც თავად საბერძნეთმა და ელინისტურმა სახელმწიფოებმა პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგეს და რომის მფლობელობაში მოექცნენ. სახელგანთქმულმა რომაელმა ორატორმა მარკუს ტულიუს ციცირონმა ბერძნული ენის ეს როლი შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: „თუკი ვინმეს შეუძლია იფიქროს, რომ ნაკლები სარგებელია დიდებისგან, როდესაც ეს ბერძნულად და არა ლათინურადაა დაწერილი, ძალიან ცდება, რადგან ბერძნულად თითქმის ყველგან კითხულობენ, ლათინური ენა კი, როგორც უწყით, მხოლოდ საკუთარ არცთუ მოზრდილ ფარგლებშია გავრცელებული“.

ყოველივე ამან განაპირობა ბერძნული ენის გამოყენება სხვა ხალხთა მიერაც, რომლებიც თავიდან ბერძნულ-მაკედონური, ხოლო შემდეგ რომაული ბატონობის ორბიტაში მოექცნენ. ამ გზით ცდილობდნენ ბერძნები საკუთარი ძველი კულტურის სხვადასხვა ქვეყნის მკითხველთა ფართო წრისთვის გაცნობას. სწორედ ბერძნულად დაიწერა ქრისტეს შობამდე IV-III საუკუნეების მიჯნაზე ისტორიული ნაშრომები ბაბილონელი ქურუმი ბეროსისა, ეგვიპტელი ქურუმი მანეფონისა, ხოლო ქრისტეს შობამდე I საუკუნეში იოსებ ფლავიოსის ცნობილი „იუდეველთა სიძველენი“. რასაკვირველია, დასახელებული თხზულებები, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არაა თარგმანები, თუმცა, რაკი მათში ავტორთა მიერ გამოყენებული შესაბამისი წყაროები ბერძნულად იყო გამოყენებული (რა თქმა უნდა, გადამუშავებული სახით), შეიძლება საუბარი ენათშორისი ადაპტაციის ზოგიერთი ელემენტის შესახებ. ბერძნული ენით სარგებლობდნენ პირველი რომაელი

ანალისტიცი (ქრისტეს შობამდე III ს.); ხოლო უკვე კლასიკურ ეპოქაში, ციცერონის თხოვნით, მისმა მეგობარმა ატიკემ ბერძნულად თარგმნა ცნობილი ორატორის მიერ შეთხზული პოემა – მასში ციცერონი კატილინას შეთქმულების ჩახშობაში საკუთარ დამსახურებას განადიდებდა; არსებობდა ბერძნული ვერსია კართაგენელი ამირბარების – ჰანონისა და ჰიმემკონის საზღვაო მოგზაურობაზე; მოგვიანებით (IV ს. ქრისტეს შობამდე) პეანიუსმა ბერძნულად გადმოიღო ევტოპიუსის ცნობილი ნაშრომი რომის ისტორიაზე. იგი პირადი მდივანი იყო იმპერატორ ვალენტიანესი (VI ს-ში ისტორიკოსი კაპიტონი შეეცადა შეექმნა ახალი თრგმანი, რომელმაც დღემდე ვერ მოაღწია) და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის თარგმანი, რომელიც ეგვიპტის ალექსანდრიის იუდაური დიასპორისთვის იყო განკუთვნილი. მიუხედავად ქალაქის ბერძნულ მოსახლეობასთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობისა, რომლის შემდეგაც ხშირი იყო კონფლიქტები, ებრაელთა მრავალი წარმომადგენელი იმდენად ელინიზირდა, რომ პრაქტიკულად დაივიწყა ძველებრაული. წარმოიშვა იუდეველთა წმიდა წერილის ბერძნული ვერსიის შექმნის აუცილებლობა (ქრისტიანული ტრადიციით, ის ძველი აღთქმის სახელწოდებით არის ცნობილი), რაც განხორციელდა კიდევ ქრისტეს შობამდე III საუკუნეში. ერთი საუკუნის მოგვიანებით ითარგმნა „წიგნი ისუ ზირაქის სიბრძნისა“ იგივე „სიბრძნე ზირაქისა“, რომელიც ბიბლიურ კანონიკურ ტექსტებში იქნა ჩართული. მის ავტორად ითვლება ებრაელი მნიგნობარი იეშუა ბენ-ემაზარ ბენ ზირა, ხოლო მთარგმნელად მისივე შვილიშვილი, ბაბუის სეხნია. ის ჩამოვიდა ეგვიპტეში და ალექსანდრიაში დარჩა, მან თანამემამულენი ელინიზირებული იხილა და ამიტომ, მისივე სიტყვებით რომ ითქვას, ფრიად გაისარჯა, „რათა დაესრულებინა წიგნი და გამოექვეყნებინა მათთვის, რომელთაც უცხო მხარეში სურთ სწავლა“.

წყაროებში ეგვიპტური ლიტერატურული ტექსტების ბერძნული ვერსიების შესახებაცაა დაცული ცნობები (თუმცა კი არამრავალრიცხოვანი). ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე (360 წ.), ბერძენმა ევდოქსი კნიდელმა, რომელიც ამ ქვეყანას ესტუმრა, მემფისელი ქურუმის, ხონუფისის დახმარებით დაისწავლა ეგვიპტური ენა და იგავთა კრებული „ძალთა სიტყვანი“ თარგმნა, რომელსაც დღემდე არ მოუღწევია. ერთ-ერთ გვიანდელ პაპირუსში, რომელიც ქრისტეს შობამდე II საუკუნეს მიეკუთვნება, დაცულია ეგვიპტური ტექსტის თარგმანის წინასიტყვაობა – მასში აღნიშნულია, რომ თხზულება ბუკვალურად არაა გადმოღებული: მისმა შემქმნელმა, უპირველეს ყოვლისა, პრაგმატული მოსაზრებებით იხელმძღვანელა, თავს უფლება მისცა, ტექსტში დამატებანი,

შემოკლებანი, სტილისტური კორექტივები შეიტანა, ზოგიერთი რამ საერთოდ გამოტოვა და სხვ.

რასაკვირველია, ელინისტურ სახელმწიფოებში თარგმანის საინფორმაციო – კომუნიკაციური ტრადიციაც ვითარდებოდა, რაც პრაქტიკული მოთხოვნილებებით იყო განპირობებული. ასე, მაგალითად, ეგვიპტეში მთარგმნელები საქმის წარმოებაში მონაწილეობდნენ; ისინი თარგმნიდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლების სიტყვებს, მიმართულს უმაღლეს ხელისუფალთადმი, სამეფო განკარგულებებს, ეპისტოლეებსა და სხვ. შემორჩენილია ეგვიპტური დოკუმენტების ზოგიერთი ბერძნული თარგმანი, რომლებიც იწყება სიტყვებით: „ასლი ეგვიპტური ჩანანერია, თარგმნილი შეძლებისდაგვარი სიზუსტით“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ლიტერატურული და საინფორმაციო-კომუნიკაციური თარგმანები ბერძნულ ენაზე სხვადასხვა პრინციპს ემყარება: პირველ შემთხვევაში ჭარბობდა გადაკეთება-ადაპტაცია, მეორეში – სწრაფვა მაქსიმალური სიზუსტისკენ.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმული ასე შეიძლება შეჯამდეს: ძველბერძნულ ენაზე თარგმანთა საკმაოდ დიდი რაოდენობის მიუხედავად, საკუთრივ ბერძნულ მთარგმნელობით ტრადიციას ანტიკურობა არ იცნობდა. რაიმე თეორიული მსჯელობა თარგმანის შესახებ არ არსებობდა, ხოლო ფრიად გაცხოველებული ლექსიკოგრაფიული საქმიანობა, გაჩაღებული ელინისტურ ეპოქაში (რთული და მოძველებული სიტყვების, აგრეთვე, დიალექტური და ეტიმოლოგიური ლექსიკონები და სხვ.) მხოლოდ ერთენოვანი იყო.

### 3. მთარგმნელობითი საქმიანობის დასაწყისი ძველ რომში

მომცრო დასახლებიდან რომი (გადმოცემით, მას ქრისტესშობამდე 753 წელს ჩაეყარა საფუძველი) თანდათანობით ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბდა; ის მრავალ ქვეყანას და ხალხს იმორჩილებდა. იტალიაში არსებულ ბერძნულ კოლონიებთან ურთიერთობით დაიწყო რომაული კულტურის ელინიზაცია, რაც განსაკუთრებით ქრისტეს შობამდე III საუკუნეში გაძლიერდა. ერთი საუკუნის შემდეგ კი მრავალ არისტოკრატიულ ოჯახში რომაელ დიდებულთათვის ბერძნული ენის ცოდნა თითქმის სავალდებულო გახდა. დიდი რომაელი პოეტი ჰორაციუსი ბერძნული კულტურული ექსპანსიის მასშტაბებს ასე აფასებს: „დამარცხებულმა საბერძნეთმა დაატყვევა თავისი ველური დამპყრობი, შეიტანა ხელოვნება სოფლის ლაციოში“...

მითითებულმა გარემოებებმა თარგმნის განსავითარებლად ფრიად ხელსაყრელი პირობები შექმნეს: ერთი მხრივ, ფართოდ გამოეყენებინა საინფორმაციო-კომუნიკაციური თარგმანი სხვა ხალხებთან საურთიერთოდ, მეორე მხრივ კი, ყალიბდებოდა მხატვრული თარგმანის ტრადიცია, რომელიც მხოლოდ ბერძნული ენიდან ხორციელდებოდა.

თვით რომაული ლიტერატურის წარმოშობა ელინურს მჭიდროდ დაუკავშირდა. ამასთან ერთად, ინტერესმოკლებული არაა, რომ, მართალია, როგორც ზემოთ შეინიშნა, თავად ბერძნები საკუთარ ენაზე უკიდურესად იშვიათად თარგმნიდნენ, მაგრამ ლათინურად მხატვრული ტექსტის პირველი მთარგმნელი წარმოშობით სწორედ ბერძენი ლიბიუს ანდრონიკე აღმოჩნდა (გარდაიცვალა ქრისტეს შობამდე დაახლოებით 204 წელს); ის რომში სამხედრო ტყვედ ჩაიყვანეს და იქ პედაგოგად მოღვაწეობდა. რამდენადაც ბერძნული ტრადიცია სწავლების დაწყებას ჰომეროსის ეპოსის განმარტებითი კითხვით მოითხოვდა, ლიბიუს ანდრონიკემ „ოდისეას“ ლათინური ვერსია შექმნა. როგორც ვარაუდობენ, არჩევანი სწორედ ამ ნაწარმოებისა (და არა „ილიადასი“, როგორც მოსალოდნელი იყო), უპირველეს ყოვლისა, მისი მოუცლელობით აიხსნება და, აგრეთვე, იმით, რომ ოდისევსის მოგზაურობის ადგილები სიცილიისა და იტალიის სანაპიროები იყო, ანუ მთარგმნელი ცდილობდა თავისი აუდიტორიის ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებას. შემორჩენილი ფრაგმენტები იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა, რომ ლიბიუსმა მნიშვნელოვანწილად ამოსავალი ტექსტის ადაპტაცია განახორციელა, თავს უფლება მისცა, გაემარტივებინა დედანი, თხრობა, ჩაენაცვლებინა სახეები; სახელდობრ, ბერძნული ღმერთების სახელები რომაულითაა შეცვლილი, ორიგინალის ჰეგზამეტრი რომაული ხალხური პოეზიის ძველი საზომით, კერძოდ, სატურნის ლექსითაა გადმოცემული, რამაც ორიგინალის რიტმულ-სინტაქსური დინამიკის ცვლილება გამოიწვია. ასე ჩაეყარა საფუძველი ძირითადი პრინციპების დასაწყისს, რომელმაც რომაული ლიტერატურული თარგმანის შემდგომი განვითარება განსაზღვრა (საინფორმაციო-კომუნიკაციურის სანინალმდეგოდ) – შეგუებოდა ეპოქის კულტურული მოთხოვნილებებს: უცხო მასალის გამოყენებით გაემდიდრებინა საკუთარი ენა და ლიტერატურა.

„ოდისეას“ თარგმანთან ერთად, ლიბიუს ანდრონიკემ ბერძნული კომედიებისა და ტრაგედიების სცენისთვის გადამუშავებითაც გაითქვა სახელი (ამ ტექსტებმა ვერ მოაღწიეს); მის მიერ საფუძველჩაყრილი ტრადიცია გნეუს ნევიუსმა განაგრძო, მან პირველმა გამოიყენა კონტამინაციის ხერხი, ანუ ლათინურ ვერსიაში შეიტანა სხვადასხვა ბერძნული კომედიის სცენები და

მოტივები. ვარაუდობენ, რომ აღნიშნულ ხერხს ფართოდ იყენებდნენ ადრეული ხანის რომაელი ავტორები, რომლებიც ბერძნულ დრამატურგიას მიმართავდნენ, კერძოდ: ტიტუს მაქციუს პლავტუსი (გარდაიცვალა ქრისტეს შობამდე დაახლ. 184 წელს), კვინტუს ენიასი (ქრისტეს შობამდე 239-169 წლები), რომელმაც უმაჯრესად სახელი ბერძნული ტრაგედიების საკუთარი ვერსიების შექმნით გაითქვა; პულიუს ტერენციუს აფრი (ქრისტეს შობამდე დაახლ. 190-159 წ.წ.). ამ ხერხის გავრცელებას, ერთი მხრივ, იმით ხსნიან, რომ რომაელი მაყურებელი უფრო მეტ დინამიზმსა და მოქმედებას მოითხოვდა, ვიდრე ეს ბერძნულ ორიგინალებში იყო, ხოლო, მეორე მხრივ, იმ გარემოებებით, რომ ბერძნული ყოფის ზოგიერთი თავისებურება რომაელთათვის უცხო და გაუგებარი იყო. ასე, მაგალითად, ათენში ნებადართული გახლდათ ქორწინება დედით საკუთარ ნახევარდასთან, როდესაც რომში ამას მხოლოდ აღშფოთება შეიძლება გამოეწვია. ამიტომ ლათინური ვერსიის შესაქმნელად ხშირად მრავალი ეპიზოდის გამოტოვება უხდებოდათ, მათ შესავსებად კი სწორედ კონტამინაციის ხერხს მიმართავდნენ. თუმცა ეს მეთოდი ყოველთვის წარმატებული არ ყოფილა. კომედიოგრაფი ცეცილიუს სტაციუსი (გარდაიცვალა ქრისტეს შობამდე 168 წელს), რომელიც ენეასის სკოლის წარმომადგენელი იყო, გადასაკეთებლად ბერძენი კომედიოგრაფის, მენანდრეს პიესებს ირჩევდა; ის ცდილობდა, არ გამოეყენებინა კონტამინაცია და საკუთარ ვარიანტს ბერძნულ ნიმუშს უახლოვებდა. ტერენციუსს კი სხვა დრამატურგთან – ლუციუს ლანუვინუსთან მოუწია პოლემიკაში ჩართვა: ლუციუსის სწავლებით, ორიგინალები სწორედაც რომ უნდა ითარგმნოს (თუმცა არა სიტყვასიტყვით) და არა გადაკეთდეს, რადგან ასეთი ქმედება მხოლოდ ლახავს მათ. ლუციუსის საყვედურებს კონტამინაციასთან დაკავშირებით ტერენციუსმა თავისი ერთ ერთი კომედიის პროლოგში ასე უპასუხა:

*„ჭორებს ავრცელებენ ავისმოსურნენი,  
მგოსანმა მრავალი ბერძნული კომედიისგან  
მცირედი ლათინური შექმნაო.  
პოეტი კი არ კამათობს, არამედ ამბობს: ასე ვქმენო;  
თუმცა თავს არ იდანაშაულებს  
და მომავალშიც აპირებს იმავეს გაკეთებას;  
მისთვის მაგალითნი შესანიშნავი შემოქმედნი არიან;  
ფიქრობს მგოსანი, რომ ნებადართულია მისთვის  
ამ მწერალთა მიბაძვა“.*

ამავე დროს, თავად ტერენციუსი ზრუნავდა, რომ კონტამინაციას სიუჟეტის მთლიანობა და ხასიათთა განვითარების თანმიმდევრობა არ დაერღვია, რითაც დაცული იქნებოდა ორიგინალის სტილი.

#### 4. რომაული თარგმანის გავითარება კლასიკურ ეპოქაში

ქრისტესობამდე | საუკუნეში რომში არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, რომლებიც რესპუბლიკური მმართველობის ფორმის მონარქიულით შეცვლასთანა დაკავშირებული. ამ პერიოდს რომაული ლიტერატურის „ოქროს საუკუნე“ ეწოდა. ჯერ კიდევ ასი წლით ადრე ფართოდ გავრცელებული ბერძნული ენის ცოდნა პრაქტიკულად საყოველთაო გახდა. ელინურიდან თარგმანს საგანმანათლებლო სწავლებისათვის მომზადების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად განიხილავდნენ. როგორც რომაელი რიტორიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მარკუს ფაბიუს კვინტილიანე (ქრისტეს შობამდე დაახლ. 30-96 წ.წ.) შენიშნავდა, თითქმის ყველა რომაელი ორატორი ბერძენი თანამოძმეების ნაწარმოებების გადმოღებას „საუკეთესო საქმიანობად“ თვლიდა. ამასთანავე, თარგმნისადმი ინტერესი არა მხოლოდ ინტელექტუალურ ელიტას, არამედ განათლებულ რომაელთა ყველაზე ფართო წრეებსაც ახასიათებდა, რაზეც უამრავი ფაქტორი მეტყველებს. ასე, მაგალითად, სახელგანთქმული ციცერონის ძმას – კვინტუსს, რომელიც კეისრის არმიას მსახურობდა, ლაშქრობებიდან თავისუფალ დროს სოფოკლეს ტრაგედიების თარგმნა უყვარდა, რასაც ის ძალიან სწრაფად აკეთებდა. მსგავსი გატაცებით გამოირჩეოდა კეისრის სხვა ოფიცერი – ასინიუს პოლიონი, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა რომის სამოქალაქო ომებში და სხვა.

აღნიშნულ ეპოქაში ბერძნული ენის საყოველთაო გავრცელება და რომის საზოგადოების პრაქტიკული ორენოვნება განაპირობებდა, რომ რომაელთა უმრავლესობა ბერძნული ლიტერატურის ნიმუშებს უშუალოდ ორიგინალით ეცნობოდა. ამიტომ, რომელიმე ბერძენი ავტორის თხზულების გადმოღებისას, მთარგმნელის მიზანი იყო, გაეცნო ის თავისი მკითხველისათვის არა იმდენად ზუსტი (თანამედროვე გაგებით) თარგმანით, რამდენადაც დედნის შემოქმედებითი გადაამუშავებით; ამასთანავე, ის ორიგინალის მოტივებით საკუთარ ვერსიას ქმნიდა (ზემოხსენებული კვინტილიანე თვლიდა, რომ ლიტერატურული თარგმანი დედნის უბრალო პერიფრაზს კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ, შინაარსის შენარჩუნებასთან ერთად, თავისებურ შეჯიბრს).

შესაძლებელია, რომ მითითებული გარემოებების გამო ფიდუს ინტერპრეს – „ერთგული მთარგმნელი“ რომაელებმა უარყოფითად გაიაზრეს: თხზულები-სადმი „ერთგული“ დამოკიდებულება მწერლობად არ ითვლებოდა. ამას ადას-ტურებენ, ერთი მხრივ, ციცერონი, რომელიც საკუთარ დამსახურებად მიიჩ-ნევდა, რომ ბერძნულ ტექსტს უდგებოდა არა როგორც მთარგმნელი, არამედ – ორატორი, და ამიტომ ნაწარმოების სიტყვასიტყვით გადმოღებას უარყოფ-და, და, მეორე მხრივ, შედარებით მოგვიანო ხანის ერთ-ერთი დიდი რომაელი ავტორი კვინტუს პორაციუს ფლაკუსი (ქრისტეს შობამდე 65-8 წ.წ.) – მისი მოწოდება იყო, არ მიებაძათ „ერთგული მთარგმნელის“ მიერ სიტყვასიტყვით გადმოღებული ორიგინალისთვის; და მაინც, ზოგიერთი არაპირდაპირი მონა-ცემი მკვლევრებს ავარაუდინებს, რომ რომში ლიტერატურული ტექსტების ბუკვალური თარგმნის მეთოდიც შეიძლება გამოეყენებინათ. ასე, მაგალითად: ციცერონის მიხედვით, რომში ორიგინალები სიტყვასიტყვით კი არ ითარგმ-ნებოდა, არამედ ტექსტები მხოლოდ აზრს გადმოცემდნენო, შეიძლება იმ მის-წრაფებაზე საუბარი, რომ დედნები ბუკვალურად გადმოჰქონდათ. ამის შეს-ახებ შემორჩენილი უამრავი გამონათქვამიც მეტყველებს (თუმცა აღნიშნული მეთოდის ამსახველი ტექსტები არაა შემონახული).

განსახილველი პერიოდი რომაული ლიტერატურის უდიდეს შემოქმედთა შო-რის, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თარგმანის განვითარებაში, უნდა დასახელდნენ პოეტი ლირიკოსი კატულუსი და სახელგამთქმული ორა-ტორი ციცერონი.

გაიუს ვალერიუს კატულუსი (გარდაიცვალა ქრისტეს შობამდე დაახლ. 54 წელს) თარგმანის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, ლათინურ ენაზე ბერძენი ქალი პოეტის, საფოს ცნობილი ლექსის – „მეის ღვთისწორად მიმაჩნია“ და ალექსანდრიული ეპოქის მგოსნის, კალიმაქეს ელეგიის, „ბერენიკეს თმა“, „ხე-ლახლა თხზვის“ წყალობით შევიდა. პირველ შემთხვევაში ავტორის გრძნობები კატულუსს თავისი საკუთარი განცდებით გადმოაქვს: მართალია, დასაწყისი სამი სტროფი დედანს მიჰყვება, მაგრამ მეოთხე დამოუკიდებელი ოთხსტრიქონედ-ითაა შეცვლილი, რომელშიც პოეტი თავის თავსა და საკუთარი ცხოვრების წესზეა ჩაფიქრებული. რაც შეეხება კალიმაქეს ნაწარმოებს, მკვლევართა მიერ მისი გადმოცემის სიზუსტე რომაული მხატვრული პრაქტიკისთვის სრულიად განსაკუთრებულ და რომში ადეკვატური თარგმანის თითქმის ერთადერთ და-დასტურებად მიიჩნევა, რადგან მასში დაცულია არა მხოლოდ სიუჟეტი, არამედ ორიგინალის რიტმულ-სინტაქსური მოძრაობაც.

უდიდესი რომაელი ორატორი, „მჭევრმეტყველების ღმერთი“, მარკუს ტულიუს ციცერონი (ქრისტეს შობამდე 106-43 წ.წ.) მთელი ცხოვრების მანძილზე თარგმნის პრობლემებით იყო დაკავებული – დანყებული სიჭაბუკის წლებით, როდესაც მოღვაწეობისთვის ემზადებოდა, და, მისივე სიტყვებით რომ ითქვას, ბერძნული ენიდან საუკეთესო ორატორთა თხზულებების გადმოღებას შეუდგა, დასრულებული მონიფული ასაკით, როდესაც, კეისრის დიქტატურის დამყარების შემდეგ, მისი უმთავრესი საქმიანობა ფილოსოფიური დიალოგების შექმნა და თარგმნა გახდა. დიდად მრავალფეროვანია ციცერონის მთარგმნელობითი მემკვიდრეობა: ათენელი ორატორების-ესქინესა და დემოსთენეს ორი სიტყვის გარდა, მისი ალექსანდრიელი პოეტის, არატეს ასტრონომიული პოემის, აგრეთვე, ქსენოფონტეს „სახლთმშენებლობის“ (Oeconomicus), პლატონის არაერთი დიალოგის ლათინური ვერსიები მიეკუთნება. ამათ გარდა, ციცერონის თხზულებაში ბერძენ ავტორთა ნაშრომებიდან ნათარგმნი უამრავი ციტატა გვხვდება. ამასთანავე, რომაელ ორატორს უცხოენოვანი ტექსტის გადმოცემის პრინციპებისა და ხერხების შესახებ საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული; ამ შეხედულებებმა თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომ განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

თარგმანის უმთავრეს ამოცანათა შორის ციცერონი, უპირველეს ყოვლისა, ენისა და ლექსიკის გამდიდრებას გამოყოფდა. თავისი ახალგაზრდობისდროინდელი მოღვაწეობის გახსენებისას ის შენიშნავს: „ბერძნულად დანერილის ლათინურად გადმოცემის დროს გამოყენებული სიტყვებიდან მე არა მარტო ყველაზე საუკეთესონი უნდა შემერჩია, არამედ ჩვენთვის ზოგიერთი ახალი მათგანი დედნის მიხედვით გამომეჭრა, ოღონდ კი ისინი შესაბამისნი ყოფილიყვნენ“, შემდგომ მან ბერძნულის ეკვივალენტური ლათინური ტერმინების შესაქმნელად უდიდესი სამუშაო გასწია ისტორიკოს პლუტარქეს უწყებით, რომელმაც ციცერონის ბიოგრაფია დაწერა, სწორედ მან შემოიტანა პირველმა შესატყვისობანი ისეთი ცნებებისათვის, როგორებიცაა „წარმოდგენა“, „თანხმობა“, „აღქმა“ და სხვ; ამ დროს ავტორმა სწორედ მეტაფორული გადმოღების პრინციპები გამოიყენა. ციცერონის აზრით, აღნიშნული საქმიანობის აუცილებლობა, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ მრავალ რომაელს ბერძენთაგან ათვისებული ცოდნის თანამემამულეთათვის გაზიარება არ შეეძლო, რამდენადაც მიღებული მონაცემების მშობლიურ ენაზე გადმოცემის საშუალება არ ჰქონდა.

ციცერონი მხატვრული თარგმანის სხვა გამოყენებით ასპექტსაც – ლიტერატურის ახალი ჟანრებით გამდიდრებასა და შეესებას არანაკლებ ყურადღებას უთმობდა. ასე, მაგალითად, პლატონიც დიალოგების ლათინურად „ხელახლა თხზვისას“ ციცერონმა რომაულ ფილოსოფიურ პროზას ჩაუყარა საფუძველი.

ამასთანავე, დიალოგის – „ტიმეასის“ გადმოღებისას ციცერონს საკუთარი ფილოსოფიური ნაშრომის შექმნა სურდა. დაბოლოს, მთარგმნელობითი საქმიანობა რომაელი ორატორისთვის საკუთარი სტილის გამომუშავებისა და დახვეწის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება იყო, ანუ ნათლად გამოხატულ სასწავლო-პედაგოგიურ მიმართულებას წარმოადგენდა, რაც რომაულ კულტურაში შემდგომაც იქნა დაცული.

თავის თეორიულ მსჯელობებში ორიგინალის ორგვარად – ბუკვალურად და „ხელახლა თხზვით“ გადმოცემის შესაძლებლობაზე საუბრისას ციცერონი აშკარად მეორე მეთოდს ანიჭებდა უპირატესობას. იმ ხერხზე მსჯელობისას, რომელსაც ის ესქინესა და დემოსთენეს სიტყვათა ლათინური ვერსიების შექმნისას იყენებდა, ციცერონი შენიშნავს, რომ შეინარჩუნა მათი აზრი და ფორმა, რომელთაც ლათინური ენის სიტყვები და კონსტრუქციები შეუწყო. „ეფიქრობდი, – აჯამებს თავის მსჯელობას ავტორი, – რომ მკითხველი ჩემგან სიტყვათა არა დათვლას, არამედ აწონვას უნდა მოელოდეს. ვიმედოვნებ, ესქინესა და დემოსთენეს სიტყვებში ყველა მათგანის ღირსების ანუ აზრების, კონსტრუქციების, განლაგების წესრიგის შენარჩუნება შევძელი და ყოველივე ისე შევკარი ერთმანეთთან, რომ თუკი თითოეული მათგანი არცაა ბერძნულიდან გადმოთარგმნილი, მსგავსად მაინცაა განწყობილი“.

ამასთანავე, ბერძნული ტექსტის გადმოცემის ამა თუ იმ ხერხის შერჩევას ვარირებაც შეეძლო. ასე, მაგალითად, ახალგაზრდობის წლებში შესრულებული-სასწავლო თარგმანების უმეტესობა დედანთან მიმართებით უფრო დიდი თავისუფლებით გამოირჩევა, ვიდრე პლატონის ფილოსოფიური დიალოგების შემდგომ შექმნილი ვერსიები. სხვა მხრივ, რამდენიმე საუკუნის მოგვიანებით მოღვაწე ბიბლიის ლათინურ ენაზე მთარგმნელი იერონიმე, რომელიც ციცერონს ტექსტთა ზუსტი გადმოღების მონინაალმდევედ თვლიდა, მაინც მიუთითებდა, რომ ქსენოფონტეს ჩვენამდე არმოღწეული ნაწარმოები ბუკვალურად იყო გადმოტანილი და ამასთან დაკავშირებით აღნიშნული თხზულების ენობრივ და სტილურ ნაკლულევანებებზე მიანიშნებდა.

ციცერონის შემოქმედებითა მემკვიდრეობამ ევროპული თარგმანის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა და ამ სფეროში ანტიკური მემკვიდრეობის ყველაზე შესანიშნავ ფურცელს განეკუთვნება.

# მსოფლიო რელიგიები და თარგმანის გავითარება

## 1. მსოფლიო რელიგიების გაგებისათვის

ცნობილია, რომ მსოფლიო რელიგიებად ითვლებიან ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, რომლებიც შორს გასცდნენ თავდაპირველი გავრცელების საზღვრებს და გააერთიანეს ერები, განსხვავებულ ხალხებსა და რასებს რომ წარმოადგენდნენ და სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ. ამდენად, მსოფლიო რელიგიებისთვის უნივერსალიზმისკენ სწრაფვაა დამახასიათებელი, რაც წინასწარვე განსაზღვრავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელსაც სარწმუნოებრივ პროპაგანდამდე მიჰყავს ისინი; ყოველივე კი შესაბამისი საკრალური ლიტერატურის თარგმნის გარეშე წარმოუდგენილია. ხშირად ახალი რელიგიის აღიარებით ერებს დამწერლობა და ლიტერატურა უჩნდებოდა-თავდაპირველად თარგმნილი, ხოლო შემდეგ – ორიგინალური.

ამასთანავე, რომელიმე კონკრეტული რელიგიის უნივერსალურ ხასიათს შეიძლება გამოეწვია მხოლოდ ერთი ენის გამოყენების ტენდენცია, რადგან ეს ენა საკრალურ ფუნქციას ასრულებდა და წინ აღუდგებოდა ყველა სხვას როგორც ერთადერთი საშუალება რელიგიურ მოთხოვნილებათა აღსასრულებლად. ეს, თავის მხრივ, ნაციონალური ენების მოქმედების სფეროს ზღუდავდა, ხოლო ზოგჯერ ლიტერატურიდან მათი სრული შევიწროვების მცდელობებს იწვევდა, ამასთანავე არა მხოლოდ სულიერი, ამ სიტყვის საკუთარი გაგებით, არამედ საერო ცხოვრებიდან. ასე, მაგალითად, ისლამური ტრადიცია მუსლიმანთა წმინდა წიგნის – ყურანის თარგმნას სხვა ენაზე საერთოდ კრძალავდა, რითაც აიხსნება ის, რომ ამ თავში ეს საკითხი არაა განხილული; ასევე წინააღმდეგობრივად დგას ბიბლიის თარგმნის პრობლემა ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში და ა. შ.

## 2. ბუდისტური ლიტერატურის თარგმანები

ბუდიზმის დამაარსებელი სასულიერო მოღვაწე სიდხარ-ტხა შაკიამუნი („განდეგილი-ბრძენი შაკიათა ტომიდან“) ითვლება, რომელიც წარმოშობით გაუტამას წარჩინებული გვარიდან იყო და სახელი ბუდა („გაბრწყინებული“) მიიღო. მისი ცხოვრების ზუსტი თარიღი უცნობია; სავარაუდოა, ის ქრისტეს

შობამდე 563 (566) – 483 (486) წლებში მოღვაწეობდა, თუმცა სხვა მოსაზრებებიცაა გამოთქმული.

ბუდისტური ლიტერატურა შინაარსობრივად ფრიად მდიდარი და მრავალფეროვანია (კანონიკური ტექსტები, კომენტარები, რელიგიურ – ფილოსოფიური თხზულებები და ა. შ.). ტრადიციის თანახმად, თავად ბუდა, რომელსაც სურდა, რომ მის მიმდევრებს ახალი მოძღვრება თავიანთ საკუთარ ენაზე გადმოეცათ, ერთ-ერთ შუაინდურ ენაზე – მაგადხიზე ქადაგებდა; თუმცა ბუდისტური ლიტერატურის ძეგლებმა ჩვენამდე სხვადასხვა – სანსკრიტზე, ტიბეტურზე, პალისა და სხვ. ენაზე მოაღწია, რაც ართულებს საკითხს ბუდისტური კანონის თავდაპირველი შედგენის შესახებ.

ბუდიზმის გავრცელებამ ჩინეთში თარგმნილი ტექსტების შეტანაც განაპირობა. აუცილებელია შეინიშნოს, რომ მანამდე მთარგმნელობითი საქმიანობა ჩინეთში, ფაქტობრივად, არ არსებობდა (რამდენადაც საუბარი ლიტერატურულ თარგმანს ეხება). მითითებული გარემოება მნიშვნელოვანწილად ძველი ჩინური კულტურისთვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობით აიხსნება და, ასევე, იმ ამბიციით, რომ ჩინელები თავიანთ თავს ყველა უცხოელზე, „ბარბაროსზე“ აღმატებულად თვლიდნენ, მსგავსად ძველი ბერძნებისა. ბუნებრივია, რომ პირველი მთარგმნელები არა ჩინელები, არამედ ინდოეთიდან, პართიიდან, ცენტრალური და შუა აზიიდან ჩამოსული ბუდისტი მისიონერები იყვნენ. რამდენადაც მთარგმნელთა წინაშე არაჩვეულებრივად რთული ამოცანა იდგა – დაეძლიათ არა მხოლოდ ენობრივი სირთულე, არამედ ჩინელ აუდიტორიამდე ბუდიზმის ფილოსოფიური კატეგორიები, წარმოდგენები და ეთიკური ნორმები მიეტანათ, ამიტომ ისინი ხშირად კოლექტიურად მუშაობდნენ, განიხილავდნენ თარგმანთა ვარიანტებს და აუცილებელ ტერმინოლოგიას ირჩევდნენ. ყველაზე ცნობილ მთარგმნელებს შორის ინდოელი ბერები, კატაიანა მატანგო და დხარმარატნა იყვნენ, რომელთაც „42 თავისგან შემდგარი სუტრას“ თარგმანი მიენერებათ – მასში უფრო ბუდიზმის ძირითადი დოგმებია გადმოცემული; აგრეთვე, პართელი ან შინგაოა და სხვები. საკუთრივ პირველ ჩინელ მთარგმნელად ტრადიციულად ან ფოძიოა ითვლება, რომელმაც როგორც მიიჩნევენ პართელ ან სიუნთან ერთად, ცნობილი „სუტრა ვილამოკირტის შესახებ“ თარგმნა.

შემორჩენილია რამდენიმე გადმოცემა იმ სასწაულთა შესახებ, რომლებიც ბუდიზმის მთარგმნელთა მთარგმნელობით საქმიანობასთანაა დაკავშირებული. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ბერ სანგხდევას, რომელიც ჩინეთში ქაშმირიდან ჩავიდა (402 წ.), თან არანაირი წიგნი არ ჰქონდა, თუმ-

ცა შეძლო მეხსიერებებით ჩინურ ენაზე ყველაზე გავრცელებული ბუდისტური სუტრები გადაეთრგმნა. სხვა ინდოელმა – კუმარაჯივამ, რომელიც 402 წელს ჩინეთში ქვეყნის მმართველის მიწვევით ჩავიდა, იმით გაითქვა სახელი, რომ ზეპირად თარგმნიდა ხელთ არარსებულ ბუდისტურ ტექსტებს, რომელთაც გადამწერნი კარნახით იწერდნენ. რამდენადაც მრავალი უფრო ადრეული ჩინური ვერსია არ ასახავდა სანსკრიტის ორიგინალთა ჭეშმარიტ შინაარსს, კუმარაჯივამ მისთვის გამოყოფილი თანაშემწეების დახმარებით ერთ-ერთი სუტრასგან ახალი თარგმანი შექმნა. მას შემდეგ, რაც მან სახელი განითქვა, კუმარაჯივა მაინც მიიჩნევდა, რომ თარგმანში სინატიფისა და გამომსახველობის შენარჩუნება წარმოუდგენლად ძნელია. შემონახულია გადმოცემა, რომლის თანახმად, კუმარაჯივამ განჭვრიტა, რომ თუკი მან ტექსტის გადმოღებისას რაიმე შეცდომა არ დაუშვა, მაშინ გარდაცვალებისა და სხეულის დანვის შემდეგ ენა უვნებელი დარჩებოდა; და, მართლაც, ეს წინასწარუწყება ახდა.

ბუდისტური ნაწარმოებების ჩინურმა თარგმანებმა დიდი ზეგავლენა იქონიეს ჩინურ ლიტერატურაზე და ხელი შეუწვევს მედიცინის, ასტრონომიის და ა. შ. სფეროებში ინდური ტრაქტატებისადმი ინტერესის გაღვივებასა და მათ „ხელახლა თხზვას“.

მთარგმნელობითი მოღვაწეობა შესაბამისი სკოლების და კონცეფციების ფორმირებას განაპირობებდა. სარედაქციო საქმიანობაც ხორციელდებოდა, რომელშიც პოეტი სელინიუნი მონაწილეობდა-ამ მიზნით მან სპეციალურად დაისწავლა სანსკრიტი.

ჩინეთის გარდა, ბუდისტური ტექსტების თარგმნა მიმდინარეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთის, ცენტრალური და შუა აზიის, იაპონიის სახელმწიფოებში და ა. შ., რამაც დიდი ზეგავლენა იქონია მათ შემდგომ კულტურულ განვითარებაზე.

### 3. ძველი აღთქმის ლიტერატურა და ბერძნულ ენაზე თარგმანები

როგორც ცნობილია, ქრისტიანული მოძღვრების სპეციფიკური თავისებურებაა მემკვიდრეობითი კავშირი ძველებრეულ რელიგიასთან – იუდაიზმთან, რომლის წმიდა წიგნი ქრისტიანულ ბიბლიაში ძველი აღთქმის სახელწოდებითაა ჩართული. მასში გაერთიანებული ნაწარმოებების ჟანრული და სტილური თავისებურებები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რამდენადაც ძველი აღთქმისეული

კანონი თითქმის ათასი წლის მანძილზე-ქრისტეს შობამდე დაახლოებით XII-II საუკუნეებში იქმნებოდა.

ზემოთ ითქვა, რომ ბიბლიური ტექსტის ბერძნული ვერსიის შექმნის საკითხი ქრისტეს შობამდე III საუკუნეში ალექსანდრიელ იუდეველთა შორის დაისვა და იმ გარემოებასთან იყო დაკავშირებული, რომ ძველი ებრაული ალექსანდრიელ იუდეველთაგან ძალიან ცოტადაა თუ იცოდა. უნდა შეინიშნოს, რომ მოცემულ შემთხვევაში რელიგიურ პროპაგანდას გადამწყვეტი როლი არ უთამაშია, რამდენადაც იუდაიზმისთვის მისიონერული მიზანსწრაფვა საერთოდ არაა დამახასიათებელი. ამასთანავე, ამ პერიოდში შექმნილი გადმოცემა აშკარად მონაშთს შემდეგ – ბიბლიის ბერძნულ ტექსტს ისეთი ხასიათი მიეცა, რომ წმინდა იუდაურ საზღვრებში შევიდოდა; მისი გადმოღების ინიციატივა ელინისტური ეგვიპტის მეფეს, პტოლემაოს II ფილადელფოსს მიენერება, რომელიც ქვეყანას ქრისტეს შობამდე 285-246 წლებში მართავდა; ლეგენდის თანახმად, მან თითქოს შეიტყო ბერძნული წიგნის შესახებ, რომელშიც იუდაური კანონები იყო თავმოყრილი, რის შემდეგაც იუდეველ პირველ მღვდელმთავარ ელიაზარს წერილით მიმართა; მასში ნათქვამი იყო: „მსურს რა, ვასიამოვნო ამ მიწაზე მცხოვრებ ყველა იუდეველს, გადაწყვიტე შევუდგე თარგმნას თქვენი კანონისა და მისი ებრაული ენიდან ბერძნულად გადმოღებით, მოვათავსო ეს წიგნი ჩემ ბიბლიოთეკაში, ამიტომ კარგად მოიქცევი, თუკი ებრაელთა თითოეული შტოდან ექვს მსცოვან მამაკაცს შეარჩევ, რომლებიც თავიანთი ხანგრძლივი საქმიანობით კანონების დიდად მცოდნენი და გამოცდილნი არიან, და შეეძლებოდათ მათი ზუსტად გადმოთარგმნა. ვიმედოვნებ, ამ საქმით საარაკო დიდების მოხვეჭას“.

შემდგომი გადმოცემა იუწყება, რომ იუდეველთა 12 შტოდან მართლაც შეირჩა ექვს-ექვსი მეცნიერი მთარგმნელი, რომლებიც ეგვიპტეში ჩავიდნენ. ისინი კუნძულ ფაროსზე დააბინავეს; ბრძენთ ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება არ ჰქონიათ, მაგრამ სამუშაოს დასრულების შემდეგ ხელნაწერები შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ ყველა თარგმანი სიტყვასიტყვით დაემთხვა ერთმანეთს. შექმნილ ვერსიას მოგვიანებით სეპტუაგინტა დაერქვა (ლათინურად შეპტუაგინტა – „სამოცდაათი“), ანუ სამოცდაათი განმმარტებელის (ძველქართულად „მთარგმანებელის“) თარგმანი (ციფრი 72 მრგვალდებოდა). ითვლება, რომ მასში წმიდა წერილის პირველი ნაწილი – მოსეს ხუთნიგნეული იყო ჩართული; იუდაური ბიბლიის სრული ვერსიის გადმოღება კი ქრისტეს შობამდე II საუკუნეში დასრულდა.

სეპტუაგინტას მკვლევრები შენიშნავენ, რომ ორიგინალის ცალკეულ ნაწილთა გადმოტანის დონე და სტილი ფრიად განსხვავებულია – სიტყვასიტყვითი „ხელახლა თხზვიდან“ პარაფრაზირებამდე; შესამჩნევია მასში, ასევე, დედნისაგან გარკვეული გადახვევა, რაც ენობრივი სისტემისა და კულტურული ტრადიციის განსხვავებულობითაა განპირობებული.

ქრისტიანობის წარმოშობის შემდეგ სეპტუაგინტა ბერძნულ ბიბლიაში ძველი აღთქმის სახით შევიდა – ის ისეთივე ღვთივმთაგონებულად ითვლებოდა, როგორც ებრაული ორიგინალი; თუმცა კი იუდაურ წრეებში ქრისტესშობიდან პირველ საუკუნეებშივე გავრცელდა მოსაზრება, რომ ეს ვერსია დიდად განსხვავდება დედნისაგან. ჩანს, სეპტუაგინტაში შეტანილი ანტიკური მსოფლმხედველობრივი შეხედულებების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისწრაფებამ, ქრისტიანულისგან განსხვავებული საკუთარი ბერძნული ტექსტი ჰქონდათ. ამის შედეგად, ქრისტეს შობამდე II საუკუნეში, გაჩნდა აკვილას თარგმანი, რომელსაც უკიდურესად სიტყვსიტყვითი ვერსიის რეპუტაცია მიეცა; II-III საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა, აგრეთვე, სიმახოსის თარგმანი, რომელიც, როგორც ითვლება, ორიგინალთან მიმართებით დიდი თავისებურებებით ხასიათდება და სათარგმნი ენის (ბერძნულის) ნორმების გათვალისწინებით დედნის მთლიანი აზრის შენარჩუნებაზე იყო ორიენტირებული. ცნობილია თეოდოტიონის, ალბათ, ისიც II საუკუნეში შესრულებული და უფრო სეპტუაგინტას გადამუშავებული ვერსიაც; თუმცა ხსენებულ თარგმანთა ხარისხზე მსჯელობა შემორჩენილი ძალზე უმნიშვნელო ფრაგმენტებითა და ძველი ავტორების გამოხმაურებებითაა შესაძლებელი, რადგან ზემოხსენებულ მთარგმნელთა ტექსტები შემონახული არ არის. როგორც ჩანს, მათი დაკარგვის მიზეზი ის გარემოება იყო, რომ ქრისტიანულ ვერსიად ყოველთვის სეპტუაგინტა მიიჩნეოდა, იუდეველთა მიერ კი ბერძნული ენის გამოყენება თანდათანობით შეწყდა – სინალოლაში ღვთისმსახურებისთვის კვლავ ძველი ებრაული აღდგა.

ქრისტეს შობიდან III საუკუნეში ერთ-ერთმა ცნობილმა მოაზროვნემ ერთმანეთს ორიგენეს ბერძნული ვერსიები ებრაულ ორიგინალს შეუდარა და ისინი შეეუღლა სვეტებად ჩამონერა – დედნის ტექსტი, მისი ტრანსკრიპცია ბერძნული ასოებით და არსებული თარგმანები. მოგვიანებით, IV საუკუნეში, სხვა რედაქციებიც გაჩნდა – ლუკიანესი ანტიოქიაში და ეპისკოპოს გენზიხიასი (ისიხიასი) ალექსანდრიაში, რომლებიც ქრისტიანული სამყაროს სხვადასხვა კუთხეში გავრცელდნენ.

#### 4. ლათინური ბიბლიის შექმნა

რომის იმპერიის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად ბიბლიის ლათინური ვერსიის შექმნის საკითხი დადგა. ამასთანავე, თუკი ბერძნული თარგმანის შემთხვევაში საუბარი მხოლოდ ძველალექსიკონული კანონის „ხელახლა თხზვაზეა“ (რამდენადაც ახალი ალექსიკონის ორიგინალები ბერძნულად დაინერა, თუმცა უკვე ძველ დროშივე გამოითქვა ვარაუდი ზოგიერთი მათგანის უადრესი არამეული რედაქციების შესახებ), ლათინურად ბიბლიის ორივე ნაწილი უნდა გადმოღებულიყო.

როგორც ვარაუდობენ, წმიდა წერილის პირველი ლათინურენოვანი ვარიანტი ჩრდილოეთ აფრიკელმა ქრისტიანებმა II საუკუნეში შექმნეს – შემდგომში ის იტალიის სახელწოდებით გახდა ცნობილი. თუმცა, მისი ისეთი დიდი ქრისტიანი მოაზროვნეების მიერ აღიარების მიუხედავად, როგორებიც იყვნენ ტერტილიანე, კიპრიანე და ნეტარი აგვუსტინე, ზემოხსენებული ვერსია საკმაოდ დიდად განსხვავდებოდა ორიგინალისგან; ამასთან ერთად, მის სხვადასხვა ხელნაწერში არსებითად განსხვავებული იკითხვისები შედიოდა – ეს გარემოება არა მხოლოდ უკიდურესად არასასურველი, არამედ სახიფათოც კი იყო სარწმუნოების ერთიანობისათვის. ლათინურ ენაზე კანონიკური ბიბლიის შექმნის აუცილებლობა IV საუკუნეში წამოიჭრა, როდესაც ქრისტიანობა რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

კათოლიკური ეკლესიის მაშინდელი მწყემსმთავრის-პაპ დამასიასის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ამოცანის შესრულება ევსევი სოფრონ იერონიმეს (340?-420? წ.წ.) დაევალა, რომელსაც, მისივე სიტყვებით რომ ითქვას, წინამორბედთა შრომების გადახედვა და იმის შესწორება უწევდა, რაც „ცუდ მთარგმნელთაგან ურიგოდ იყო გადმოღებული, თავდაჯერებული უმეცრების მიერ კიდევ უარესად გასწორებული და მთვლემარე გადამწერთაგან შემატებული ან შეცვლილი“.

ამასთანავე, იერონიმეს დამოკიდებულება ძველ და ახალ ალექსიკონთა წიგნების გადმოცემისადმი არსებითად სხვაგვარი იყო: თუკი ახალი ალექსიკონის ვერსიაზე მუშაობისას ის თავის ამოცანად, უპირველეს ყოვლისა, არსებული ვარიანტების ერთმანეთთან შედარებას ისახავდა, არჩევდა იმ ვერსიებს, რომლებიც ბერძნულ დედანს შეესაბამებოდნენ და ასწორებდა უზუსტობებს, ძველ ალექსიკონში გაერთიანებული ნაწარმოებების შემთხვევაში იერონიმემ ტექსტები ძველებრად უნიდან ლათინურად თავიდან თარგმნა.

ახალი ვარიანტის შემოქმედს წინამორბედთა ნამუშევარი იმიტომ აღარ აკმაყოფილებდა, რომ ისინი თხზულებებს ხშირად მხოლოდ ზედაპირულად და არა სიღრმისეულად აღიქვამდნენ; ამიტომ წმიდა წერილის თარგმნილი ნივთები გაცილებით მძიმედ და ნაკლებდახვეწილად წარმოდგება, ვიდრე ორიგინალები, რომებიც ნიმუშებია დახვეწილი პოეზიისა. აღნიშნულ მომენტთან დაკავშირებით იერონიმე მთარგმნელის წინაშე წამოჭრილ დილემაზე მიუთითებდა: სიტყვასიტყვით თარგმანს ხომ აბსურდამდე მივყავართ, ხოლო მისგან იძულებით უკანდახვევა კი მთარგმნელის მოვალეობის შეუსრულებლობაა. კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ რომელ გზას აძლევდა უპირატესობას იერონიმე, მკვლევრები ჩვეულებრივ მიმართავენ მის „წერილს პამახიას თარგმანის საუკეთესო წესის შესახებ“, რომელშიც საკუთარი მთარგმნელობითი საქმიანობის დახასიათებისას (ბიბლიის გარდა კი, იერონიმეს მიეკუთვნებოდა: ლათინური ვერსიები საეკლესიო ისტორიკოსის, ევსევის ნაშრომისა, ორიგენეს ნაწარმოებები, დიდიმის საღვთისმეტყველო თხზულება) ავტორი ხაზს უსვამდა, რომ, ანტიკური ეპოქის კლასიკოსების (ციცერონის, ჰორაციუსის, ტერენტიუსის, პლავტუსის, ცეცილიუსის) თვალთახედვათა გათვალისწინებით, იგი ტექსტებს ყოველთვის სიტყვასიტყვით კი არ გადმოცემდა, არამედ მათ აზრს – გარდა წმიდა წერილისა, „რომელშიც თვით სიტყვათა თანმიმდევრობაც კი საიდუმლოების შემცველია“. სხვაგვარადაც რომ ითქვას: იერონიმეს თვალსაზრისით, დიდად დაფასებული ძველრომაული „ხელახლა თხზვის“ მთარგმნელობითი ტრადიციები ღვთის სიტყვის გადმოსაცემად არ გამოდგება (გავიხსენოთ, რომ საკრალური ტექსტები რომაელ მთარგმნელთა მოღვაწეობის სფეროში საერთოდ არ შედიოდა); ამიტომ იერონიმე არა მხოლოდ სახელგანთქმულ აკვილას აკრიტიკებდა, რომლის ბუკვალიზმიც, ფაქტობრივად, დედნის ხელყოფას ნიშნავდა, არამედ იმათაც, ვისაც სწორხაზოვანი სიტყვასიტყვითი გადმოღების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირედ თვლიდა – უმთავრესად ციცერონის „რიტორიკული სულისკვეთებით შეპყრობილ“ სიმახოსს და თვით სეპტუატიას, რომელშიც, ქრისტიანული განმარტებით, უდიდესი სარწმუნოებრივი დოგმის, წმიდა სამების არსი ან სხვაგვარადაა გადმოცემული, ან საერთოდ დუმილითაა გვერდავლილი. ამასთან დაკავშირებით იერონიმე ძველი აღთქმისეული კანონის თარგმნისას დაბეჯითებით მოითხოვს განსხვავებული ინტერპრეტაციის უფლებას (მიუხედავად ქრისტიანული ეკლესიის მიერ სამოცდაათი მთარგმნელის აღიარებისა); თავის ამგვარ დამოკიდებულებას ის შემდეგი მოტივაციით ხსნიდა: ბერძნული ტექსტის შემქმნელნი ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე თარგმნიდნენ და ხშირად არ შეეძლოთ წინასწარმეტყველებათა ჭეშმარიტი აზრის გაგება; ჩვენ კი ახლა, როდესაც ვიცით, რაზეა საუბარი, საქმე გვაქვს არა იმდენად წინასწარუწყებებთან, რამდენადაც – ისტორიასთან; და რადგანაც უკეთ ვიგებთ ტექსტის აზრს, ამიტომ წინამორბე-

დებზე უკეთ თარგმნა შეგვიძლია; აი, რატომ თვლის ხშირად ლათინური ბიბლიის მთარგმნელი აუცილებლად, არ მიჰყვენ ძველ თარგმანებს, არამედ დაემყარონ ორიგინალურ ნყაროებს, რომელთა ნყალობით თარგმანში მოიპოვებენ ჭეშმარიტ ჟღერადობას, სიტყვებს, მნიშვნელობებს, და ურღვევად დაუკავშირებენ მათ ორიგინალის მთლიანობას.

თუმცა იერონიმეს კარგად ესმოდა, რომ, მის მიერ გამოტანილი ყველა დასკვნის მიუხედავად, ძნელად თუ გაეცეოდა მონინალმდეგეთაგან თავდასხმას: „მეცნიერთაგან და უმეცართაგან რომელი მათგანი იქნება, ხელში რომ ამ შრომას აიღებს და მასში, პირველივე სტრიქონებიდან, შერჩეული ტექსტისგან დაშორებას აღმოაჩენს, თავს არ დამესხმება ბრალდებით – ტყუილსა და მკრეხელობაში იმის გამო, რომ ძველ ნიგნებში რალაცის დამატება, შეცვლა ან გასწორება გავბედე“, – სწერდა იგი პაპ დამასიასს.

მართლაც, ქრისტიანთა წრეებში დიდად საპატივცემულო სეპტუაგინტასგან გადაცდომის გამო ზოგიერთმა კრიტიკოსმა იერონიმე ერესში დაადანაშაულა. თუმცა, უკვე VII საუკუნიდან მოყოლებული, მისი ვერსია, რომელმაც „ვეულგატას“ („საყოველთაოდ გავრცელებულის“) სახელწოდება მიიღო, დასავლეთ იმპერიის ეკლესიის მიერ აღიარებულ იქნა და საყოველთაო ხმარებაში დამკვიდრდა, ხოლო ცხრაასი წლის შემდეგ კი 1546 წლის ტრიდენტის კრებამ ის ღვთივმთაგონებულად და ორიგინალთან თანასწორად გამოაცხადა.

ბიბლიის ტექსტის თარგმანის პრობლემებს თავის თეოლოგიურ ტრაქტატში „ქრისტიანული მეცნიერების შესახებ“ გვიანანტიკური ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნე, ნეტარი ავრელიუს ავგუსტინეც (354-430 წ.წ.) შეეხო; იგი იმ ენების ღრმა ცოდნის აუცილებლობას აღნიშნავდა, რომლებზეც ძველ და ახალ აღთქმათა ორიგინალებია დაწერილი, აგრეთვე, მიუთითებდა დედნის „ბუნდოვანი“ (ანუ ძნელადგასაგები) ადგილების „ნათლით“ შეცვლის უნარზე. ავგუსტინე ეხებოდა ისეთ საკითხებსაც, როგორებიცაა: სიტყვათა სხვადასხვაგვარი მნიშვნელობანი, რომლებიც ტექსტის სწორ გაგებას აძნელებდნენ, არქაული ლექსიკა, იდიომები, რეალიები (ამა თუ იმ კონკრეტული ნივთის, ცხოველების, მცენარეების, საყოფაცხოვრებო საგნებისა და ა. შ. სახელები). დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი სხვადასხვა ვერსიის შეპირისპირების პრინციპსაც, ამასთანავე, მიუთითებს იმ დადებით მხარეზეც, რომელიც სიტყვასიტყვით თარგმანებს მოაქვთ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი მთელი თავიანთი გაუმართაობით ორიგინალის გადმოცემისას უფრო ზუსტნი არიან. თუმცა, იერონიმესგან განსხვავებით, თავად ავგუსტინე მთარგმნელობით საქმიანობას არ ეწეოდა, ხოლო მისი

თეორიული მსჯელობანი უფრო ბიბლიურ ეგზეგეტიკას (განმარტებებს) ეხება, ვიდრე თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს.

## 5. ბიბლიის გადმოღება სხვა ევროპულ ენებზე და მასთან ბრძოლა

ბიბლიის ლათინურად თარგმნის თითქმის თანადროულად მისი გოთურ ენაზე გადმოღებაც ხორციელდებოდა, რომლის ავტორიც ეპისკოპოსი ულფილა (იგივე ვულფილა-317?-318 წ.წ.) იყო. ამოსავალ ტექსტად სუპტუაგინტას ერთ-ერთი ვერსია იქნა გამოყენებული. შემონახულია იერონიმეს წერილიც, მიმართული ორი გოთელი სასულიერო პირისადმი – მათში ვულგატის შემქმნელი წმინდა ნიგნების თარგმნის პრინციპებს განმარტავს. იმართებოდა, ასევე დისკუსიები და კამათი ამ პრობლემებზე, რასაც ერთ-ერთი შუა საუკუნეების ძეგლი მოწმობს, რომელშიც წმიდა წერილის ბერძნულად, ლათინურად და გოთურად თარგმნის მეთოდზეა საუბარი. წინასიტყვაობაში მოცემულია მწვავე პოლემიკა იმათ წინააღმდეგ, ვინც ბიბლიური ტექსტის მიმართ თავის თავს ძალიან თავისუფალი მოპყრობის უფლებას აძლევდნენ.

დასავლეთ ევროპის ხალხთა ენებზე ბიბლიის თარგმნის შემდგომი ისტორია კიდევ უფრო მეტი დრამატიზმით გამოირჩევა, ხოლო ზოგჯერ ტრაგიკულადაც მთავრდებოდა. ერთი მხრივ, ჩნდებოდა წმიდა წერილის ახალი ვერსიები, უპირველეს ყოვლისა კი, ახალი აღთქმისეული ლიტერატურისა; მეორე მხრივ, კათოლიკური ეკლესია, რომელსაც ბიბლიური ტექსტების განმარტებაზე მონოპოლიის შენარჩუნება სურდა და მწვალებლური ღვარძლის წარმოშობის გამო შიშობდა, დაუნდობლად ილაშქრებდა იმის წინააღმდეგ, რომ უფლის სიტყვა „ვულგარულ კილოებზე“ ანუ იმ ხალხების ცოცხალ ენებზე აჟღერებულყო, რომლებზეც გავლენა ჰქონდა. ამგვარი აკრძალვის საფუძველი ე. წ. „სამენოვნების“ თეორია უნდა გამხდარიყო, რომელიც VII საუკუნეში ეპისკოპოსმა ისიდორე სევილიელმა განავითარა; მის თანახმად, წმიდად მხოლოდ სამი ენის აღიარება შეიძლება: ძველი ებრაულის, ძველი ბერძნულისა და ლათინურის, რადგანაც, პილატე პონტოელის ბრძანებით, იესო ქრისტეს ცხოველმყოფელ ჯვარს სწორედ ამ სამ ენაზე გაუკეთდა წარწერა: „ესე არს იესო, მეუფე ჰურიათა“ (მათ. 27. 37.). თუმცა აღნიშნული მოსაზრება მაშინვე არ დამკვიდრებულა (კერძოდ, მისდამი იმპერატორ კარლოს დიდს უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა); მაგრამ მოგვიანებით განმტკიცდა პაპების ედიქტებით (XI საუკუნეში გრიგოლ VII-ის, XIII-ში კი ინოკენტი III-ის მიერ); უფრო მეტიც, საეკლესიო სინოდისერთ-ერთი

გადანყვეტილებით, რომელიც XIII საუკუნეში ჩატარდა, ყველა, ვისაც ბიბლიის თარგმანი ჰქონდა და ეპისკოპოსთან დასაწვავად არ წარადგენდა, ერეტიკოსად ცხადდებოდა ყველა მოსალოდნელი სასჯელით. „წყლის მიღება ჯერ-არის წყ-აროდან და არა ჭაობიდან“, – განაცხადა XII საუკუნეში ინგლისელმა საეკლესიო მოღვაწემ, უოლტერ მეჰმა, როდესაც მას წმიდა წერილის რამდენიმე თარგმანი მიართვეს, მისი კოლეგა, დომინიკელი თომას პილმერი ამტკიცებდა, რომ სიტყვა უფლისა ინგლისურ ენაზე ღორების ღრუტუნად და ლომების ბრდღვინვად უღერდა. გერმანიაში არქიეპისკოპოსმა ბერტოლდ მაინცელმა განსაკუთრებული ედიქტი 1485 წელს გერმანულ ენაზე არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ საერო ნაწარმოებების თარგმნა აკრძალა, რასაც იმით ხსნიდა, რომ გერმანულ ენას ლათინური ორიგინალების საკმაოდ ნათლად გადმოცემის უნარი არ აქვს; ხოლო უკვე XII საუკუნეში რომაული კურიის კარდინალი გოზია კათოლიკური ეკლესიის პოზიციას შემდეგი სიტყვებით აჯამებდა: „ნება დართო ხალხს, იკითხოს ბიბლია, ნიშნავს, მისცე სიწმიდე ძალთა და დაუფინო მარგალიტი ღორთა“.  
(მათ. 7. 6.).

საკითხის ასე დასმას ბიბლიის თარგმნისკენ სწრაფვა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ-პოლიტიკურ პრობლემად უნდა გადაეჭყია, რაც ვინრო ფილოლოგიურ ჩარჩოებს დაშორდებოდა. დიდწილად სწორედ ამან შექმნა წინაპირობები იმ კრიზისისა, რომელიც XVI საუკუნეში დასაველეთ ევროპის შემძვრელმა რეფორმატორულმა მოძრაობამ დაძლია.

# მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში

ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. დიდია და განუსაზღვრელი მეცნიერული თვალსაზრისით მისი მნიშვნელობა; ქართულ მწერლობაზე აღბეჭდილია ჩვენი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერიპეტიები, მის ძეგლებში გამოვლენილია უდავო ნიშნები ქართველი ერის შემოქმედებითი პოტენციისა. ქართული ლიტერატურის ნიმუშები შემონახულია სხვადასხვა დროის ხელნაწერებში, რომელთა რიცხვი დღეს 15000-მდე აღწევს. ეს ხელნაწერები გაბნეულია მთელ მსოფლიოში, უდიდესი ნაწილი ინახება საქართველოს მუზეუმსა და სიძველეთსაცავებში, შედარებით უფრო ნაკლები – მოსკოვში, ათონზე, პალესტინაში, სინას მთაზე, აგრეთვე, ევროპისა და ამერიკის კერძო და საზოგადოებრივ კოლექციებში, სადაც ისინი გატაცებულია და მოპოვებული სხვადასხვა დროისა და ჯურის ავანტიურისტების მიერ. ამ ხელნაწერებში დაცულია როგორც მხატვრული, ისე არაერთი დარგის სამეცნიერო ლიტერატურა: საისტორიო, ფილოსოფიური, თეოლოგიური, მათემატიკურ-ასტრონომიული, სამედიცინო, იურიდიული და სხვ. ამ თხზულებათა შორის არის ისეთებიც, რომლებიც საგანგებო ყურადღების ღირსნი გამხდარან არა მარტო ქართველი მეცნიერებისა, არამედ უცხოელი მეკვლევრებისაც. მათი ინტერესი ჩვენი ძველი მწერლობისადმი განსაკუთრებით გაცხოველდა XX საუკუნის დამდეგიდან, როდესაც გამოჩენილმა გერმანელმა ისტორიკოსმა ადოლფ შარნაკმა ერილობით განაცხადა: „როგორც ირკვევა, უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც; გამოჩნდებიან კი ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა... და ახლო გაგვაცნონ მისი საუნჯეო?“ ეს კი გასაკვირი სრულებითაც არ არის. საქმე ისაა, რომ ქართულ ენაზე შემონახულა არა მარტო ორიგინალური მდიდარი და უაღრესად საინტერესო ლიტერატურა, არამედ საკმაოდ დიდი რაოდენობით ისეთი პირველხარისხოვანი ლიტერატურული ძეგლებიც, რომლებიც ქართულ ლიტერატურაში მთარგმნელობის გზით შემოსულან. ასეთ ძეგლთა შორის ზოგიერთი ისეთია, რომელთა დედანი საუკუნეთა განმავლობაში დაკარგულა და დღეს მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა. აი, მიზეზი იმისა, თუ რატომ არის დაინტერესებული უცხოური მეცნიერება ქართული ლიტერატურით: ქართული თარგმანებით უნდა მას აღდგენა მსოფლიო ლიტერატურეს დაკარგული ძეგლებისა.

არსებობა ნათარგმნი ლიტერატურისა ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა: წარმოუდგენელია, ორ მეზობლად მცხოვრებ ერს შორის ალიმართოს კედელი, რომელიც შეუძლებელს გახდის მათ შორის კულტურული ურთიერთობის მოვლენებს. ადამიანთა საზოგადოების ისტორიამ არ იცის არცერთი მაგალითი აბსოლუტურად იზოლირებული კულტურული განვითარებისა.

ქართველი ხალხი არასდროს ყოფილა კულტურულად შემოზღუდული; ის ყოველთვის კურსში იყო იმ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებისა, რომელნიც ამა თუ იმ ეპოქაში აღელვებდნენ კაცობრიობას. მას მტკიცე კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე კულტურის მატარებელ ყველა ქვეყანასთან. თეიმურაზ პირველი ამბობდა: „ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გადმოილოს, უგბილმან და უგუნურმან ვერა რამე წამოილოს“ (ვარდუღბულიანი, სტრ. 2). რადგანაც ქართველები ისეთი „უგბილნი და უგუნურნი“ არ ყოფილან, რომ უნარი არ ჰქონოდათ „კარგის“ შესამჩნევად, ისინი გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს მსოფლიო კულტურის მონაპოვარს და შეძლებისდაგვარად კიდევაც ითვისებდნენ მას. მაგრამ ეს პროცესი „კარგის წამოღებისა“ ცალმხრივი არასდროს ყოფილა; „კარგი“ არაერთ ქვეყანას შეუძენია და გაუტანია საქართველოდან შუა საუკუნეების ისეთ დიდსა და მძლავრ ქვეყნებსაც კი, როგორც იყო ბიზანტია დასავლეთით და ირანი აღმოსავლეთით.

უდავოა, რომ უცხოეთიდან შემოსული თხზულებები ამდიდრებდნენ ჩვენს ლიტერატურას, ამდიდრებდნენ როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივადაც. მაგრამ ეს „გამდიდრება“ ზიანს ხომ არ აყენებდა მას, ხომ არ ჩრდილავდა და ხომ არ ახშობდა მის ეროვნულ ხასიათს და თვითმყოფობას? რასაკვირველია, არა!

საქმე ისაა, რომ ნათარგმნი თხზულებები შემთხვევით და უმიზეზოდ როდი ჩნდებიან ამა თუ იმ ლიტერატურაში, ისინი გამოწვეულნი არიან სოციალური და კულტურულ-ისტორიული მოთხოვნილებებით, რომელთაც აყენებს აზროვნების ადგილობრივი მიმდინარეობა; ითარგმნება ის, რასაც თხოულობს არსებითი, ყოველდღიური საჭიროება, ითარგმნება უცხო მასალა, ხოლო შერჩევას აწარმოებს, თარგმნის და ითვისებს ეროვნული სპეციფიკა და შენება, ერთი სიტყვით, ითარგმნება ის, რაზედაც აუცილებელი მოთხოვნილებაა, მოთხოვნილება კი მაშინ წამოიჭრება, როდესაც მთარგმნელ ქვეყანაში თავს იჩენს იმგვარივე განწყობილებანი, რომელნიც გაფორმებულნი არიან გადმოსაღებ თხზულებაში. ასე რომ, თუ ქართველები თარგმნიდნენ ამა თუ იმ თხზულებას, ეს იმიტომ, რომ იმაში ხედავდნენ და პოულობდნენ პასუხს მათთვის საჭირობოროტო და სასიცოცხ-

ლო საკითხებზე. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გადმოლება უცხო თხზულებისა იყო არა მექანიკური აღქმის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადა-მუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა. ქართველთა შემოქმედებითმა გენიამ შეძლო ნათარგმნი ლიტერატურის ასიმილირება, თავის საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადახარშვა და გადადნობა მისი ეროვნული საქმიანობის ბრძმედში. თუ დღეს თარგმანისაგან მოვითხოვთ, რომ ის იყოს ზედმინვნითი, ზუსტი, დედანთან შეძლებისდაგვარად ადეკვატური, ძველ საქართველოში ასეთ მოთხოვნილებას პედანტურ ხასიათს არ აძლევდნენ. მართალია, იყვნენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ისეთი პირები და იყო ისეთი მომენტები, როდესაც ასეთ სიზუსტეს ყურადღებას აქცევდნენ, მაგრამ, როგორც ამას დავინახავთ, მოთხოვნა ასეთი სიზუსტისა დეკლარაციად რჩებოდა, ტრადიცია კი თავისას აკეთებდა. ჩვენში თავიდანვე განმტკიცებული ყოფილა ტრადიცია „თავისუფალი თარგმანისა“. თეორია „შემატება-შემოკლებისა“ მარტო წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანებში როდი იჩენდა თავს, ის ამა თუ იმ საზომით სხვების მუშაობასაც წარმართავდა. მთარგმნელობის პროცესში ქართველები მონურად არ მისდევდნენ სათარგმნელ ნიმუშებს. იშვიათად შევხვდებით ჩვენ ძველ მწერლობაში ისეთ გადათარგმნილ ძეგლს, რომელიც სიტყვასიტყვით, უცვლელად იყოს გადმოღებული; მთარგმნელებს შეაქვთ თავიანთ თარგმანში ქართული სული, ქართული შეგნება, ქართული სახეები და კოლორიტი, ქართული გეოგრაფიულ-ისტორიული სახეები და ტერმინები, თავისებურად, ქართულად ამოკლებენ თუ ავრცობენ მათ; ასე რომ, ეს ნათარგმნი ძეგლები ხშირად ორიგინალური შემოქმედების მიჯნამდე მიდის. მაგრამ ეს „თავისუფლება“, ეს „შემატება-მოკლება“ არ მიდიოდა იქამდე, რომ დედანი დამახინჯებულიყო; მთავარი, არსებითი მხარე დედნისა როგორც იდეური, ისე მხატვრული თარგმანში გადმოდიოდა, ან წმ. ეფრემ მცირის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, თარგმანი „მასვე პირსა იტყოდა“, რაც დედანში იყო მოცემული.

ნათქვამის საილუსტრაციოდ უნდა განვიხილოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი თარგმანი როგორც საეკლესიო, ისე საერო მხატვრული მწერლობის დარგიდან და ვაჩვენოთ მათი დამახასიათებელი სპეციფიკური ქართულიზმები; უიმისოდ ჩვენი ნათქვამი უბრალო სიტყვად, დეკლარაციად დარჩება.

# სასულიერო მწერლობის ნიმუშები

ქართული საეკლესიო მწერლობა იწყება ბიბლიური წიგნების გადმოღებით, რომელთაგან ახლადგაქრისტიანებული ერისთვის განსაკუთრებით საყურადღებო იყო სახარება და დავითნი. უნდა გვეფიქრა, რომ ბიბლია, როგორც ქვაკუთხედი და საყრდენი ახალი მოძღვრებისა, თავისი ნმიდა, კანონიკური სახით გადმოვიდოდა ქართველობაში, მაგრამ რას ვხედავთ სინამდვილეში? რამდენადაც ქართველებმა ახალი რელიგიური სისტემა ძველ წარმართულ სარწმუნოებაზე დაამყნეს, იმდენად ბიბლიური წიგნების მთარგმნელნი იძულებულნი ხდებიან, შეეგუებინათ თავიანთი თარგმანი წარმართული აზროვნებისათვის, რამდენადაც კი ეს მოსახერხებელი იყო, და გამოეყენებინათ მარაგი წარმართული საკრალური ენისა. აი, ამ მარაგიდან იღებდნენ პირველი მთარგმნელები ენობრივ, მხატვრულ და აზრობრივ საშუალებებს, რომ გადმოეღოთ საჭირო წიგნები და გასაგები გაეხადათ ისინი იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გათავისუფლებულნი წარმართული ტრადიციებისგან. ახალი იდეები, ახალი აზრები, ახალი ფილოსოფიურ-რელიგიური და მორალური შეხედულებანი ხშირად გადმოიცემიან ამ თარგმანში ისეთი სიტყვებითა და ტერმინებით, ისეთი ფორმებითა და სახეებით, რომელნიც უშუალოდ წარმართული წყაროდან მოდიან და რომელნიც ქართულ ქრისტიანობას სინკრეტულ ხასიათს აძლევდნენ. პროცესი ბიბლიური წიგნების გასწორებისა, რომელსაც ადგილი აქვს საუკუნეთა განმავლობაში, მიზნად ისახავდა ქართული ტექსტის ბერძნულ დედანთან დაახლოებას, პირველ ყოვლისა, იმ მიზნით, რათა ქართული თარგმანიდან განდევნილი ყოფილიყო წარმართული ელემენტები. მაგრამ ამას ვერ ახერხებდა წმ. გიორგი მთაწმიდელიც კი, რომლის შესახებ წმ. ეფრემ მცირე ამბობდა, რომ წმ. გიორგიმ ვერ განყვიტა კავშირი ძველ ქართულ ტექსტთან და ვერ გადმოცა ქართულად ბერძნული დედანი საჭირო სიზუსტითო. ვერც წმ. ეფრემ მცირეს მოუხერხებია მთლიანად თავის დაღწევა ამ ელემენტებისაგან, რადგანაც ამბობს ის: ზეპირად ვიცოდი ძველი თარგმანები და ძალაუნებურად მეპარებოდა ჩემ თარგმანში ძველი სიტყვები და წინადადებებიო. აღნიშნული მიზეზის გამო სახარებისა და დავითნის ძველ რედაქციებს გიორგისა და ეფრემის დროის ქართველთა შორის შერჩენიანთ სახელი ქართული არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ ისინი ქართულ ენაზე არსებობდნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი გაჟღენთილნი იყვნენ ქართული სულით, იმაში ქართული გული ფეთქავდა.

ეკლესიამ თავიდანვე შეიმუშავა ერთი ქრისტიანული კალენდარი, ერთი სისტემა წელთაღრიცხვისა, ერთი კოდექსი ლიტურგიკული საკითხავებისა; ყველაფერი

ეს სავალდებულო იყო მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის. ქართველებს ეს მასალა სრულიად გადმოუტანიათ თავიანთ პრაქტიკაში, მაგრამ ამასთან ერთად და ამის ნიადაგზე შეუმუშავებიათ საკუთარი სისტემა დღესასწაულებისა, წელთაღრიცხვისა, საკითხავებისა, სისტემა, რომელსაც ძველ ძეგლებში ეწოდება ქართული: ქართული კალენდარი, ქართული „განყოფა“ საკითხავებისა, ქართული ქრონოლოგია და ა. შ.

ყველაზე მეტად ქართული ელემენტები შეუტანიათ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, როგორებიცაა ოკტოიხოსი, მარხვანი, ზატიკი და იადგარი ან სადღესასწაულო – ეს კრებულები შემუშავებულა ბიზანტიაში, ისინი შეიცავენ სხვადასხვა ცნობილი ჰიმნოგრაფის პროდუქციას. თითოეული მართლმადიდებელი ერი თარგმნიდა ამ კრებულებს, ქართველებიც ასე მოქცეულან, მაგრამ ამავე დროს მათ დაუნერიათ საკუთარი ორიგინალური ჰიმნები ამ კრებულებისათვის, ე. ი. შეუთხზავთ საკუთარი ქართული ოკტოიხოსი, იადგარი, მარხვანი და ზატიკი. ამ არაჩვეულებრივ, ისტორიაში ერთადერთ მაგალითს თავი განსაკუთრებით მეათე საუკუნეში უჩენია.

ამგვარსავე მოვლენას ვხედავთ ჩვენ ლიტურგიკულ მწერლობაშიაც. ქრისტიანობამ შეიმუშავა გარკვეული ტიპი ღვთისმსახურებისა, რომელიც წარმოდგენილია ე. წ. ტიპიკონში. ამ წიგნს თარგმნის თავის ენაზე ყველა მართლმადიდებელი ერი, უთარგმნიათ ის ქართველებსაც. ყველაზე ადრინდელი რედაქცია ამ წიგნისა მოცემულია ე. წ. „კანონარში“. მისი ქართული თარგმანი დღეს გამოცემულია. იმაში იმდენ თავისებურებას აქვს ადგილი, იმდენი ქართული ელემენტია შეტანილი, რომ ამ წიგნს ჩვენები „ქართულ კანონს“ უწოდებდნენ. უთარგმნიათ ქართულად, აგრეთვე, ამ წიგნის მომდევნო რედაქციები: კონსტანტინოპოლური და საბანმიდური. ამ თარგმანში თითქმის ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით ასეთ შენიშვნას: „საყუარელნო, თუმცა ბერძენნი ამადაამ დღესასწაულს ასე ასრულებენ, თუმცა ისინი ამადაამ საგალობელს გალობენ, თუ საკითხავს კითხულობენ, ჩვენ ასე, ჩვენებურად, და არა ისე ვასრულებთ“. ასეთი რედაქციული შენიშვნები და შესწორება-დამატებანი გამომხატველია იმ ქართული სულისა, რომელიც შეჭრილია ამ წიგნში.

ზედმეტია ლაპარაკი წიგნზე, რომელსაც „კურთხევანი“ ეწოდება და რომელშიაც შეტანილია წესი სხვადასხვა შემთხვევის გამო შესასრულებელი საეკლესიო მსახურებისა, მათ შორის, წირვის წესისაც. ამ წიგნში ქართველებს შეუტანიათ იმდენი თავისებურებანი, იმდენი თავისი საკუთარი წესები, რომ ბერძნები, რომლებიც ამ წესებს ეცნობოდნენ, ქართველების „ბერძნობაში“, ესე იგი,

მართმადიდებლობაში, ეჭვს გამოთქვამდნენ. ეს არც გასაკვირია, რადგანაც ბიზანტიაში, წმ. ეფრემ მცირის მონუმენტით, ასეთი შეხედულება ყოფილა დამკვიდრებული: „წმიდათა თქუმულსა და მართლმადიდებელთა მამათა აღწერილსა ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდასა სახარებასა და ებისტოლეთა პავლე მოციქულისათა, რაოდენცა ლიტონითა სიტყვითა აღწერილ იყოს, არა თუ ვინმე იყოს სულელ, უფროასლა მწვალებელ და განვრდომილ ეკლესიისაგან“. ქართველ მთარგმნელებს არ აშინებდათ ის გარემოება, რომ მათ ბერძნები მწვალებლებად ჩათვლიდნენ – ასეთი ბრალდების გაბათილებას ისინი ადვილად ახერხებდნენ და „მართლმადიდებელ მამათა აღწერილი“, ესე იგი პატროლოგიური შრომებიც, იმავე მეთოდით გადმოჰქონდათ ქართულ ენაზე.

ტიპური წარმომადგენელი ასეთი მეთოდით მუშაობისა ძველ მწერლობაში წმ. ექვთიმე ათონელია. წმ. ექვთიმე უმთავრესად მთარგმნელი იყო, რიცხვი მის მიერ გადმოთარგმნილი თხზულებებისა ასამდე აღწევს; მას მუდამ მხედველობაში ჰქონდა თავისი თანამემამულეების სულიერი მოთხოვნილებანი, მომზადებისა და განვითარების დონე, მათი „ფსიქიკური“ სპეციფიკური თვისებანი და თავის თარგმანებს უფარდებდა ამ მოთხოვნილებებს, დონეს და თვისებებს. ჩვენ ვერ ვიპოვით მის თარგმანთა შორის ვერცერთს, რომელშიც დედანი გადმოღებული იყოს ისე, როგორც ის მისი ავტორის ხელიდან გამოსულა. ის ან მიუმატებდა დედანს, ან მოკლებდა მას, ან შეცვლიდა თავისებურად თხზულების ამა თუ იმ ადგილს და იძლეოდა სათარგმნი თხზულების საეცებით ახალ რედაქციას. წმ. ეფრემ მცირე, ითვალისწინებს რა ამას, შენიშნავს: წმ. ექვთიმეს “მადლითა სულისა წმიდისაჲთა ხელენიფებოდა შემატებაჲცა და კლებაჲცა”, ის, მსგავსად მზრუნველი მშობლებისა, რომელნიც ჩვილ ბავშვებს რძითა და რბილი საჭმლით კვებავენ, თავისი დროის ქართველებს შეზავებული და ადვილად მოსანელბელი სულიერი საზრდოთი ზრდიდაო. დღეს არაერთი ასეთი თარგმანია წმ. ექვთიმეს მემკვიდრეობიდან შესწავლილი და გამოვლენილი. მისი მთარგმნელობითი მეთოდის გასათვალისწინებლად მოვიყვანთ ერთ პატარა მაგალითს. წმ. ბასილი დიდის „ცხოვრებაში“ ერთ-ერთი ერის შესახებ, ბერძნული რედაქციით, ნათქვამია: „არა მარტივ ნათესავ ვჰპოვებ ერსა მას, არამედ ფრიად დაფარულ რაჲმე ზღვის კლდე“; ეს პატარა წინადადება წმ. ექვთიმეს განუვრცია: „ვითარცა არს ნათესავი იგი არანრფელ, არამედ მზაკუევარი, გულარძნილი და ბოროტი, მიმსგავსებული კლდეთა მათ, რომელნი არიან დაფარულ ზღუასა შინა, და ვერ იხილვენ მათ მენავენი, ვიდრე არა სცენ ნავი და განტეხონ, ესრეთ სხუასა იტყვიან იგინი და სხუა უც გულსა მარადის, და სარწმუნოებაჲ მათთანა არა არს და რაჲ საკვირველ არს, უკუეთუ ეცრუნენ, ვინაჲთგან თავადისა ღმრთისა მიმართ ცრუ არიან და მზაკუევარ და ბოროტად აღმასრულებელ“.

ნმ. ექვთიმეს მეთოდს არა ისე მკვეთრად, მაგრამ სხვებიც იყენებენ შემდგომ, მაგალითად, ნმ. გიორგი ათონელი და ნმ. ეფრემ მცირე. პირველმა ამათგანმა თარგმნა ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელსაც „თთუენი“ ეწოდება, მეორემ დავითნის „კატენები“, ესე იგი „განმარტებანი“. ნმ. ეფრემ მცირე ასე ახასიათებს როგორც ნმ. გიორგის, ისე თავის შრომას: ნმ. გიორგის „სათუეო“ საგალობელი არა ერთისა, არამედ მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებილ არს, და ერთსა წიგნსა შინა ბერძულად არა რომელსა იპოების ეგდენი საგალობელი; ეგრეთვე ჩვენი ესე თარგმანება დავითისაა“. დავითნის აქ დასახელებულ „კატენებთან“, რომელიც ნმ. ეფრემის ხელიდან გამოვიდა, არ შეიძლება, არ გავიხსენოთ მთელი ბიბლიის „კატენები“, რომელთაც ქართულ რედაქციაში მიუღიათ იმდენად სრული სახე, რომ მთელ საქრისტიანო მწერლობაში ამის მსგავსი არ მოიპოვება (A 1108). მოვიგონოთ ნმ. ეფრემ მცირისა და ნმ. არსენ იყალთოელის თარგმანები ნმ. იოანე დამასკელის ფილოსოფიური შრომისა, რომელსაც „გარდამოცემა“ ეწოდება, თუგინდ ნმ. ანდრია კრეტელის „დიდი კანონი“, რომელიც ნმ. ექვთიმე ათონელს „დაკლებით“ უთარგმნია, ნმ. გიორგის „შემატებით“, ხოლო ვინმე არსენის „ძლისპირთა“ შეცვლით.

იოანე პეტრიწი თითქოს პრინციპულად იცავდა ქართული თარგმანების სიზუსტეს და თარგმანის დროს ტექსტის უცვლელობას, მაგრამ მანაც კი ვერ დააღწია თავი ტრადიციას. ნმ. ნემესიოს ემესელის თხზულების – „ბუნებისათვის კაცისა“ – თარგმანში პეტრიწმა, სადაც საჭიროდ დაინახა, აქა-იქ ტექსტი შეცვალა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როცა მთარგმნელი გრძნობს, რომ ესა თუ ის უხერხული მაგალითი ბერძნული ტექსტისა ქართველ მკითხველზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენს, ანდა მის ზნეობრივ შეგნებას შელახავს. მაგალითად, ნმ. ნემესიოსი ერთ ადგილას მსჯელობს ნივთისა და მოქმედების შესახებ. ბერძნულ დედანში ნათქვამია: „ნივთად წინამდებ არს დედაკაცი, ხოლო მოქმედებას ამისდა – სიძვა, მრუშება, გინა კანონიერი კავშირი“. იოანე პეტრიწს ეს ადგილი ასე გადმოუღია: „ნივთად წინამდებ არს შეშაჲ, ხოლო ამისთვის მოქმედებად ხუროვნობა“. ავილოთ თუგინდ პეტრიწის მიერ თარგმნილი „კავშირნი“ პროკლე დიადოხოსისა. ქართულ მწერლობაში ეს თხზულება შემოვიდა იმ ღირშესანიშნავი კომენტარებით, რომლებიც ბერძნულ ტექსტს არ ახლავს და რომლებიც ამ თხზულებას ქართული მწერლობის ძეგლად ხდის. ასეც უყურებდნენ მას მომდევნო საუკუნეებში როგორც ქართველები, ისე დიოფიზიტი სომხები, რომელნიც მას „ქართულ კავშირს“ უწოდებდნენ გასარჩევად ბერძნულისაგან.

არ გამოვუდგებით ნიმუშების გამრავლებას. მოტანილი მაგალითიც საკმარისია იმის დასანახავად, რომ ქართველები საეკლესიო-დიგმატიკური ხასიათის

თხზულებათა თარგმანშიც კი იჩენდნენ იმდენ თავისუფლებას და თავისებურებას, რომ ეს თარგმანი ორიგინალური, ქართული ძეგლის მიჯნებს უახლოვდება.

თუ შინაარსის შემდეგ ფორმას დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ მხრივაც არის ცდები უცხო მასალის ქართული ფორმით გამოცემისა, განსაკუთრებით პოეზიის დარგში, პირველ რიგში, ჰიმნოგრაფიის ხაზით. მართლაც, ბერძნული საგალობლის პროზაულ თარგმანში გამოყენებულია მთელი არსენალი ქართული პოეტური მეტყველებისა: მეტაფორები, შედარებები, მხატვრული სახეები, აღებული ქართული სამყაროდან. განსაკუთრებით დიდ თავისებურებას იჩენდა საგალობელთა გადმოღებისას წმ. გიორგი ათონელი. წმ. იოანე დამასკელის საგალობელთა ერთი ჯგუფის თარგმნისას ის ამბობს: ამ საგალობლების ქართულად გადმოღებას, მათი აკროსტიხის სირთულის გამო, „დიდი ჭირი უნდა“; ვინაიდან ამათი „თარგმნა უღონო არს ყოვლადვე და შეუძლებელი“, მე ქართულად აღვწერე მთელი აკროსტიხიო. საგალობელთა მეორე ჯგუფის შესახებ ის შენიშნავს: ბერძნებს ეს საგალობლები „უძლისპიროდ“ აქვთ, ეს მათი საქმეა, მათ იცინანო; მე რომ ასე მეთარგმნა, „უგემურად მოვიდოდა“, ამიტომ მე ისინი „ძლისპირსა“ ზედა გადმოვიღე, რაცა ძლისპირი მოუვიდოდა, რომელი ძუელითაგან ვიციოთ, იგი ეგრეთვე ითქმოდისო“. არის ცდები ბერძნულად პროზით დაწერილი თხზულების ლექსად გადმოღებისა; ასე, მაგალითად, წმ. მიქელ საბანმიდელის ვრცელი პროზაული „მარტვილობა“ მეათე საუკუნეში გადმოუღიათ თავისებური ქართული რითმოვანი ლექსით. მეთორმეტე საუკუნეში წმ. ეფრემ მცირე თავის თარგმანში რუსთველურ შაირს იყენებს. არას ვამბობთ აღორძინების ხანის შესახებ, როდესაც რუსთველური შაირით მთელი ბიბლიური და ჰაგიოგრაფიული წიგნები ილექსება.

თუ ასეთი იყო მდგომარეობა სასულიერო მწერლობის დარგში, რაღა უნდა ყოფილიყო საერო ლიტერატურის ძეგლთა თარგმნისას? გადავიდეთ ამის განხილვაზე.

# საქართველოს ლიტერატურის თარგმანები

თუ ქრისტიანული სამყაროდან შემოსული ძეგლები ქართულ სახეს ღებულობდნენ ჩვენში, ეს შეიძლება იმდენად გასაკვირი არ იყოს. როგორც უნდა იყოს, საქართველო ქრისტიანული ქვეყნების რკალში შედიოდა. როგორ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ ჩვენში არანაკლებ გაქართულებულა მაჰმადიანური სამყაროდან შემოსული ძეგლები? ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ავხსნათ იმით, რომ, სიუჟეტურ-ფაბულურად და მხატვრულად საინტერესო, ლიტერატურული ძეგლები იდეოლოგიურად მიუღებელნი აღმოჩნდნენ და ამიტომ საჭირო გამხდარა მათი იდეოლოგიურად გაქართულება. იდეოლოგიურ მხარესთან ერთად უნდა შეცვლილიყო და გადაკეთებულიყო ყოფაცხოვრებითი დეტალებიც, რომელნიც ძალაუხერხად აგონებდნენ მკითხველებს ქართული ეროვნული თვითმყოფობის დაუძინებელ მტერს – მაჰმადიანურ სამყაროს. ამ მხრივ მეტად საინტერესო მუშაობა ჩატარებულა ქართულ ლიტერატურაში.

დავინწყით საყოველთაოდ ცნობილი რომანიდან, რომელსაც „ვისრამიანი“ ეწოდება. ქართული თარგმანი ამ რომანისა ზოგადად საკმაოდ ზუსტად მისდევს დედანს, მაგრამ ამ დედანს თარგმანში იმდენად უცვლია სახე, რომ შესაძლებელი ხდება „ქართული“ ვისრამიანის“ შესახებ ლაპარაკი. როდესაც ვამბობთ, „ქართული“ ვისრამიანი“, არ გვინდა გამოვიყენოთ ნიკო მარის თეორია იმის შესახებ, რომ თავდაპირველი ფალაური მოთხრობა, რომლიდანაც წარმოშობილა სპარსული „ვისრამიანი“, შექმნილი იყო იაფეტურ-ქართულ წრეში და ამიტომ ეს თხზულება ქართველი ერის ბუნებასთან უფრო დაახლოებული იყო, ვიდრე სპარსულის ბუნებასთან – არ ვიყენებთ იმიტომ, რომ ამის დამადასტურებელი საბუთი, თვით ნ. მარის სიტყვით, ჩვენამდე არ შემონახულა; გამოვალთ „ვისრამიანის“ დღეს ცნობილ სპარსულ დედანთან შედარებიდან. რას დავინახავთ ამ შემთხვევაში?

უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებით დადგენილია, რომ ქართული თარგმანი ბევრად განსხვავდება დედნისაგან: „თარგმანში სრული სიზუსტე არ არის მიღწეული, ქართველი მთარგმნელი თავისუფალი თარგმანის პრინციპს ადგია, ის პედანტურად არ იზღუდავს თავს და ზოგჯერ დედნის გააზრებაში მნიშვნელოვანი, პრინციპული კორექტივიც კი შეაქვს“ (ალექსანდრე ბარამიძე). თარგმანში საგრძნობლად შეტანილია ქრისტიანული ელემენტი, შერბილებულია ხორციელი სიყვარულის ეფექტურად ამსახველი ადგილები, რომლებიც დედანს ახასიათებს; მთარგმნელი ცდილობს, აზრი გასაგები გახადოს ქართველი მკითხ-

ველისათვის, ამისთვის ის ცვლის დედნის ზოგიერთ ადგილს, მაგალითად, ჯეონის მაგიერ ასახელებს მტკვარს; ხან ავრცობს, ხან ამოკლებს ტექსტს, შეაქვს თარგმანში ქართული სინამდვილის დამახასიათებელი მხატვრული სახეები. თარგმანში იმდენი თვალსაჩინო მაგალითია წმინდა ქართული ზნე-ჩვეულებები-სა, რომ ჩვენში ყოფილან ისეთები, რომელთაც სწამდათ თურმე რომანის ქართული წარმოშობა.

„ვეფხვისტყაოსნის“ შემდეგ ძველ საქართველოში ყველაზე უფრო პოპულარულ და საყვარელ წიგნად ითვლებოდა „როსტომიანი“, რომლითაც მეჩვიდმეტე საუკუნის მისიონერ ბერნარდეს მონშობით, ქართველები უსაზღვროდ გატაცებული ყოფილან. ამის მიზეზი იყო, ალბათ, როგორც ერთ-ერთ მნიშვნობარს შეუნიშნავს „როსტომიანის“ ხელნაწერებში, ის გარემოება, რომ თხზულება ხელს უწყობდა საქართველოში „სიმხნისა და ახოვნისა სულის განღვიძებას“ და მკითხველ საზოგადოებას აგონებდა „ძველსა ზნეობასა და ზოგადსა ჩვეულებასა ძველთა ქართველთა“. „როსტომიანის“ გმირები ჩვენს ერს ნაციონალურ ჭაბუკებად გადაუქცევია (ალექსანდრე ხახანაშვილი). ამ გმირების სახელები ქართულ სახელებად ქცეულან დროთა მსვლელობაში. ეს გარემოებაც ნათელყოფს, რომ ქართველთა შეგნებაში ამ თხზულებას ეროვნული ლიტერატურული ძეგლის ხასიათი მიუღია და იმაში „ქართული“ შაჰნამე“ დაუნახავს. ასევე შეხედულებას ამართლებს ქართული „როსტომიანის“ ურთიერთობა სპარსულ „შაჰნამესთან“. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ნ. მარი ამბობდა: „ქართული“ „როსტომიანი“ თარგმნად არ ჩაითვლება, ის, შედარებით სპარსულ დედანთან, ძალიან შემოკლებულია, ხშირად, რასაც ფირდოუსი ოცსა და მეტს წყვილ-წყვილ ლექსს ანდომებს, ის ქართულ თარგმანში ერთ ოთხტაეპიან ხანად არის თქმული“. მთარგმნელი თუ გამლექსავი საკუთარი შეხედულებისა და გემოვნების მიხედვით ხშირად ამოკლებს ამა თუ იმ ადგილს, მაგალითად, მეფეთა ისტორიას ის თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს, სამაგიეროდ, ფალავნების, განსაკუთრებით როსტომის, ერთმანეთთან და დევებ – ავსულებთან ბრძოლას უფრო უსვამს ხაზს. ამავე დროს მას შეაქვს შიგ პირადი ერუდიციისა და მსოფლმხედველობის დამახასიათებელი ცნობები და ტერმინები. ამით აიხსნება, რომ „როსტომიანში“ ჭარბადაა წარმოდგენილი ქრისტიანული ელემენტი; ამითვე აიხსნება ქართული ელემენტების შეტანა თხზულებაში, მაგალითად: „აქა წიგნი აფრასიაბისაგან ზურაბთან ქართულად მინაწერი“ და სხვ. რაც შეეხება „როსტომიანის“ პოეტურ მხარეს, მისი პოეტური მეტყველების საერთო სურნელება არ არის სპარსული პოეზიიდან მონაქროლი. „როსტომიანში“, ქართვეული პოეტის მიერ დამოუკიდებელი პოეტური აზროვნების შედეგად, საერთო პოეტური ფერების, შედარება-მეტაფორების ახალი გააზრება და განლაგება გვაქვს, რაც

ქართულ ვერსიას აშორებს სპარსულს და დამოუკიდებელი ნაწარმოების სახეს აძლევს (დავით კობიძე). ქართველი პოეტები, მართალია, სპარსულ წყაროებში ეცნობიან ამბავს, მაგრამ ისინი ამ წყაროების მთარგმნელებად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით როდი გვევლინებიან, მათ აქვთ საკუთარი პოეტური წვა, ისინი საკუთარი პოეტური ნიჭითა და გრძნობით, საკუთარი პოეტური ალლოთი ცვლიან სპარსულ ვერსიებში წარმოდგენილ პოეტურ ფერებს, ალაგ-ალაგ შინაარსსაც კი, და, ამგვარად, ამუშავებენ, აქართულებენ „შაჰ-ნამეში“ მოთხრობილ ამბებს. ძნელია „როსტომიანში“ ნათარგმნი თხზულება ვიცნოთო“, – ასკენის ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე, დავით კობიძე, ქართული „როსტომიანისა“ და სპარსული „შაჰ-ნამესი“.

„როსტომიანის“ შემდეგ ერთ-ერთ პოპულარულ ნაწარმოებად ითვლებოდა სამიჯნურო პოემა „ბარამგურიანი“. ეს დიდი მოცულობის, მომხიბლავი შინაარსის პოემა ნიჰამი განჯელმა დაწერა; ნიჰამის მიბაძვით აღმოსავლეთის ლიტერატურაში შეუთხზავთ რვაზე მეტი რედაქცია ამ თხზულებისა, თითოეული მათგანი ლიტერატურის ისტორიაში შესულა როგორც დამოუკიდებელი თხზულება, მაგალითად, ალიშერ ნავოის უზბეკური რედაქცია, ხოსრო დეჰლევისა და სხვ. ქართულ ლიტერატურაში ეს თხზულება შემოუტანია მეჩვიდმეტე საუკუნეში პოეტ ნოდარ ციციშვილს. როგორც დღეს გარკვეულია, ნოდარის შრომა განსხვავდება აღმოსავლური რედაქციებისაგან როგორც შინაარსობლივად, ისე მხატვრულად. ბარამის თავგადასავალი ნოდარს წარმოდგენილი აქვს კომბინირებული სახით, ძირითად ქარგაზე მას ამოუქსოვია ზოგიერთი ისეთი ნოველა, რომელთა შესატყვისს სხვა რედაქციაში ვერ ვპოულობთ. იმაშიც კი, რაც საერთო აქვს აღმოსავლურ რედაქციებთან, ნოდარი დიდ თავისებურებას იჩენს. შინაარსისა და ფორმის მხრივ, აგრეთვე, მასალის მხატვრული დამუშავებით ნოდარი არ ჩამოუვარდება არც ნიჰამის გამგრძელებლებსა და მიმბაძველებს, არც თვით ნიჰამის. ზოგიერთი მისი სურათი უკეთესია, ვიდრე ნიჰამისა. ნოდარის შრომა არის არა თარგმანი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ გადმოკეთება-გადამუშავება და, როგორც ასეთი, წარმოადგენს თავისებურ ქართულ რედაქციას, უფრო დამოუკიდებელს, ვიდრე ნიჰამისაგან მომდინარე სპარსულ-თურქული რედაქციებია ამ თხზულებისა. ამიტომ, თუ შესაძლებელია, ხოსრო დეჰლევს, ჰათიფს, ნავოის და სხვებს, რომელნიც ამ პოემის დამუშავებაში ნიჰამს ბაძავენ, ეწოდოთ ავტორები, იმავე საფუძვლით, და უფრო მეტიც, ნოდარ ციციშვილსაც შეგვიძლია ვუწოდოთ ავტორი თავისებური, დამოუკიდებელი რედაქციისა და არა მთარგმნელი.

„ბარამგურიანთან“ დაკავშირებით თუ გავიხსენებთ ჩუბინ ქირმანელის „ბარამგულიჯანიანს“, რომელიც ჩვენ მწერლობაში ონანა მდივანს შემოუტანია, დავინახავთ, რომ ონანას შრომა ეპიზოდებით, მათი კომბინაციითა და გაფორმებით პირნავარდნილი გამეორებაა „ვეფხისტყაოსნისა“. ის შევსებულია სხვადასხვა პასაჟით, აგრეთვე, თეიმურაზ პირველის შრომებიდან, ასე რომ, იმაში სპარსული თითქმის არაფერი დარჩენილა. ეს გარემოება, რასაკვირველია, ქართველ მკითხველებზე შესაფერ შთაბეჭდილებას ახდენდა.

თავისუფალი მთარგმნელობის ტრადიციას იმდენად ჰქონდა ფესვები გადგმული ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში, რომ იმისგან თავს ვერ აღწევდნენ მაშინაც კი, როდესაც საგანგებოდ თხზავდნენ ზუსტ, დედნის ადეკვატურ ტექსტს; ამის შესახებ ზემოთაც იყო მოხსენებული. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ უდიდესი ნაწარმოები „ქილილა და დამანა“. ვფიქრობ, სახარების ტექსტზედაც კი არ გაუნევიათ ძველი დროის ქართველებს იმდენი სარედაქციო მუშაობა, რამდენიც მეთვრამეტე საუკუნეში გასწიეს „ქილილა და დამანას“ ტექსტზე, განსაკუთრებით ვახტანგ მეექვსემ და სულხან-საბა ორბელიანმა. ასეთ მუშაობას თხოულობდა მათგან ლირებულება და ხასიათი ამ წარუვალი მნიშვნელობის თხზულებისა. რა გამოამუღავნა უკანასკნელი წლების სპეციალურმა კვლევა-ძიებამ?

მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგის სურვილი იყო, ზედმინევენით ზუსტი თარგმანი მოეცა, მის შრომაში დედნის პარალელიზმი ხშირად უგულვებელყოფილია, აზრი გამარტივებულია, ფრაზა თუ წინადადება შეკვეცილია. მას განუცდია რელიგიური ხასიათის ცვლილებანი: გამოგდებულია სიტყვა „მაჰმადიანი“ და სახელი „მაჰმადი“, მათ მაგიერ ნახმარია „მართლმადიდებელი“, „წინასწარმეტყველი“, „ბრძენი ფილოსოფოსი“. ვახტანგი თავის დედანს აქართულებს არა მარტო რელიგიურად, არამედ ყოფაცხოვრებითი მორალისა და ეროვნული ადათების მხრივაც. მაგალითად, ერთგან დედანში ლაპარაკია სხვადასხვა ასაკოვან ქალთა თვისების შესახებ და ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ქალზე ნათქვამია, რომ ის „შავი ჭირი და სარჩო-საბადებლის ვაება, შემოდგომანახული წალკოტი, წვიმამოსწრებული შენობა, დამდგარი წყარო, მინა უნაყოფო, უგანძო გველვემ-აპი და მუხანათობისა და ტანჯვის მაღარო არისო“. ქართველი კაცის შეგნება, რომელიც ხნიერ, დარბაისელ დედაკაცს პატივისცემის, მორიდებისა და კრძალულების საგნად თვლიდა, ვერ შეურიგდებოდა ასეთ დახასიათებას, ამიტომ ვახტანგს ის ასე შეუცვლია: „და რა მას (50 წელს). გარდასცილდა, კაცთაგან პატივის საცემელნი და პატიოსნად გამოსაჩენნი და შესანახავნი არიან“. ამით მთარგმნელი გაემიჯნა სპარსულ დედანს, მაგრამ უკანასკნელი რომ არ და-

ზიანებულები მის თარგმანში, დედნის დახასიათება „ავ დედაკაცზე“ გადმოიტანა: „მაგრამ ავი დედაკაცი“, ესე იგი, თუ 50 წელს გადაცილებული დედაკაცი ავია, „შავი ჭირი შეიქმნება“ და სხვ. მეორე მაგალითი: ღამით მოსულ მეგობარს ერთი კაცი შეხვდება კარებში ფულიანი ქისით, შიშველი ხმლითა და მშვენიერი მხევლით და ეუბნება: თუ სიღარიბემ მოგიყვანა ჩემთან, აი, ფული, თუ მტრის შიშმა, აი, ხმალი, და თუ გასართობს ეძებ, აი, მშვენიერი მხევალიო. ქართველი ადამიანის მორალური გრძნობა ვერ შეურიგდებოდა ამ პასუხის უკანასკნელ ნაწილს, რომელშიაც ქალი, თუ გინდ მხევალი, გართობის საგნადაა ნაგულისხმევი, და თავის თარგმანში ეს ნაწილი სულ გამოუგდია. ეროვნული ადათის იძულებით მას სპარსული დედნის ცნობა: „ის ქალი თავისი ძმისწულისათვის ცოლად ჰყავდა მიცემული“, – ასე გადაუკეთებია: „ის ქალი ერთს საფერს კაცს მისცა ცოლად“.

რაც შეეხება სულხან-საბა ორბელიანის რედაქციას, იმაში ქართული სპეციფიკა უფრო მეტადაა მოცემული. საბა საჭიროების მიხედვით კუმშავს თუ ავრცობს დედანს და თავისებურ ელფერს აძლევს მას. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ შეცვალა მან დედანში მოცემული მკრთალი სურათი მეფის ბალისა; მან დაგვიხატა საკუთარი სურათი, რომელზედაც წარმოდგენილია 26 სახელწოდების ყვავილი, მათი ნიშანდობლივი თვისებების მხატვრული ჩვენებით. სპარსული დედნის კონსტრუქცია საბას რედაქციაში ორიგინალურ ქართულ იერს ღებულობს, მისი სტილი ქართული ნაციონალური კოლორიტის მქონეა. საბა შეგნებულად ებრძვის სპარსული დედნის იდეოლოგიას. ეს ბრძოლა, პირველ რიგში, რელიგიური პოზიციებიდან წარმოებს. ერთ ალაგას ის დაუფარავად ამბობს: „სადაც სჯულის სანინა აღმდგომად ჩნდა, ცოტა რამ ჩაღბი ეკარო“. ამ მიმართულებით საბას ამოუგდია თარგმანში ყველაფერი, რაც მაჰმადიანობის კვალს ატარებს, და თავისი შრომისათვის მიუცია ქართული რელიგიურ-მორალური სახე. თუ პოეტური საზომით მივუდგებით საბას ნამუშევარს, დავინახავთ, რომ საბა ყოველთვის ანგარიშს არ უწევს დედნის ტაეპობრივ რაობას და ლექსებს აგებს საკუთარ გემოზე; ის, თუ დასჭირდება, მრჩობლედს და მრავალტაეპოვან ლექსს შაირით გადმოგვცემს; ზოგიერთი მისი სალექსო ფორმა აღებულია ქართული ლექსის ძველი ფონდიდან, ზოგიერთი კი თვითონ მოუგონია.

ამრიგად, „ქილილა და დამანა“, მსოფლიო ლიტერატურის ეს შედევი, ვახტანგს და საბას ქართული ლიტერატურის საგანძურში შემოუტანიათ ქართველებისათვის ცნობილი და გასაგები სახით. ამით აიხსნება ის უდიდესი პოპულარობა, რომლითაც თხზულება სარგებლობდა ჩვენში.

ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე ნაყოფიერ მთარგმნელად თეიმურაზ პირველი ითვლება. თეიმურაზი თითქმის სამოცი წლის განმავლობაში მედგრად ებრძოდა სპარსეთის აგრესიულ პოლიტიკურ ზრახვებს, ამავე დროს ის ლოიალურად იყო განწყობილი სპარსული პოეზიისადმი; მის სახელთან ქართულ ლიტერატურაში დაკავშირებულია პოემები: „ლეილმაჯნუნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „შამიფარვანიანი“, „ვარდულებულიანი“. თუ ჩავუკვირდებით ამ პოემებს, არცერთი მათგანი თარგმანად, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არ შეიძლება ჩაითვალოს. საკმარისია გადაიკითხოთ ამ პოემების თეიმურაზისეული პროლოგი და ეპილოგი, მათი სიუჟეტურ-ფაბულური გაფორმება „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის მოკლედ გადმოცემით („იოსებზილიხანიანში“), ქართველ პოეტთა, განსაკუთრებით რუსთაველის, და გურჯეების მოხსენებით („ვარდულებულიანში“), ქართული ყოფაცხოვრებითი დეტალების ხაზგასმით, რომ ამ დებულების სისწორეში დარწმუნდეთ. თეიმურაზი ამ პოემებში გამოიყენება როგორც ქართველი, ქართული ეროვნული შეგნებითა და ინტერესებით იქამდის, რომ ის არ ერიდება პირდაპირ განაცხადოს: „ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს მეჩიტი მინარიანი“. ის პირდაპირ პოლემიკას აწარმოებს სპარსული კულტურულ-სარწმუნოებრივი იდეალების წინააღმდეგ, გაკვირვებულია, როგორ სჯერათ სპარსელებს, მაგალითად, „ლეილმაჯნუნიანის“ სამოთხე, „მათ არიან ქკუანაკლულნიო“, შენიშნავს ის:

*ეს არის მათი სამოთხე, მაჰმად ამგვარად უწესა:  
ქალნი და ვაჟნი ტურფანი მუნ მყოფთა გვერდსა უწევსა,  
მთქმელსა და დამჯერებელსა ამა ამბვისა – ფუ წვერსა!*

სპარსულ ლიტერატურაში არ მოიძებნება დედანი თეიმურაზის პოემებისა: როგორც ირკვევა, თეიმურაზს არ ჰქონდა ხელთ რომელიმე კონკრეტული თხზულება ამა თუ იმ სპარსელი პოეტისა, მას თვითონ შეუქმნია სპარსული მასალების გამოყენებით ახალი, დამოუკიდებელი რედაქცია დასახელებული პოემებისა. აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურაში ცნობილია ცამეტი რედაქცია „იოსებზილიხანიანისა“, თვრამეტი „ლეილმაჯნუნიანისა“. თუ თითოეული მათგანი ცალკე, დამოუკიდებელ თხზულებად არის მიჩნეული ლიტერატურის ისტორიაში, ასევე დამოუკიდებელ ქართულ თხზულებად უნდა ჩაითვალოს თეიმურაზის ნამუშევარიც, მით უმეტეს, რომ თეიმურაზის რედაქცია უფრო მეტადაა დაშორებული დღესდღეობით ცნობილი აღმოსავლური რედაქციებისაგან, ვიდრე უკანასკნელნი ერთიმეორისაგან.

უცხოეთიდან შემოსული ლექსად დანერილი თხზულებების გაქართულებას ხელს უწყობდა, აგრეთვე, ის უაღრესი პოპულარობა და უსაზღვრო სიყვარული, რომელიც საქართველოში თავიდანვე მოიპოვა „ვეფხისტყაოსანმა“. როდესაც არჩილ მეფე ამბობდა, რომ მელექსედ არ თვლის იმას, ვინც ვერ ახერხებს, შოთას ნაბაძოს და „მიჰყვეს რუსთველის თქმულსა“, ის მარტო ორიგინალურ მწერლებს არ გულისხმობდა; მას, უეჭველია, მხედველობაში მართმადიდებლებიც ჰყავდა. ჩგატაცება „ვეფხისტყაოსნით“ ჩვენში იქამდე მიდიოდა, რომ მისი დეტალები ნათარგმნ თხზულებებშიაც კი შეჰქონდათ. თითოეული პოეტი ცდილობდა, ასე თუ ისე დაკავშირებოდა „ვეფხისტყაოსანს“ მისი ავტორისა თუ პერსონაჟების მოხსენიებით, ზოგ შემთხვევაში საქმე პირდაპირ იმიტაციამდე მიდიოდა, როგორც, მაგალითად, უკვე დასახელებულ „ბარამგულიჯანიანში“. ეს დაახლოებით უფრო პოეტური ფორმის ხაზით ხდებოდა. ჯერ ერთი, ყველა ლექსით მთარგმნელი მიმართავს 16-მარცვლოვან რუსთველურ შაირს; გავიხსენოთ, თუ გნებავთ, „როსტომიანი“, „ბარამიანი“, თეიმურაზ პირველის პოემები, „ქილილა და დამანას“ შაირები და სხვ. მთარგმნელები ცდილობენ მიბაძონ რუსთაველს არა მარტო პოეტური საზომით, არამედ პოეტური მეტყველების გამოყენებითაც. მათი პოეტური მეტყველების სურნელება რუსთველური პოეზიიდან მოდის, ამ თარგმანებში ჩვენ გვაქვს რუსთველური ლექსიკა, რუსთველური სახეები, მთელი აქსესუარი რუსთველური პოეზიისა, ისინი რუსთველური პოეზიის მზით არიან გამთბარნი. ერთი სიტყვით, ქართველი მკითხველი ამ თარგმანებში რუსთველური პოეზიის არომატს გრძნობს, მას რუსთველური პოეზიის ატმოსფეროში ეჩვენება თავისი თავი. ყველაფერი ეს ამა თუ იმ საზომით ხდება, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ეს თარგმანები ქართულ ლიტერატურაში შემოდიან რუსთველური პოეზიის სამოსში გამონყობილნი და ამ პოეზიის სამკაულებით შემკობილნი. ამდენად, ისინი ქართული ლიტერატურის ღვიძლ შვილებად აღიქმებოდნენ და ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში შედიოდნენ. მართალია, მეჩვიდმეტე საუკუნიდან, როდესაც ჩვენში განსაკუთრებით თავი იჩინა ეროვნულმა და რეალისტურმა მიმართულებამ, ამგვარ თხზულებებს თითქოს წუნსა სდებენ, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ისინი თემატიკურად აღმოსავლეთის ფანტასტიკურ ლიტერატურას აგონებდნენ. მერე რა? ამ პოზიციებიდან ზოგიერთები, მაგალითად, ფეშანგი ფაშვიბერტყაძე და თეიმურაზ მეორე „ვეფხისტყაოსანსაც“ კი სდებდნენ წუნს, თუმცა მის ქართულობას არავინ უარყოფდა.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყველაფერს, რაც ითქვა, შემდეგ დასკვნებს მივიღებთ:

1. მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას საკმაო რაოდენობით შემოუნახავს ისეთი პირველხარისხოვანი თხზულებები, რომელნიც სხვა ხალხთა ლიტერატურაშიც მოიპოვებიან.
2. ეს აიხსნება იმ კულტურულ-ლიტერატურული ხასიათის გაცვლა-გამოცვლით, რომელსაც ქართველები მეზობელ ხალხებთან აწარმოებდნენ.
3. ასეთი თხზულებები ამდიდრებდნენ ქართულ ლიტერატურას, მაგრამ ვერ ჩრდილავდნენ მის ეროვნულ ხასიათსა და თვითმყოფობას.
4. ქართველთა მხატვრულმა გენიამ შეძლო ამგვარი თხზულებების ეროვნული შემოქმედების ბრძმედში გადადნობა და თავისი მიზნებისათვის გამოყენება.
5. ასეთ თხზულებებში „მთარგმნელებს“ შეჰქონდათ ეროვნული, ქართული სული, ეროვნული იდეოლოგია, ქართული ზნე-ჩვეულებანი და ადათები და ისეთ სახეს აძლევდნენ მათ, რომ ისინი შეგვიძლია, თავისებურ ქართულ ვერსიად თუ რედაქციად ჩავთვალოთ და ქართული ლიტერატურის ძეგლად ვაღიაროთ.
6. ამის ტიპურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ საეკლესიო მწერლობიდან ქართველ ჰიმნოგრაფთა პროდუქცია და წმ. ექვთიმე ათონელის ხელიდან გამოსული პატროლოგიური თხზულებები, ხოლო საეროდან – „ვისრამიანი“, „როსტომიანი“, „ბარამიანი“, „ქილილა და დამანა“, თეიმურაზ პირველის შრომები და სხვ.
7. ქართულ ნაწარმოებად ამგვარ თხზულებებს ქმნიდა ის გარემოებაც, რომ ისინი, ლექსად დაწერილი და რუსთველური ლექსის ფორმებში ჩამოსხმულნი, შემკულნი არიან რუსთველის პოეტური აქსესუარით.

## ნმ. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდი

ათონელებთან ერთად ქართული თარგმანის ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია ნმ. ეფრემ მცირეს (XI ს.). შეიძლება ითქვას, რომ მან სისტემური სახე მისცა ძველ ქართულ მთარგმნელობით პრინციპებს და ეს არა მხოლოდ პრაქტიკულად განახორციელა, არამედ თეორიულადაც ჩამოაყალიბა. ნმ. ეფრემის მთარგმნელობითი შეხედულებები მის მიერ ბერძნული ენიდან გადმოღებულ თხზულებებზე დართული არაერთი კომენტარით ე. წ. კოლოფონებშია გადმოცემული. ისინი ნათელ სურათს ქმნიან, თუ როგორი იყო შუა საუკუნეების მთარგმნელობითი ტრადიციები და, ამასთანავე, წარმოაჩენენ იმ სიახლეებს, რომლებიც ნმ. ეფრემ მცირემ მრავალსაუკუნოვან ქართულ მთარგმნელობით კულტურაში შეიტანა და დანერგა. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ბერძნული ენა „უფსკრული ღრმა არს და იგივე და ერთი სიტყვაა მრავალსა პირსა აღიარებს“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთარგმნელმა ტექსტებზე მუშაობისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს დედნის ენის ლექსიკური ერთეულების პოლისემიურობა და მათი კონტექსტური მნიშვნელობანი. ამასთანავე, იგი თვლიდა, რომ სიტყვა თუ წინადადება ჯერ მაქსიმალური შესაბამისობით უნდა გადმოთარგმნილიყო და შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, კომენტარებიც დართოდა. ამის გამო ის ნმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ გადმოღებულ ერთ-ერთ ტექსტზე მუშაობისას შენიშნავს:

„მცირედ ცვალებაჲ ჰნებებია მის სიტყუასა...და მეცა ეგრეთვე სამოციქულო სიტყუაჲ ვითა მას ეთარგმნა, ეგრეთ დამინერია, პირველი, რაჲთა მონმოზაჲ მისი სრულ ვყო; ხოლო სადა თარგმანი სიტყვისაჲ მაიძულებდა იშვით ცვალებასა სიტყვისასა“, იგი „თარგმანსა შინა“ სპეციალური ნიშნებით გამომიყვიაო.

სხვაგანაც ანალოგიურ შენიშვნას გამოთქვამს ნმ. ეფრემი: რადგან ზოგჯერ განმარტებას არ შეეფერებოდა ქართული თარგმანი, ამიტომ პირველად ტექსტში შევასწორე „ბერძლისა ძალისაებრ, თანა-შენევნითა და წინა-ძლომითა თარგმანთა და ლექსიკონთაჲთა, რამეთუ არს მრავალი სიტყვაჲ, რომელ... ეგე უფრო შეინყოფის ქართულად“. თავისი მთარგმნელობითი მუშაობისას ნმ. ეფრემ მცირე ასე რომ არ მოქცეულიყო, „კუალად შემდგომნი მეცნიერნი ბერძნულისანი მამრალღებედ გუჲქმნებოდეს გამოუძიებლად დაწერისათვის სიტყუათაჲსაო“.

მრავალი მაგალითით დასტურდება, რომ ნმ. ეფრემ მცირისთვის მთარგმნელობა ესაა ფილოლოგიურ კვლევა-ძიებასთან შერწყმული შემოქმედებითი პროცესი, რომელიც არცთუ იშვიათად გადმოღებულ ტექსტს ორიგინალურ სახეს ანიჭებს და ქართულ სასულიერო მწერლობაში დამოუკიდებელ თხზულებად ამკვიდრებს. სხვადასხვა პერიოდში გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურაში მრავალმხრივი და არაერთი ნიმუშია წარმოდგენილი ნმ. ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებები. ამ კვლევებისას იკვეთება, თუ როგორ წარიმართა თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდიდან ლიტერატურაზე გადასვლის პროცესი კომენტართა თარგმნის ფონზე, აგრეთვე, ამ პროცესზე ბიზანტიური ლიტერატურის ერთ-ერთი სპეციფიკური ჟანრის, კომენტარული ლიტერატურის თარგმნის გავლენა; ყოველივე ეს ხაზს უსვამს ნმ. ეფრემ მცირის მთარგმნელობით კონცეფციას-იმ სიახლეს, რომელიც, როგორც ითქვა, ქართული თარგმანის ისტორიაში მას თავისი შემოქმედებით შემოაქვს.

ამასთანავე, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან ჩანს საეკლესიო და კლასიკური ტექსტებისადმი ერთგვარი კრიტიკული მიდგომაც, მეცნიერული სტილი და ტექსტების კვლევის ფილოლოგიური თუ ლიტერატურულ-თეორიული საკითხებისადმი საგანგებო ინტერესი.

ნმ. ეფრემის მთარგმნელობითი შემოქმედებიდან ორ ეტაპს გამოყოფენ. პირველ ეტაპზე – XI საუკუნის 90-იან წლებამდე შექმნილი თარგმანები ახლოს დგას წინარეელინოფილური პერიოდის ქართველი მწიგნობრების, ათონელების თავისუფალ, მკითხველზე ორიენტირებულ თარგმანებთან; შემდგომ ეტაპზე კი – XI საუკუნეების 90-იან წლებში უკვე ყალიბდება მისი, როგორც ელინოფილი მწიგნობრის, მთარგმნელობითი კონცეფცია, რომელიც თარგმანის უშუალო ორიგინალის ენიდან მომდინარეობას, სათარგმნელად სანდო დედნის შერჩევას, დედანთან მაქსიმალურ სიახლოვეს გულისხმობს – მისი ყველა დეტალის, აზრობრივი ნიუანსისა თუ ენობრივ-სტილისტური თავისებურების ასახვას თარგმანში, სწრაფვას საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის მწყობრი სისტემის ჩამოყალიბებისაკენ; ესაა ნმ. ეფრემის ე. წ. ელინოფილური კონცეფცია – ფორმალური ეკვივალენტის თარგმანის შექმნის თეორია; ამ მეთოდით არის შესრულებული, უმეტესწილად, მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდის თარგმანები (ქ. ბეზარაშვილი, თ. ოთხმეზური).

ქართველი მწიგნობარი ბერძნული დედნის გადმოღებისას ზოგჯერ საკმაოდ თავისუფალი მიდგომით გამოირჩევა, რაც კონკრეტული თხზულების ჟანრული სპეციფიკით – მისი ექსპოზიციური ხასიათითაა განპირობებული; ამის მიზეზი

ქართულ ტრადიციაში სწორედ ექსპოზიციური ფუნქციის შენარჩუნება იყო. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ნმ. ეფრემის კოლოფონებში ხშირად არის ხოლმე გამოკვეთილი მთარგმნელობითი მეთოდის შერჩევის მოტივი ამა თუ იმ ტექსტზე მუშაობისას. ირკვევა, რომ ერთსა და იმავე მთარგმნელობით მეთოდს, მაგალითად, სიტყვასიტყვით, ლიტერალურად თარგმნას სხვადასხვა მიზანდასახულობით შეიძლება მიმართოს მთარგმნელმა: ერთი მხრივ, უჩვეულო, შინაარსობრივად უცხო ტექსტის (საფილასოფოსო, გარეშეთა წიგნი) მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილე, წინდახედულობა უდევს საფუძვლად ზედმიწევნით მთარგმნელობითი მეთოდის გამოყენებას; მეორე მხრივ, ერთ-ერთი თხზულების (ნმ. თეოდორიტე კვირელის „ფილოთეონ ისტორიის“) ზედმიწევნითი თარგმანი სასწაელო მიზანდასახულობითაა ახსნილი; დაბოლოს, გამოიყოფა სიტყვასიტყვითი თარგმნა, რისი შექმნის მიზეზიც შავ მთაზე მოღვაწე ბერძენთა ბრალდების გაქარწყლების საჭიროება იყო (ამ ბრალდების მიხედვით, ქართველებს სათანადოდ არ ჰქონდათ ნათარგმნი ქრისტიანობის უდიდესი ავტორიტეტის, ნმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებები; იგულისხმებოდა ნმ. ექვთიმე ათონელის თარგმანები); ასე რომ, ზოგიერთ ტექსტს „სიტყუაჲ შედარებული ბერძულისა და მართებითი არა აკლს“, ხოლო სხვებს „ფრიადი სიღრმე სიტყვისაჲ, უმრავლესი ბერძულად და არამცირედი ქართულადაცა, რომლისა შეცვალებაჲ არა ძნელ იყო“, ახასიათებთ; ნმ. ეფრემი განმარტავს: „ესრეთ უმჯობეს ვჰგონე, რაჲთა ხატი და მოქცევაჲ სიტყვისაჲ იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ, რამეთუ ესეცა არავე უხმარ არს მათთვის, რომელნი მრავალჟამ ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტივობისაჲთა და მოწვენულ ჰასაკსა, მოქენესა მტკიცისა საზრდელისასა... არა უხმარ არს სწავლისმოყუარეთა და კეთილადგამომეძიებელთათვის, რაჲთა განჰმზადნეს უღრმესთადრე წიგნთათვის“.

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ არსებით გარემოებაზე: მედიევალური ავტორებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქრისტიან მოაზროვნეთა ნაშრომები, არამედ ე. წ. „გარეშე სიბრძნე“. ხშირად დიდი საეკლესიო მოღვაწეები ასე არიან დახასიათებულნი: ისინი იყვნენო „ყოვლითა საწარმართოჲთა და გარეშითა სიბრძნითა სრულიად განსწავლულ და ეგრევე შინაგანთა მოსწრაფებით წურთილ“ პირები (ნმ. გრიგოლ ხანცთელი, ნმ. სიმეონ ლოლოთეტი).

თუ რომელ ავტორთა თხზულებები შეიძლება იგულისხმებოდეს, ერთი მხრივ, „საწარმართოსა“ და „გარეშეში“, და, მეორე მხრივ, „შინაგანში“, გარკვეულ ნარმოდგენას გვიქმნის ნმ. ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი ერთ-ერთი ნაწარმოების სათაური: „სიტყუანი და სწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სულ-სხეულობით, ორკერძოვე ძუელისა და ახალისა წმიდათა წერილითაგან რჩევით გამოკრე-

ბილნი, კლემაქსისგან, დიდისა ბასილისა და გრიგოლ ღმრთისმეტყუელისა და იო-  
ანე ოქროპირისა და სხუათა წმიდათა, მღვდელმობღვართა, მამათა, მოციქულთა,  
წინასწარმეტყუელთა და სოლომონ და ზაქარიასი და გარეშეთა წიგნთა: პლატონ,  
სოკრათი და მენანდროს და სხუათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი“ ამგვარ პოზი-  
ციას ამყარებს შემდეგი საინტერესო ფაქტიც: ათონის წმიდა მთის ორ ლავრაში  
– წმ. ათანასესა და ქართველთა მონასტრებში შესაბამისად ერთგან გამოსახ-  
ულნი არიან ბერძენი ფილოსოფოსები ფილონი, სოლონი, პითაგორა, სოკრატე,  
არისტოტელე, თალესი, გალენი, პლატონი და პლუტარქე, ხოლო მეორეგან –  
სოლონი, სოფოკლე, თუკიდიდე, პლატონი, არისტოტელე და პლუტარქე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, წმ. ეფრემ მცირის მთარგმნ-  
ელობითი კონცეფცია მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- მთარგმნელმა, უპირველეს ყოვლისა, ზედმიწევნით უნდა იცოდეს დედ-  
ნის ენისა და სათარგმნი ენის თავისებურებანი;
- თხზულება აუცილებლად ორიგინალიდან უნდა ითარგმნოს;
- მთარგმნელის მოვალეობაა, ისარგებლოს უძველესი ხელნაწერებით,  
რადგან ისინი დრო-ყამის მანძილზე ირყვენბოდა;
- არ შეიძლება ნაწარმოების „ზედანარწერილის“ ანუ სათაურის შეცვლა;
- შესრულებული თარგმანი ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული  
უნდა იყოს, მაგრამ სიზუსტემ არ უნდა შელახოს იმ ენის ბუნება, რომ-  
ელზეც ძეგლი ითარგმნა, რადგან მკითხველს ამ შემთხვევაში ხელთ  
ექნება ორიგინალიდან მოჩვენებითი სიზუსტით და, აქედან გამომდინ-  
არე, არა– მეცნიერულად ნათარგმნი თხზულებები.
- ყოვლად დაუშვებელია სათარგმნი თხზულების „დაჭრა და განბძარვა“  
(დანაწილება და შემოკლება);
- თარგმანს უნდა დაერთოს სპეციალური კომენტარები, რაც მკითხველს  
ტექსტის შინაარსის წვდომას გაუადვილებს.

აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას:

- ქართველი მოღვაწე აგრძელებს V-XI საუკუნეებში შემუშავებული თარგ-  
მანის თეორიულ ტრადიციებს, მაგრამ, ამავე დროს, უპირიპირდება წმ.  
ექვთიმე ათონელისეულ ე. წ. „შემატება-გამოკლების“ მთარგმნელობით  
მეთოდს.
- ის მაქსიმალურად იყენებს ქართული ენის პოტენციურ შესაძლებლობებს,  
ლექსიკურ სიმდიდრეს, რითაც ამჟღავნებს მისწრაფებას ენის მხატ-  
ვრულ-სტილისტურ პრობლემათა გადაჭრისაკენ; ამიტომაცაა, რომ მის

მიერ ნათარგმნ ტექსტებში გვხვდება ხან ზოგიერთი წინადადების ან ვრცელი მონაკვეთის ახალი თარგმანი, ზოგჯერ კი ტექსტში შეტანილია საჭირო დაზუსტებანი და შესწორებანი, ან სახეზეა ბერძნული ფრაზის პირდაპირი თარგმანი, ნეოლოგიზმები, მიმღებობური კონსტრუქციები, სინონიმური შენაცვლებანი და სხვა ხასიათის ჩასწორებანი;

- ცალკეა გამოსაყოფი ბიბლიურ წიგნთა ციტაციის საკითხი, რომლის განზოგადებაც შესაძლებელია ქრისტიანული აღმოსავლეთის ენებზე შესრულებულ თარგმანებზე; როდესაც ავტორებს ზეპირად, პერიფრაზით მოჰყავთ ბიბლიური ციტატები, მთარგმნელებსაც ისინი მექანიკურად გადმოაქვთ; სხვა მხრივ კი, როგორც წესი, იმ მთარგმნელებს, რომლებიც თავისუფალი მთარგმნელობითი მეთოდით მუშაობენ, სათარგმნ ტექსტებში მოყვანილი წმიდა წერილის ციტატები პირდაპირ მოჰყავთ ბიბლიურ წიგნთა თავიანთ ენაზე შესრულებული თარგმანებიდან, ხოლო ზუსტი მთარგმნელობითი მეთოდით მომუშავე მნივნობრები თავადვე თარგმნიან წმიდა მამათა ტექსტებში მოყვანილ ძველ და ახალ აღთქმისეულ ციტატებს. ცნობილია, რომ ეს ფაქტორი თარგმანის ხასიათის განმსაზღვრელ ერთ-ერთ კრიტერიუმადაც არის მიჩნეული სამეცნიერო ლიტერატურაში (ს. ბროკი).

# შუასაუკუნეობრივი თარგმანი და მისი შესაძლებლობანი

## 1. ტერმინ „შუა საუკუნეების“ შინაარსი

ტერმინი „შუა საუკუნეების“ ანტიკურობის მომდევნო პერიოდის აღსანიშნად შეიქმნა აღორძინების ეპოქაში. ტრადიციულად მითითებული ხანის დასაწყისად რომის იმპერიის დაცემის (V ს.), ხოლო დასასრულად – ბიზანტიის იმპერიის განადგურებასა და ქრისტიანული კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენას (XV ს.) თვლიან; თუმცა მრავალი ისტორიკოსი შუა საუკუნეების მიჯნას XVII საუკუნის შუა წლებს მიაკუთვნებს, რასაც ფეოდალური ურთიერთობების დასრულებას უკავშირებს; ამასთანავე, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ დასავლეთეუროპული სამყაროს ფარგლებშიც კი მკაცრი ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა ყოველთვის შესაძლებელი არაა, რამდენადაც ამა თუ იმ ქვეყნისთვის ისინი განსხვავებული შეიძლება იყოს (მაგალითად, XIV საუკუნის იტალიისთვის ესაა ადრე აღორძინების ხანა, მაშინ როდესაც ინგლისური ლიტერატურის ისტორიკოსთა მიერ XV საუკუნეც კი, ჩვეულებრივ, შუა საუკუნეთა მწერლობის ჩარჩოებში განიხილება).

## 2. ეროვნული სიტუაცია შუა საუკუნეების ევროპაში

როგორც ითქვა, თეორიულად შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სამი „წმიდა“ ენის (ძველებრაულის, ძველბერძნულისა და ლათინურის) წინ წამოწევა იყო დამახასიათებელი „გულგარულის“ ანუ ცოცხალ ახალეუროპული ენების საპირისპიროდ, თუმცაღა მითითებულ სქემაში რეალურმა ცხოვრებამ არსებითი კორექტივები შეიტანა. ჯერ ერთი, ძველებრაული ენა თავიდანვე უცხო იყო ქრისტიანული სამყაროს უდიდესი ნაწილისათვის და მისი ცოდნა განსხვავებულ პერიოდში (ისევე როგორც მოგვიანებით) მხოლოდ მცირედის ხვედრი გახლდათ. ბერძნული ენის მცოდნეთა რიცხვი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მთელი შუა საუკუნეების მანძილზე (ანტიკური ეპოქისგან განსხვავებით) ასევე უმნიშვნელო იყო, რასაც მნიშვნელოვანწილად მართმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის გაუცხოება უწყობდა ხელს; ეს დაპირისპირება 1054 წლის განხეთქილებით (სხიზმით) დასრულდა. პრობლემის სიმწვავის გამომხატველი გახდა ცნობილი გამოთქმა – „Graecum est, non legitur“ („ეს ბერძნულადაა, არ იკითხება“).

ამდენად, პირველობა ენათა იერარქიაში ლათინურს მიეკუთვნა. თვით ნიგ-ნიერების გაგება, უპირველეს ყოვლისა, ლათინურის ცოდნას ნიშნავდა, ხოლო სოციალურად მნიშვნელოვნად ადამიანების ლიტერატი-დ (განათლებულები ანუ ლათინურის მცოდნენი) და იდიოტაე-დ — უნიგნურებად, მხოლოდ „უხეში“ მშობლიური ენის მცოდნეებად დაყოფა იქნა აღიარებული. თუმცა ლათინურის ინტერნაციონალურმა სტატუსმა ერთი არსებითად მნიშვნელოვანი თავისებურე-ბა შემოიტანა: იმ შემთხვევაში, როდესაც ლათინური სათარგმნ ენად გამოიყ-ენებოდა (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია რელიგიურ-საღვთისმე-ტყველო და ფილოსოფიურ ლიტერატურაზე), თარგმნის მიკუთვნება ამა თუ იმ ნაციონალური ტრადიციისათვის მხოლოდ პირობითად შეიძლება, თუკი მხედვე-ლობაში მთარგმნელის ეროვნებას ან მის რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე მოღვაწეობას მივიღებთ.

ამასთანავე, ლათინურთან ერთად სხვადასხვა პერიოდში საკმაოდ მნიშ-ვნელოვანი როლის შესრულება სხვა ენებსაც შეეძლოთ. ამ მიმართებით ძვე-ლი ფრანგულის მაგალითია საინტერესო, რომელმაც ფართო საერთაშორისო გავრცელება პოვა არა მხოლოდ ინგლისში (აქ ნორმანთაგან დაპყრობის შემდეგ XVI საუკუნის ჩათვლით მას გაბატონებული პოზიციები ეკავა), არამედ სხვა ქვეყნებშიც. ამ ენაზე წერდნენ მარკო პოლო და რუსტიჩელი, რომლებიც ცნო-ბილ წიგნს ქმნიდნენ ვენეციელი ვაჭრების მოგზაურობათა შესახებ; მას იყენებ-და ფლორენციელი იურისტი და დიპლომატი ბრუნეტელატინი ენციკლოპედიური ნაშრომის, „განძთა წიგნის“ წერისას: იგი თვლიდა, რომ ეს ენა „უფრო სასია-მოვნო და გავრცელებულია ადამიანთა შორის“. ბუნებრივია, რომ ძველი ფრან-გული ხშირად მთავარ ფუნქციას ასრულებდა „მხატვრული ლიტერატურის“ – იმ ნაწარმოებების თარგმნისას, რომლებშიც საუბარი საბრძოლო გამირობებზე, შეტაკებებზე, სასიყვარულო თავგადასავლებსა და ა. შ. იყო.

### 3. რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულებების თარგმანი

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ევროპის ქვეყნებში ყველა იმ ნაშრომის ლათინური ვერსიების შექმნა განაპირობა, რომელთა უმ-რავლესობა ბერძნულად დაიწერა და კათოლიკური ეკლესიისათვის იდეოლო-გიურ საფუძვლად ქცევა შეეძლოთ. ერთი მხრივ, ასეთი როლის შესასრულე-ბლად გამიზნული იყო საკუთრივ ქრისტიან მოაზროვნეთა ნაწარმოებები, მეორე მხრივ, ანტიკური ეპოქის უდიდეს მოღვაწეთა საგანგებოდ შერჩეული და გადა-

მუშავებული ძეგლები; ბოეციუსის შემდეგ, რომლის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი, ამ სფეროში თვალსაჩინო მოღვაწე, წარმოშობით ირლანდიელი იოან სკოტერიუგენა გახდა (810-877 წ.წ.).

ერიუგენას პიროვნებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია ორიოდ სიტყვა ითქვას იმ წვლილის შესახებ, რომელიც შუა საუკუნეებში „წმიდათა კუნძულად“ წოდებული ირლანდიის წარმომადგენლებმა შეიტანეს. მიუხედავად საკმაოდ მძიმე ისტორიული პირობებისა (შინაომები, ნორმანთა თავდასხმები და ა. შ.), აქ შენარჩუნებული იყო VII-VIII საუკუნეების კონტინენტურ ევროპაში დავიწყებული მრავალი ტრადიცია. მონასტრების სკრიპტორიუმებში მიმდინარეობდა საკრალური, ნაწილობრივ კი, საერო ლიტერატურის ინტენსიური გადანერა; გარდა ამისა, შენარჩუნებული იყო ბერძნული ენის ცოდნა, რაც ლათინურად თარგმნის საშუალებას იძლეოდა. მრავალი ირლანდიელი მონაზონი მიეშურებოდა ევროპის კონტინენტის სხვადასხვა ქვეყანაში, კერძოდ, კარლოს დიდის სამეფო კარზე, სადაც მათი როლი ფრიად თვალსაჩინო იყო. თავად ერიუგენა კარლოსის შვილიშვილის, კარლოს მელოტის სამეფო კარზე მოღვაწეობდა, რომელმაც დაიახლოვა იგი და ხშირად ესაუბრებოდა.

ერიუგენას თარგმანებს შორის (VI საუკუნის დასაწყისის ფილოსოფოს-ნეოპლატონიკოსის, პრისციანეს თხზულებები და IV საუკუნის ერთ-ერთი დიდი „ეკლესიის მამის“, თეოლოგიური მისტიკის ფუძემდებლის, წმიდა გრიგოლ ნოსელის ნაშრომები) განსაკუთრებით „არეოპაგტიკის“ ლათინური ვერსია გამოირჩევა: მისი შექმნა თავიდან წარჩინებულ ათენელს, წმ. დიონისე არეოპაგელს მიეწერებოდა (წმიდა დიონისე ქრისტიანობაზე პავლე მოციქულმა მოაქცია); აგრეთვე, დიდად მნიშვნელოვანია ერიუგენას მიერ გადმოღებული „არეოპაგტიკისადმი“ დართული წმიდა მაქსიმე აღმსარებლის (580-662 წ.წ.) კომენტარები.

შინაარსითაც და ფორმითაც ურთულეს „არეოპაგტიკაში“ საუბარია უღრმეს რელიგიურ-ფილოსოფიურ პრობლემებზე, რის გამოც გასაგებად ძალიან ძნელია, მით უმეტეს, სხვა ენაზე „ახლიდან შესათხველად“. მსგავსი მცდელობა IX საუკუნის 30-იან წლებში პარიზის მახლობლად მდებარე მონასტრის აბატსაც ჰქონდა, მაგრამ მისი თარგმანი დიდად წარუმატებელი გამოდგა და არც გავრცელებულა. თავად ერიუგენას, რომელსაც ასევე კარგად ესმოდა მის წინაშე წამოჭრილი სირთულეები და შენიშნავდა, რომ ბერძნული ენა გაცილებით უკეთ ესადაგება საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ თხზულებებს, რამდენადაც უფრო სრულყოფილი და ზუსტი ტერმინოლოგია გააჩნია, ვიდრე ლათინურს, რომელზეც შესატყვისი ცნების სათანადოდ გადმოცემა შეუძლებელია. იგი ხაზს

უსვამდა თავის სწრაფვას, ჩასწვდომოდა ორიგინალის შინა – არსსა და შეეცნო მასში მოცემული სიბრძნე; ამიტომ ირიდებდა შესაძლებელ საყვედურს თარგმანის ძნელად მიღწევადობასა და გაუგებრობასთან დაკავშირებით, რომლებიც დედნის ზედმინევიტ ბუკვალური გადმოღებით იყო განპირობებული; ის თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებდა ბოეციუსის ანალოგიურ შენიშვნას: „თუკი ვინმე თარგმანს ბუნდოვნად და ნაკლებგასაგებად ჩათვლის, დაე მიიღოს მხედველობაში, რომ ამ ნაშრომის მთარგმნელი ვარ და არა განმმარტებელი. ამ მიზეზის გამო დიდად ვშიშობ, რომ ჩემ თავზე „ერთგული მთარგმნელის“ დანაშაულს ავიღებ“.

ერიუგენას სიფრთხილე, როგორც მომდევნო მოვლენებმა ცხადყვეს, არცთუ უსაფუძვლო იყო. ჟუკე |X საუკუნეში მის თარგმანთან მიმართებით კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა ვატიკანის ბიბლიოთეკის მცველმა ანასტასი ბიბლიოთეკარმა–დაის ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისი იყო აღნიშნული ეპოქის დასავლელ ავტორთაგან, რომელიც ბერძნულ ენას ფლობდა და – ბერძნულ ტრადიციებს იცნობდა. თავის წინამორბედს ანასტასი შესაფერის პატივს მიაგებდა „სამყაროს დასალიერში“ მდებარე შორეული ქვეყნის მკვიდრს, რომელმაც შეძლო გაეგო ესოდენ რთული ნაშრომები და სხვა ენაზე „ხელახლა შეთხზა“; მაგრამ ანასტასი ირლანდიელის ნამუშევარს მაინც არადაამაკმაყოფილებლად თვლიდა. მისი აზრით, ამის მიზეზი გადამეტებული ბუკვალიზმი იყო, რის შედეგადაც ორიგინალმა სიღრმე და ამალღებულობა დაკარგა. თუმცა თავად ანასტასისაც კარგად ესმოდა ის მიზეზი, რომელმაც ნააქეზა ერიუგენა, მსგავსი მეთოდი აერჩია – ეს იყო სიტყვათა საკუთვრივი მნიშვნელობისგან დაშორების შიში, რამდენადაც ამას აზრი შეიძლება დაემახინჯებინა. მართალია, ვატიკანელი მნიგნობარი ეცადა კიდევ, შეეგოსო, „გაეჩაღხა“ და კორექტურა ჩაეტარებინა ერიუგენას თარგმანისთვის წმ. დიონისეს არეოპაგელის ახალი ხელნაწერების მიხედვით, მაგრამ მოგვიანო ხანის მკვლევრებმა უმალ შენიშნეს, რომ ანასტასის პირადი პრაქტიკა ყოველთვის არ შეესაბამებოდა მის მიერვე გაცხადებულ პრინციპებს, რადგან ვატიკანელი მნიგნობრის ლათინური ვერსიები, ერთი მხრივ, სავსეა ბერძნული ბუკვალიზმითა და კალკებით, მეორე მხრივ კი – თავისუფლადაა გადმოღებული, რადგან ტექსტის უამრავი ფრაზაა გამოტოვებული.

თუმცა ერიუგენას თარგმანებს გაცილებით გავლენიანი მტრები გამოუჩნდნენ: უპირველს ყოვლისა, იმდროინდელი პაპი ნიკოლოზ I უნდა დასახელდეს, რომელიც ფრიად უკმაყოფილო იყო იმით, რომ თარგმანი მისი საქმიანობის გარეშე შესრულდა და, ამასთანავე, ირლანდიელმა ბერძნული ფილოსოფიური ტერმინების მნიშვნელოვანი რაოდენობა უთარგმნელად დატოვა; ამიტომ ერი-

უგენა იძულებული იყო, რთული გამოთქმების ახსნა-განმარტებანი ქრისტიანული სიმბოლიკის სულისკვეთების გადმოეცა. თუმცა მისი შეხედულებები მიუღებელი აღმოჩნდა და მისი ნაშრომები, როგორც მწვალებლური, არაერთხელ (XI-XIII საუკუნეებში) გაკიცხა რომის კურიაში.

#### 4. არსებული მთარგმნელობითი ტრადიცია და მისი ზეგავლენა შუა საუკუნეების ევროპაზე

XIII საუკუნის შუა წლებიდან არისტოტელეს ფილოსოფიური მემკვიდრეობისადმი უწინდელი მტრული დამოკიდებულება (რაც ბერძენი მოაზროვნის თხზულების შესწავლის აკრძალვამდე მიდიოდა) მისი გადააზრებისა და ქრისტიანულ მოძღვრებასთან შეგუების მისწრაფებით შეიცვალა. ამ ამოცანის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი როლი დასავლეთევროპელ მეცნიერთა ანტიკური ეპოქის დიდი ფილოსოფოსის ნაშრომების გაცნობამ შეასრულა (წინა პერიოდში ხომ არისტოტელეს ბოეცუსის მიერ გადმოღებული „ლოგიკითა“ და არასრული ნამოღვანრით იცნობდნენ). ამაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არაბულენოვან მუსულმანურ ტრადიციასთან კონტაქტებს ჰქონდა.

ძნელია არაბული კულტურის შუამავალი ფუნქციის გადაჭარბებით შეფასება. იმ დროს, როდესაც „ლათინურ“ დასავლეთში ბერძნულ ენას უფრო და უფრო ივიწყებდნენ, მრავალი ქვეყნისა და ხალხის დამორჩილებით შექმნილ არაბთა უზარმაზარ ხალიფატში, პირიქით, ანტიკური საბერძნეთის მეცნიერებისა და ფილოსოფიის კულტი მყარდებოდა. თავის მხრივ, ამას უამრავი ნაშრომის გადმოღება მოჰყვა ბერძნული ენიდან, რაც IX და განსაკუთრებით X საუკუნეებში არ შენელებულა. ამასთანავე, IX ასწლეულში, ხალიფა აღ-მამუნის დროს, ხალიფატის დედაქალაქ ბაღდადში სპეციალური „სიბრძნის სახლი“ დაარსდა; სადაც მრავალი შესანიშნავი მთარგმნელი და მეცნიერი მოღვაწეობდა; იქვე თავისებური საჯარო ბიბლიოთეკაც იყო განთავსებული; ასე რომ, მთარგმნელობითი საქმიანობა არაბულ-მუსლიმანურ სამყაროში სახელმწიფოებრივად იყო გამყარებული.

უნდა შეინიშნოს, რომ არაბ მთარგმნელთა ინტერესების სფეროც ფართო იყო. წმინდა უტილიტარულ-გამოყენებით თხზულებებთან ერთად, ისინი თარგმნიდნენ თეორიულ ნაშრომებს ფიზიკაში, რელიგიასა და ა. შ. გაჩნდა არაბული ვერსიები ბიბლიისა, სახარება, წიგნები მაზდეანობაში. სანსკრიტიდან და

სპარსულიდან გადმოიღეს რამდენიმე თხზულება ასტრონომიაში, არითმეტიკასა და პოლიტიკაში, ბერძნულიდან – უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები გეომეტრიაში, მედიცინასა და ასტრონომიაში, რომელთა შორის იყო გალენის, ჰიპოკრატეს, ევკლიდეს, არქიმედეს, პტოლემასისა და სხვა ავტორთა შრომები; მაგრამ ყველაზე დიდი გავლენით არისტოტელეს თხზულებები სარგებლობდა. მას „პირველ მასწავლებელს“ უწოდებდნენ და არაბულად არაერთხელ „ხელახლა თხზავდნენ“ მის თითქმის ყველა ნაწარმოებს ფიზიკაში, მეტაფიზიკაში, ეთიკაში, თეოლოგიასა და ლოგიკაში. დიდი ბერძენის ნაშრომების ბუნდოვანი და გაურკვეველი მონაკვეთების გასაგებად მათდამი დართული გვიანანტიკური კომენტარებიც ითარგმნებოდა. არაბულ სამყაროში ცნობილი იყო, ასევე, პლატონისა და ნეოპლატონიკოსების მემკვიდრეობა. ძველი ბერძნული ფილოსოფიისადმი განუზომელ ინტერესს ადასტურებს ფილოსოფიის თავისებური ისტორიის – შახრასტანის („რელიგიური სექტები და ფილოსოფიური სკოლები“) გამოჩენა XII საუკუნეში (შუა საუკუნეებში ლამის ერთადერთის), რომელშიც ანტიკური ეპოქის მოაზროვნეთა მოძღვრებანია გადმოცემული.

კათოლიკურ დასავლეთსა და მუსულმანურ აღმოსავლეთს შორის ურთიერთობა მხოლოდ სამხედრო შეტაკებით არ ამოიწურებოდა. უკვე X საუკუნეში შეიძლება საუბარი გარკვეული კულტურული კონტაქტების არსებობის შესახებ. პირველ ყოვლისა, ორინიაკის სააბატოს (ოვერნი, საფრანგეთი) მონაზონი ჰერბეტი (გარდაიცვალა 1003 წელს) უნდა დასახლდეს, რომელიც შემდგომ პაპი გახდა (სილვესტერ II). მან უკვე VIII საუკუნეში არაბთა მიერ დაპყრობილ ესპანეთში რამდენიმე წელი დაჰყო და ლამის პირველი დასავლეთევროპელი სწავლული გახდა, რომელიც არაბულენოვან მეცნიერებას გაეცნო და თავის ნაშრომებში ასახა მისი მიღწევები. არაბულის მეშვეობით ჰერბეტის მოწაფემ, წარმოშობით იტალიელმა ფულიბერტიმაც (გარდაიცვალა 1028 წ.) შეითვისა ანტიკური მეცნიერების სხვადასხვა დარგი და ეს სულისკვეთება თავის მიერ პარიზთან ახლოს დაარსებულ შარტის რელიგიურ-ფილოსოფიურ სკოლაში გადმოიტანა, რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებობდა. ამ სასწავლებლის საქმიანობაზე დიდი ზეგავლენა იქონიეს XI საუკუნის შუა წლებში შესრულებულმა არაბულმა და ბერძნულმა სამედიცინო თხზულებების თარგმანებმა, რომელთა შემქმნელიც იტალიურ მონასტერში, მონტე კასინოში დამკვიდრებული სწავლული ექიმი, წარმოშობით კართაგენელი, კონსტანტინე აფრიკელი იყო. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწავლულისა და მოგზაურის, ადელიარდ ბატელის მთარგმნელობით მოღვაწეობას, რომელიც XII საუკუნის პირველ ნახევარში დაიბადა ინგლისში, სწავლობდა საფრანგეთში, ხოლო შემდგომ იატალიაში, ესპანეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და მცირე აზიაში იმყოფებოდა. ამ ავტორმა არაბულიდან ევკლიდეს

ცნობილი „საწყისები“ და არაბულენოვანი მათემატიკოსების ზოგიერთი ნაშრომი თარგმნა.

საერთოდ XII-XIII საუკუნეებში შუა საუკუნეთა ევროპის კონტაქტები არაბულ-მუსლიმანურ კულტურასთან ისე ფართოდ განვითარდა, რომ ამ პერიოდს ხშირად „თარგმანთა დიდ ეპოქას“ უწოდებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ესპანეთი, რომელზეც ქრისტიანული და მუსლიმანური სამყაროს საზღვარი გადიოდა. 1130 წლისთვის მავრთაგან ქალაქტოლედოს გამათავისუბლებელი განათლებული ეპისკოპოსის, რაიმონდის (გარდაიცვალა 1151 წელს) თაოსნობით ჩამოყალიბდა არაბული ენიდან მთარგმნელობითი სკოლა – მას ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. ამ ცენტრის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყვნენ დომენიკ გუნდისალვი, გაქრისტიანებული არაბულენოვანი ბრძენი იბნ დაუდი და იოანე სევილიელი. ძირითადად ითარგმნებოდა ფილოსოფიური თხზულებები, აგრეთვე, ასტრონომიული, სამედიცინო და სხვ. სამეცნიერო ნაშრომები. უნდა დასახელდეს წარმოშობით იტალიელი ჰერარდ კრემონელის (გარდაიცვალა 1187 წელს) მოღვაწეობაც, რომელსაც ასზე მეტი თარგმანი მიენერებოდა. არაბულიდან მთარგმნელები ესპანეთის სხვა ქვეყნებშიც იღვწოდნენ.

XIII საუკუნეში ტოლედოს სკოლასთან კიდევ ერთი – პალერმოს (სიცილია) ცენტრი გაერთიანდა – იმპერატორ ფრიდრიხ II ჰოჰენშტაუფენისა და მისი ვაჟის, მანფრედის სამეფო კარზე. ტოლედოსა და შემდეგ პალერმოში ლათინურად აქტიურად თარგმნიდა ასტროლოგი და ალქიმიკოსი მიქაელ (მაიკლ სკოტი) (1180-1235 წ.წ.). ამასთანავე, გადმოჰქონდათ როგორც არაბი და ებრაელი ავტორების — ავეროესის (იბნ-რუშდას), ავიცენას (იბნ-სინას), იბნ-ჰებროლის, მოშე მაიმონდის, ასევე, არაბულენოვანი ვერსიები (და მათდამი დართული კომენტარები) ანტიკური ეპოქის ავტორებისა – პლატონის, პლოტინეს, პროკლესა და სხვათა თხზულებები; მაგრამ განსაკუთრებული როლი არისტოტელეს თარგმანებმა შეასრულეს, რომელიც შუა საუკუნეთა სქოლასტიკის მთავარი ავტორიტეტი გახდა.

ამასთან ერთად, არაბული მთარგმნელობითი ტრადიციის (რომლის მიხედვითაც ძირითადად იცნობდნენ კიდევ არისტოტელეს) თავისი სპეციფიკა ჰქონდა, რომელმაც არსებითად ზეგავლენა იქონია დიდი ბერძენი მოაზროვნის ნაშრომებზე. თვით არისტოტელეს მოძღვრება, უწინარეს ყოვლისა, მისი მოგვიანო პერიოდის კომენტატორთა პრიზმაში აღიქმებოდა; ხოლო ამ უკანასკნელთა თხზულებები უშუალოდ უპირველეს მასწავლებელს მიენერებოდა. ამას გარდა, მრავალი ნაშრომი არა ბერძნულიდან, არამედ სირიული ენიდან ითარგმნებოდა,

რომელიც ახლო აღმოსავლეთში უფრო ცნობილი იყო (ხოლო სირიელთა ინტენსიურმა მთარგმნელობითმა საქმიანობამ ქრისტეს შობიდან უკვე პირველივე საუკუნეებიდან ამ ხალხს „მთარგმნელთა ერის“ სახელი მოუტანა).

ამგვარად, ტექსტის ადეკვატურად გააზრებისათვის ფრიად სახიფათო სიტუაცია შეიქმნა, როდესაც არისტოტელეზე დამყარებით, ამა თუ იმ დასავლეთ-ევროპელ სქოლასტიკოსს რეალურად ხელთ ჰქონდა ბერძნულიდან სირიულად, სირიულიდან არაბულად და ამ უკანასკნელიდან ლათინურად თარგმნილი თხზულებები. აქედან გამომდინარე, ყველა შედეგით.

## 5. ბერძნული ორიგინალების თარგმანები

შუა საუკუნეების მოაზროვნეთა შორის გარკვეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა თავლთახედვა, რომლის მიხედვითაც ბერძნული ორიგინალების იმ დროისთვის არსებული თარგმანები არ იყო სრულყოფილი და ამიტომ აუცილებელი გახდა დედნისეულ ტექსტებთან ხელახლა მიბრუნება. ცხადია, ამგვარი მცდელობა ადრეც იყო (მაგ. მაიკლ სკოტი და გერდ კრემონსკი), მაგრამ განსკუთრებული წვლილი ბერძნული ორიგინალების თარგმანის საქმეში მიუძღვის ოქსფორდის უნივერსიტეტის კანცლერს, შემდგომში ქ. ლინკოლნოს ეპისკოპოსს, რობერტ გროსტესტეს (1175-1253). მან იცოდა ებრაული, არაბული და ძველი ბერძნული ენები, ამიტომაც ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო არისტოტელეს თხზულებათა თარგმნა შესაბამისი კომენტარებით. უფრო მეტი თარგმანი შეასრულა უილიამ მერბეკედმა (1215-1286). იგი იყო კორინთოში კათოლიკე ეპისკოპოსი, შეისწავლა ძველი ბერძნული ენა და შეაგროვა არისტოტელეს თხზულებათა ხელნაწერები. მისი მიზანი იყო ბერძენი ფილოსოფოსის ნაშრომების კათოლიკური დოქტრინის სამსახურში ჩაყენება და არაბულენოვანი ჩანართებისგან განმწმენდა. მას დაევალა არისტოტელეს თხზულებათა თარგმნა ორიგინალიდან ლათინურ ენაზე. თარგმნის პროცესში უილიამი ამუშავებდა არისტოტელეს ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას ლათინურ ენაზე და ქმნიდა შესაბამის ადეკვატებს. ლათინურ ენაზე სამეცნიერო-ფილოსოფიური ლიტერატურის მთარგმნელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა როჯერ ბეკონი (1214-1292). მან დაურთო თარგმანს თეორიული ხასიათის კომენტარები, რომელშიც მსჯელობს თარგმანის თავისებურებებსა და სირთულეებზე. „ვინც კარგად იცის რომელიმე მეცნიერება, მაგ. ლოგიკა, სცადოს ორიგინალის არსი გადმოცეს თავის მშობლიურ ენაზე, და დაინახავს, რომ არ ეყოფა საამისოდ არც აზრი და არც სიტყვები. ასე რომ,

ამგვარად თარგმნილი ტექსტი ვერ გადმოცემს ორიგინალს ისე, როგორც შეეფერება“.

მიუხედავად ამგვარი სირთულეებისა, შუა საუკუნეებში მთარგმნელობით-მა პროცესმა თავისი შედეგი გამოიღო. მე-13 საუკუნის ბოლოსთვის დასავლეთევროპელი სქოლასტიკოსები უფრო უკეთესად იცნობდნენ ანტიკურ ფილოსოფიურ-მეცნიერულ მემკვიდრეობას, ვიდრე გასული საუკუნეების არაბი მეცნიერები. კონსტანტინეპოლი გახდა ცენტრი, საიდანაც დასავლეთ ევროპა იღებდა ხელნაწერებს, ასევე ძველი ბერძენი მოაზროვნეების მემკვიდრეობას, რამაც მოამზადა ევროპის აღორძინების საფუძველი.

ამ პერიოდში შექმნილ თარგმანებს ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა. თანდათან იწყებოდა ე. წ. ეროვნული ენობრივი სტილის თარგმანები. რაც გამოიხატა დასავლეთ ევროპის სახვადასხვა ენაზე დამოუკიდებლად შესრულებული ნიმუშებით.

## ბ. ინგლისური თარგმანის დასაწყისი

ჩ. წ. აღ-ის მე-5 საუკუნემდე ბრიტანეთის მოსახლეობა კელტური იყო. მიუხედავად ხუთსაუკუნოვანი რომაული ოკუპაციისა, ბრიტანული კუნძულების რომანიზაცია მნიშვნელოვანწილად არ მომხდარა. მე-5 საუკუნიდან იწყება გერმანიკული ტომების (ანგლების, საქსების, იუტების) მიგრაცია ბრიტანეთში.

ქრისტიანობის გავრცელება ამ ტერიტორიაზე მე-2 საუკუნეში იწყება, მაგრამ სრული ქრისტიანიზაცია მე-6 საუკუნეს განეკუთვნება, როცა პაპმა გრიგოლი I ბრიტანეთში გაგზავნა მისია ორმოცი ბერის შემადგენლობით ცნობილი ავგუსტინეს მეთაურობით, რომელმაც კენტერბერში მონასტერი დაარსა.

ინგლისურ ენაზე თარგმანის შესახებ საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ბერი კედმონი (VII ს), რომელმაც სალექსო ფორმით ძველ ინგლისურ ენაზე წმინდა წერილის რამდენიმე სიუჟეტი გადმოსცა. იყვნენ სხვა მთარგმნელებიც, მაგრამ ინგლისურ ენაზე თარგმანის აღორძინება უკავშირდება მე-9 საუკუნის მოღვაწეს ალფრედ დიდს. მისი სამეფო ტახტზე ასვლის დროისთვის ზოგადად დაეცა განათლების დონე, რაც მაშინდელ ეპოქაში ლათინურის ცოდნასთან იყო დაკავშირებული. მეფე აცნობიერებდა იმას, რომ განსაწავლულობის

წინაპირობა იქნებოდა სამწერლობო კულტურული მემკვიდრეობის თარგმნა იმ ენაზე, რომელიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ესმოდა. ალფრედ დიდმა შემოიკრიბა მეცნიერთა წრე: ასერი – უელსის ეპისკოპოსი, ვერფურტი – ვეტსერის ეპისკოპოსი, კენტერბერის ეპისკოპოსი და სხვები. მონარქის მიზანი იყო ახალი ინგლისურენოვანი თარგმანების შესრულება.

მართალია, მეფეს პირადად არ მიუღია მონაწილეობა ამ დიდი მიზნის განხორციელებაში, მაგრამ ინიციატივისა და ორგანიზატორობის გამო მის წამოწყებას ბადალი არ ჰყავს მაშინდელ ევროპაში.

ამ ეპოქაში ითარგმნა:

1. ეპისკოპოს ოროზის თხზულება: „წარმართთა სანინაალმდეგო ისტორია“, რომელშიც დასაბუთებული იყო ქრისტიანობის მიერ წარმართული რომის იმპერიის დანგრევა. ალფრედ დიდის მიერ შერჩეული ეს თხზულება ძალიან მნიშვნელოვანი იყო შუა საუკუნეების იდეოლოგიისათვის და განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. თხზულების თარგმანი შემოკლებულია და ზოგან გავრცობილი.
2. ინგლისელი ხალხების საეკლესიო ისტორია – ასევე ლათინურიდან ითარგმნა, ოლონდ მეტი სიზუსტით
3. „ფილოსოფიის სიმშვიდისათვის“ – ბოეციუსი (მე-6 ს). ეს არის ფილოსოფოს ბოეციუსის ანუ „უკანასკნელი რომაელის“ მიერ საპყრობილეში დაწერილი თხზულება. ბოეციუსის ეს ნაშრომი შუა საუკუნეებში განსაკუთრებულად იყო გავრცელებული, რადგან მასში ქრისტიანობისთვის წამებულ ავტორს ხედავდნენ. ამ თხზულების თარგმანიც საკმაოდ თავისუფალია. თარგმანი ეკუთვნის ეპისკოპოს ასერს. მასში შეიმჩნევა ტექსტის ქრისტიანული იდეოლოგიით გაღრმავება.
4. „მოძღვრის მოვალეობანი“ – გრიგოლ I დიდი პაპის თხზულება. ეს თარგმანი უფრო ზუსტად მისდევს ორიგინალს, თუმცა აქაც დროდადრო შინიშნება პერიფრაზები. ალფრედ დიდის მიზანი იყო ამ ნაშრომის გავრცელება ინგლისურენოვან სამწყსოში.
5. გრიგოლ დიდის „დილოგები“, რომელიც იტალიელი წმინდანების და მათი სასწულების შესახებ გადმოცემებს შეიცავს.

ალფრედ დიდის სახელთან არის დაკავშირებული, უმნიშვნელოვანესი თხზულებების ლათინური ენიდან ინგლისურად თარგმანა. მონარქმა იცოდა, რომ მის შემდგომ ეპოქაშიც უნდა გაგრძელებულიყო მთარგმნელობითი რეფორმები.

# აღორძინების ეპოქა და თარგმანის განვითარება

## 1. აღორძინების ეპოქის გაგებისათვის და მისი განმასხვავებელი ნიშნები

აღორძინების ეპოქის დასაწყისი, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია იტალიის კულტურული ცხოვრების აღორძინებასთან მე-14-15 საუკუნეებში. სწორედ აქ, ჯერ ფლორენციაში, შემდეგ კი სხვა ქალაქებში, აყვავდა ჰუმანიტარული მეცნიერებები, გაცხოველდა ინტერესი მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მიმართ, წარმოიშვა გამომსახველობითი ხელოვნება, რომელიც ესწრაფვოდა ადამიანისა და ბუნების შესწავლას. საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიტურ მოძრაობას, რაც გახდა განმსაზღვრელი მთლიანი რენესანსული მსოფლმხედველობისა. შუა საუკუნეების მსოფლმხედველობის საპირისპიროდ აღორძინების აზროვნებას საფუძველად დაედო ადამიანისა და გარემომცველი სამყაროს ჰარმონიული თანაარსებობა. მე-15 საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისში ჰუმანიტური მოძრაობა გავრცელდა დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ბევრ ქვეყანაში.

შუასაუკუნეობრივ სქოლასტიკასთან ბრძოლაში ჰუმანიტები ეყრდნობოდნენ ანტიკური ეპოქის მემკვიდრეობას, მის აღორძინებას და ანტიკური ტრადიციების გათავისუფლებას გვიანდელი დანამატებისგან. ეს პროცესი გამოვლინდა თარგმანის სფეროშიც.

## 2. ენობრივი სიტუაცია აღორძინების ეპოქაში

აღორძინების ეპოქაში ენობრივ სიტუაციაზე საუბრისას გამოიყოფა ორი ტენდენცია. ერთი მხრივ, რენესანსულ ევროპაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალი ლიტერატურული ენების განვითარებას, რომელთაც ბოლოს და ბოლოს განდევნეს ლათინური იმ სფეროებიდან, რომლებშიც იგი წინა საუკუნეებში იყო გაბატონებული. მეორე მხრივ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი ჰუმანიტური მოძრაობისა იყო ციციერონის და იულიუს კეისრის კლასიკური ლათინური ენის აღორძინება, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა შუა საუკუნეების ლათინურისგან. ეს ვითარება მკვეთრად აისახა აღორძინების სამშობლოში – იტალიაში და გამოიხატა სახელგანთქმული პოეტის ფრანჩესკო

პეტრარკას (1304-1374) თარგმანებში. იგი პირველ ჰუმანისტად იწოდება. პეტრარკა წერდა მშობლიურ ენაზე, მაგრამ მე-14 საუკუნის მეორე ნახევარში მან უპირატესობა მიანიჭა ლათინურს და თვლიდა, რომ ახალი კულტურისა და მეცნიერების საფუძველი სწორედ ეს ენა იყო. მსგავსი სურათი ჩანს შემდგომი ეპოქის ჰუმანისტების თაობაში (მაგ., ერაზმ როტერდამელი), რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ლათინურის გარდა სხვა ენას არ იყენებდნენ. საბოლოოდ, რენესანსული კულტურის მოღვაწეთა წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრა ლათინურის აღორძინებასთან დაკავშირებით გაგრძელდა ძველი ბერძნული ენისადმი ინტერესით, რომელიც წარსულ საუკუნეებში თითქმის მივიწყებული იყო. გასაკვირი არ არის, რომ ამ ეპოქაში ფართოდ გავრცელდა თეზისი „ძველი ბერძნული ენის გარეშე არ გეცოდინება ლათინური“. ამგვარად ჩამოყალიბდა კულტურულ-ლინგვისტური სიტუაცია, რომელიც გარკვეულწილად ძველ რომაულს ჰგავდა. ორივე შემთხვევაში ლათინური მთავარი ენა იყო, სათარგმნი ენა მაშინ, როცა ძველი ბერძნული (რომლის ცოდნაც, როგორც ანტიკურ რომში, ასევე რენესანსულ ევროპაში მიიჩნეოდა აუცილებლად განსწავლული ადამიანისთვის) – ითვლებოდა მეორე ენად. ეს თავისებური ლათინურ-ბერძნული „კულტურული ბილინგვიზმი“ განსაზღვრავდა თარგმანის განვითარებას აღორძინების ეპოქაში. ეს მოცემულობა გავლენას ახდენდა მესამე კომპონენტზე – სახალხო ენაზე, რომლის გამოყენების ხარისხი ლიტერატურულ შემოქმედებაში – როგორც ორიგინალურ, ასევე თარგმანის შემთხვევაში სხვადასხვანაირი იყო.

### 3. რენესანსული ტრადიციის ბერძნულ-ლათინური თარგმანის დასაწყისი

უკვე „პირველ ჰუმანისტს“ ფრანჩესკო პეტრარკას კარგად ესმოდა ძველი ბერძნული ენის მნიშვნელობა კულტურის განვითარებაში. მისი მონაწილე და მიმდევარი კოლუჩო სალუტატი (1331-1406), ფლორენციის რესპუბლიკის ყოფილი კანცლერი, თავის წერილში მეგობრების მიმართ საუბრობს „ილიადას“ მოკლე ლათინური თარგმანის შესახებ. ადრესატისადმი წერილში სალუტატი ყურადღებას ამახვილებს ლათინურ თარგმანში ჰომეროსისეული ენისა და სახეების ზუსტი გადმოცემის შესახებ. რენესანსული ტრადიციის ბერძნულ-ლათინურ თარგმანებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ბიზანტიურმა ეპიგრამებმა. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ ბერძნული კლასიკური განათლების მემკვიდრედ ევროპა და უპირველეს ყოვლისა, იტალია გახდა. 1360 წელს ფლორენციაში შეიქმნა პირველი ძველი ბერძნული ენის კათედრა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბიზანტიელი ლეონტი პილატი. სწორედ მისი თარგმანებით გაიცნეს ჰომეროსისა

და პლატონის შემოქმედება პეტრარკამ და ბოკაჩომ. თარგმანის ისტორიისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მე-15 საუკუნეში ბესარიონ ნიკიელის მოღვაწეობა, რომელმაც გარშემო შემოიკრიბა იტალიელი ჰუმანისტები. სწორედ მან თარგმნა არისტოტელეს, თეოფრასტეს, ქსენოფონტეს და დემოსთენეს შრომები.

#### 4. ჰუმანისტური თარგმანის განვითარება

მე-15 საუკუნის დასაწყისში ბერძნულ-ლათინური თარგმანისადმი ინტერესი იზრდება. ეს გამოიხატა იტალიელი ჰუმანისტების შემოქმედებაში. ლეონარდო ბრუნი (1370-1444), ფლორენციის რესპუბლიკის კანცლერი, თარგმნიდა ლათინურ ენაზე არისტოტელეს, პლატონის, პლუტარქეს, დემოსთენეს, ესქილეს შემოქმედებას. შემდეგ ლორენცო ვალი (1405-1457) გამოიჩინა ბერძენი ისტორიკოსების თუკიდიდესა და ჰეროდოტეს შემოქმედების თარგმანით. ასევე პოეტი და მეცნიერი ანჯელო ამბროზინი (1454-1494) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ანტიკური ავტორების ფილოლოგიურ კრიტიკას და ქმნის ჰომეროსის „ილიადის“ ახალ ლათინურ თარგმანს. უდიდესი ინგლისელი ჰუმანისტის თომას მორის (1478-1535) (რომელმაც დაწერა ცნობილი „უტოპია“) შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლათინურ ენაზე ბერძნული პოეზიის ანთოლოგიის თარგმანს. არ შეიძლება არ დავასახელოთ ერაზმ როტერდამელიც, რომელმაც ლუკიანეს დიალოგები და ევრიპიდეს ტრაგედიები თარგმნა.

შუა საუკუნეებში შესრულებული ანტიკური ავტორების თარგმანები არა ორიგინალებს, არამედ არაბულ თარგმანებს ეფუძნებოდა; ცხადია, ამ წინამორბედ თარგმანებში არ შეინიშნებოდა ორიგინალთან ადეკვატურობა, არც შინაარსობრივ და არც ფორმობრივ დონეზე. აღორძინების ხანაში, რომლის მონოდება იყო ცნობილი ლოზუნგი „Ad fontes“ (წყაროებთან), უგულბებელყოფილი იყო ამ სტილით თარგმნა და დაიწყო ახალი, ორიგინალთან დაახლოებული თარგმანების შექმნა. ამგვარად, ჰუმანისტებმა მიზნად დაისახეს, არა მარტო ანტიკური ავტორების ახალი თარგმანების შექმნა, არამედ მათი განმეხილად გვიანდელი „ბარბაროსული“ ჩანართებისგან. აღორძინების ხანაში განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა ანტიკური ეპოქის გამორჩეულმა ფილოსოფოსმა პლატონმა. მისი თხზულებებისადმი ინტერესი დაკავშირებულია ბიზანტიელ ფილოსოფოს ნეოპლატონიკოსთან გეორგი ჰემისტა პლიფონთან (1360-1452). როდესაც იგი ფლორენციაში ჩავიდა, მუდმივად საუბრობდა პლატონის შემოქმედებაზე და პლატონიზმის მნიშვნელობაზე. თარგმანის ისტორიაში გამორჩეული ადგილი

ეკუთვნის ფლორენციის პლატონური აკადემიის დამაარსებელს მარსილიო ფიჩინოს (1433-1499), რომელსაც ნიკოლო მაკიაველიმ პლატონური ფილოსოფიის მეორე მამა უწოდა. მართალია, პლატონური ტრადიცია არსებობდა შუა საუკუნეებშიც, მაგრამ ეს იყო პლატონი თვით პლატონის გარეშე. ლათინური თარგმანებით ცნობილი იყო მხოლოდ პლატონის რამდენიმე დიალოგი. ჰუმანისტებმა პეტრარკას ენით დაიწყეს პლატონიზმით ბრძოლა შუასაუკუნეობრივ სკოლასტიკასთან. მე-15 საუკუნის დასაწყისიდანვე ხელახლა ითარგმნა პლატონის დიალოგები. ფიჩინომ, პირველმა მისცა დასავლეთ ევროპას პლატონის თხზულებების სრული თარგმანები ლათინურ ენაზე, რასაც მოაყოლა ნეოპლატონიკოსთა პლოტინეს, იამბლიქეს, პორფირიოსის და პროკლეს თხზულებების თარგმანები. გარდა ამისა, ფიჩინომ ყურადღება ქრისტიანულ ნეოპლატონურ ტრადიციასაც დაუთმო. მან ხელახლა ითარგმნა ლათინურ ენაზე დიონისე არეოპაგელის და მეთორმეტე საუკუნის ფილოსოფოს-თეოლოგის მიქაელ ფსელოსის თხზულებები. ბერძნულ-ლათინური ტექსტების თარგმნამ აღორძინების ხანაში განაპირობა გარკვეული მთარგმნელობითი პრობლემების წარმოშობა. ჰუმანისტებმა ყურადღება მიაქციეს თარგმანის ერთ ასპექტს – თარგმანის სასწავლო-პედაგოგიურ მიმართულებას. ეს აქცენტი მოგვაგონებს რომაელი ავტორების შეხედულებებს, რაც გამოიხატებოდა სენტენციაში „*Demodo docendi et discendi*“ (ვასწავლი და ვსწავლობ)

## 5. აღორძინების ხანის მთარგმნელობითი კონცეფციები

აღორძინების ხანის ავტორების მთარგმნელობითი კონცეპციების შესახებ საუბრისას უნდა დავასახელოთ ტრაქტატი სწორად თარგმნის შესახებ, რომელიც 1426 წელს გამოვიდა (~*De interpretatione recta*). ეს ტრაქტატი შეადგინა იტალიური ჰუმანიზმის ცნობილმა წარმომადგენელმა ლეონარდო ბრუნიმ. ბრუნი თარგმანის პროცესში უმთავრესად მიიჩნევს ორიგინალისა და სათარგმნი ენის ღრმა ცოდნას; აქვე მიუთითებს, რომ ეს არ არის საკმარისი, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ორივე ენის ცოდნა მთარგმნელობითი საქმიანობისთვის საკმარისი არ არის, ისევე როგორც, მხატვრობის ყველა მცოდნე თვითონ ვერ დახატავს. ამიტომ აუცილებელია ღრმა ცოდნა ორიგინალის ენისა და ლიტერატურისა უფრო ზუსტად, ბატონობა ამ ორივეზე. ბრუნი მთარგმნელის წინაშე არსებულ ამოცანას შემდეგნაირად აყალიბებს: „როდესაც ნახატის გადახატვისას მხატვარი ნიმუშიდან იღებს ფიგურას, პოზას და სხეულის ფორმას და ცდილობს არა თავად შექმნას ახალი, არამედ გადმოსცეს ის, რაც გააკეთა სხვამ, ასევე

თარგმანებშიც საუკეთესო მთარგმნელს გადმოაქვს მთელი შინაარსი, სული და მიზანი ორიგინალის ავტორისა, ხორცს შეასხამს ავტორის მეტყველებას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ანუ ხელახლა ქმნის ორიგინალის ასლს. ამ ამოცანის გადამწყვეტა შეუძლია იმ ადამიანს, ვინც ღრმად ერკვევა ფილოსოფოსების, ორატორების, პოეტებისა და სხვა ავტორთა შემოქმედებაში. მხოლოდ მას შეუძლია შეინარჩუნოს ორიგინალის სახე, გადმოსცეს რა სიტყვებით შედგენილი შინაარსობრივი მხარე, აგრეთვე შეუნარჩუნოს თარგმანს ორიგინალის „ბრწყინვალეობა და მოკაზმულობა“.

ამ შეხედულების განვითარება შეინიშნება ბრუნის თანამემამულე ჯანოცო მანეტის (1396-1459) ნაშრომში. მანეტი აუცილებლად თვლის ორიგინალის ენის ფართო და ყოველმხრივ ცოდნას. რისთვისაც რეკომენდაციას იძლევა, რომ მთარგმნელმა დიდხანს და ყურადღებით იკითხოს კლასიკოსი პოეტების, ორატორების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების და თეოლოგების ნაშრომები. მანეტი მიუთითებს, რომ სათარგმნი ორიგინალის უანრს და მის ღრმა ცოდნას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თარგმნის პროცესში. ტექსტები, რომლებიც გამორჩეულია ემოციური გამომსახველობით (პოეზია, ორატორული პროზა, ისტორიული თხზულებები) და ძეგლები, რომლებიც ჭეშმარიტებას გადმოსცემენ (ფილოსოფიური ტრაქტატები, წმინდა წერილი) ითარგმნება სხვადასხვანაირად. პირველ შემთხვევაში დასაშვებია ტექსტის სიმშრალის დაძლევა და თარგმანში მეტი გამომსახველობის და ემოციურობის შეტანა, ხოლო მეორე შემთხვევაში კარგი მთარგმნელები ფილოსოფოსების და თეოლოგების ნაშრომებში ინდივიდუალური ცვლილებების შეტანას არ უნდა მიმართავდნენ. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა თარგმანის კონცეპცია, რომელიც შეიმუშავა ფრანგმა პოეტმა და მთარგმნელმა ემიენ დოლემ (1509-1546). მან თავის წიგნში „ფრანგი ორატორი“ ჩართო მსჯელობა „თარგმანის ხელოვნების“ შესახებ, სადაც გამოყოფილია შემდეგი საკითხები:

1. მთარგმნელი ვალდებულია ბოლომდე გაერკვიოს იმაში, რასაც თარგმნის, ანუ ორიგინალის შინაარსსა და ავტორის მიზანში.
2. მთარგმნელმა სრულყოფილად უნდა იცოდეს ორიგინალის და თარგმანის ენაც.
3. მთარგმნელის კალამი არ უნდა იყოს მიჯაჭვული ორიგინალის სიტყვებსა და კონსტრუქციებზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორიგინალი არ უნდა ითარგმნოს სიტყვასიტყვით, რადგან ამგვარი მორჩილი მიდგომა ორიგინალთან ამცრობს მას და აკარგვინებს გამომსახველობის მშვენიერებას.
4. მეტად განვითარებული ენიდან ნაკლებად განვითარებულ ენაზე თარგმ-

ნისას მთარგმნელი მუდმივად უნდა ცდილობდეს უკანასკნელის განვი-  
თარებას.

5. მთარგმნელმა არ უნდა დაივიწყოს ნათარგმნი ტექსტის ჰარმონია და თავისუფლება, ანუ ორიენტირებული უნდა იყოს მკითხველის სმენაზეც და სულიერ სიამოვნებაზეც.

ამგვარად, დოლე საუბრობს ორიგინალის იდეურ, მხატვრულ მნიშვნელო-  
ბაზე. მოგვიანო პერიოდის კომენტატორებმა ყურადღება მიაქციეს ამ ფაქტს,  
მთარგმნელის თავისუფლებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ორიგინალის ტე-  
ქსტში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა. ამიტომ დოლეს და მის მიმდევ-  
ართა ქვეყნებში, რენესანსულ ევროპაში მეტი გავრცელება მოიპოვა ე. წ „ექსპ-  
ლიკატიურმა „თარგმანებმა, შემოკლებები, ჩამატებებით, შესწორებებით.

სწორედ ეს ფაქტი გამოიყენეს ინკვიზიტორებმა, როცა ეტიენ დოლე დაადან-  
აშაულეს მის თარგმანში არასწორ ინტერპრეტაციაში. ინკვიზიტორებმა ყურ-  
ადღება მიაქციეს პლატონის დიალოგების მისეულ თარგმანს, რომელშიც ერთ  
ადგილას სოკრატე ამბობს: „სიკვდილი უძლურია შენ წინაშე, რადგან არც  
ისე ახლოს ხარ შენ დასასრულთან და როცა დასრულდები, სიკვდილიც იქნე-  
ბა უძლური, რადგან არაფრად გადაიქცევი“. ინკვიზიციამ თარგმანის ტექსტი  
შეადარა ორიგინალს და აღმოჩნდა, რომ პლატონთან მსგავსი რამ არ ეწერა,  
უფრო მეტიც, ეწინააღმდეგებოდა პლატონის თეორიას. გარდა ამისა, ეჭვის ქვეშ  
აყენებდა ქრისტიანულ დოგმატს სულის უკვდავების შესახებ. დოლე დასაჯეს და  
დანვეს. დოლეს თეორიულ შეხედულებებსა და მის მიერ ნათარგმნ ნაშრომებს  
შორის წინააღმდეგობას ყურადღება მიაქციეს შემდგომი დროის მკვლევრებმა.  
ფრანგი მეცნიერის ედმონდ კარის მიერ თარგმანების ანალიზის შემდეგ გაჩნდა  
აზრი თარგმანის ადეკვატურობის სხვაგვარი გაგების შესახებ.

# რეფორმაცია და თარგმანის პრობლემები

სიტყვაში „რეფორმაცია“ იგულისხმება მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო რომაულ-კათოლიკური ეკლესიისა და პაპის უზენესი ძალაუფლების წინააღმდეგ. რეფორმაციის მოძრაობის მიზანი იყო საეკლესიო გაერთიანებებში უფრო დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება. რეფორმატორები უარყოფდნენ საეკლესიო დოგმების აუცილებლობას. რეფორმაციის დასაწყისად ითვლება 1517 წ, როცა გერმანელი ბერი მარტინ ლუთერი გამოვიდა თავისი ცნობილი თეზისით ე. წ ინდულიგენციების წინააღმდეგ. რეფორმაცია მალე გასცდა გერმანიის საზღვრებს და ევროპის სხვა ქვეყნებს გადასწვდა. ფაქტობრივად, ერთმანეთს დაუპირისპირდა ჰუმანიზმი და რეფორმაცია. თუკი ჰუმანიზმი ესწრაფოდა ახალი ელიტარული კულტურის შექმნას და მის საფუძვლად ლათინურ ენას მიიჩნევდა, რეფორმატორები მოსახლეობას სახალხო ენაზე მიმართავდნენ და ამოსავლად სახალხო ენებს მიიჩნევდნენ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც რეფორმაცია შეეხო, იყო ბიბლიის თარგმნა ევროპის სხვადასხვა ენაზე, რაც დაასრულებდა კათოლიკური ეკლესიის მონოპოლიას ევროპაზე. ბიბლიის თარგმნის პროცესი წარიმართა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სამეცნიერო-ფილოლოგიური კვლევის საფუძველზე.

# XVII-XVIII საუკუნეების ევროპული თარგმანი (კლასიციზმის პერიოდი)

## კლასიციზმის პერიოდის თარგმანის ძირითადი ნიშნები

კლასიციზმის ეპოქისთვის დამახასიათებელია სათარგმნ ტექსტში თვითნებური ჩარევა – სიუჟეტის, სტილის, თემის, ჟანრის, ტიპაჟის, მოცულობისა და სხვა კომპონენტების შეცვლა. დედნისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ იყო მთარგმნელთა უბრალო თვითნებობა. იგი ლოგიკურად კლასიციზმის ესთეტიკის ნორმებიდან და წესებიდან მომდინარეობდა და პირდაპირ კავშირში იყო ესთეტიკური იდეალის რაციონალური გაგების პრინციპთან. კერძოდ, სათარგმნ თხზულებათა უმრავლესობა მიახლოებული უნდა ყოფილიყო აბსოლუტურ ღირებულებასთან და თუ დედანი ვერ აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნას, მისი ავტორის დაწყებული საქმე შემდგომი თაობის მწერალთა მიღწევებით უნდა შევსებულიყო, სათარგმნი ტექსტის ღირსებებს კიდევ რაღაც ახალი შემატებოდა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადაგმულიყო დასახული მიზნისკენ და დედანი იმ დროის შესაბამისად შელამაზებულიყო და გაუმჯობესებულიყო, რომელშიც სრულდებოდა თარგმანი.

სათარგმნი მასალისადმი ამგვარ დამოკიდებულებას კი იმით ხსნიდნენ, რომ ყველაფერი დედნის სასარგებლოდ კეთდებოდა. მთარგმნელთა მთავარ მიზანს წარმოადგენდა, მკითხველისთვის მიეწოდებინათ, მათი აზრით, იდეალურთან მიახლოებული ნაწარმოები, ხოლო იმას, თუ რისი თქმა უნდოდა ავტორს ან რამდენი ადამიანი მონაწილეობდა თხზულების შემდგომ დახვეწაში, არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ როგორც პოეზიის, ისე პროზის მთარგმნელები, რომლებიც ტექსტიდან იღებდნენ იმას, რაც ზედმეტად, არამხატვრულად, მიუღებლად მიაჩნდათ და თავიანთი შეხედულებისამებრ არასრულ მონაკვეთებს საკუთარით ავსებდნენ.

ამ პერიოდში საკმაოდ მწვავე დისკუსიები მიმდინარეობდა როგორც ზოგადად უცხოენოვანი ტექსტის, ისე ცალკეული მხატვრული ნაწარმოების გადმოცემის პრინციპების შესახებ.

## ფრანგული მთარგმნელობითი ტრადიცია

კლასიციზმის თავისებურებანი ყველაზე ნათლად მის სამშობლოში, საფრანგეთში გამოვლინდა. ცნება „თარგმნის ფრანგული მანერა“ დედნისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების სინონიმადაც კი იქცა.

ამ პერიოდში ნათარგმნი თითქმის ყველა წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ თარგმანიდან ამოღებულია გემოვნებიანი და განათლებული ფრანგი მკითხველისთვის შეურაცხმყოფელი მონაკვეთები, რაც არა მხოლოდ მკითხველის, არამედ წიგნის ავტორის სასარგებლოდ გაკეთდა.

„მკითხველისათვის სიამოვნების მინიჭებისა და ავტორის სრულყოფის“ პრინციპი ვრცელდებოდა ყველა ეპოქის მწერალზე – ანტიკური ხანიდან მოყოლებული, მათი თანამედროვე მწერლებით დამთავრებული.

XVIII საუკუნის თვალსაჩინო ფრანგმა მთარგმნელმა **პიერ ლეტურნელმა** (1736-1788) პირდაპირ განაცხადა, რომ **თომას იუნგის** (1773-1829) პოეზიის თარგმნისას მიზნად დაისახა, ინგლისელი პოეტის ლექსები გადმოელო ისე, რომ მკითხველს ისინი ფრანგულ ორიგინალად აღექვა. სერვანტესის „დონ კიხოტის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელი **ჟან პიერ ფლორიანი** (1755-1794) კი წიგნის წინასიტყვაობაში წერდა, რომ დედნისადმი ერთგულება იყო მანკიერება და ის, რაც დედნის ავტორის „ცუდ გემოვნებაზე“ მეტყველებდა, თარგმანში აღარ უნდა გადასულიყო. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ყველაზე „სასიამოვნო თარგმანი“ ამავე დროს ყველაზე ზუსტიცაა.

ერთ ფრანგ მთარგმნელს ახალი აღთქმის ყოველგვარი „უხეშისა და ბუნდოვანისგან განმენდაც“ კი მოუსურვებია, თუმცა იმაზეც დაფიქრებულა, რომ ამით უფლის წინაშე შესცოდავდა.

ცნობილი ფრანგი მწერალი **შარლ პერო** (1628-1703) პოემაში „ლუდოვიკო დიდის ხანა“ (1687), ამტკიცებდა, რომ ფრანგები, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება, ყოფილიყვნენ „მეფე მზის“ (ლუდოვიკო XIV-ის) ქვეშევრდომები, არათუ ჩამორჩებოდნენ, არამედ ბევრი რამით უსწრებდნენ ძველ ბერძნებსა და რომაელებს. შარლ პეროს ამ განაცხადით ეჭვქვეშ დადგა ანტიკური მემკვიდრეობის აბსოლუტური იდეალურობა, თუმცა დამოკიდებულება ყველაფრის მიმართ, რაც ხელოვნებას უკავშირდებოდა, არსებითად არ შეცვლილა – კლასიციზმი თავის გავლენას თარგმანზეც ინარჩუნებდა და იდეალურთან მიახლოების მიზნით,

მთარგმნელებს უწინდებურად, როგორც ძველ, ისე თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებებში შესწორებები შეჰქონდათ.

შარლ პეროს აზრით, ჰორაციუსის „სატირები“ დედანზე გაცილებით დახვეწილად ნიკოლა ბუალოსეულ (1636-1711) თარგმანებში ჟღერდა. აქედან გამომდინარე, იგი თვლიდა, რომ ადეკვატურობისკენ სწრაფვა მხოლოდ დედნის დისკრედიტაციას ემსახურებოდა – ზუსტი თარგმანი გადმოსაღები თხზულების ყველა ნაკლს ააშკარავებდა და ამით მას ზიანს აყენებდა.

პეროს ამ მოსაზრებას ნიკოლა ბუალოსა და ჟან რასინის (1639-1699) საკმაოდ მწვავე რეაქცია მოჰყვა. ბუნებრივია, ფრანგული კლასიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენელთათვის, მიუღებელი იქნებოდა ანტიკური მემკვიდრეობის ეს-თეტიკური მნიშვნელობის არასათანადო შეფასება და დედანზე წინ მათი ე. წ. „გაუმჯობესებელი“ თარგმანების დაყენება.

პერომ კრიტიკის პასუხად პოზიცია შეიცვალა – ბუალოს „სატირების“ თარგმანი ზედმინენითი სიზუსტის გამო დაუნუნა და მიუთითა, რომ ხშირ შემთხვევაში ფრანგული ვერ იგუებს იმას, რაც ლათინურს უხდება.

XVII საუკუნეში დანყებული კამათი შემდგომშიაც გაგრძელდა – 1714-1717 წლებში. „ილიადის“ მთარგმნელებს ანტუან უდარ დე ლა მოტსა და ანა დასიეს შორის ჰომეროსის თარგმნის პრინციპების შესახებ მწვავე დისკუსია გაიმართა.

ანტუან მოტი თვლიდა, რომ ჰომეროსი სრულყოფილებისაგან საკმაოდ შორს იდგა, ამიტომ პოემიდან მხოლოდ მისთვის მოსაწონი ეპიზოდები თარგმნა, დანარჩენები ამოიღო ან შეცვალა. მან მიზნად დაისახა, თარგმანი ყოფილიყო „ზუსტი, გასაგები და სასიამოვნო“ და, როგორც თავად აღნიშნავს, ამ საქმეს დიდი სიფრთხილით მოეკიდა – დედნისა და თარგმანის ეპოქებს შორის განსხვავება გაითვალისწინა, პოემის ძირითადი არსი შეინარჩუნა და ძველი ბერძენი კლასიკოსის ნააზრევი თავისი თანამედროვეებისთვის გასაგები გახადა. თარგმანი სასიამოვნო საკითხავი რომ ყოფილიყო, ჰომეროსის დროინდელი ცნებები ახლით შეცვალა და მკითხველს შესთავაზა მოკლე და საინტერესო ფრანგული პოემა, რომელშიც დედნის ხარვეზები ნაკლებად აისახებოდა.

ა. მოტის თარგმანი და თეორიული მოსაზრებები კატეგორიულად მიუღებელი აღმოჩნდა ა. დასიესთვის, რომლის აზრით, მთარგმნელმა ვერცერთი პირობა ვერ შეასრულა – „ილიადას“ ფრანგული ვერსია არც „ზუსტი იყო და არც გასაგები

და სასიამოვნო", რადგან მთარგმნელმა დედნის „გაკეთილშობილების“ მიზნით, ჰომეროსის აზრები საკუთარით შეცვალა, ხასიათები და ლექსნყოფა დაამახინჯა და პოემას „ბუნებრიობა“ დაუქარგა.

მოტისა და დასიეს დისკუსია იმით დამთავრდა, რომ 1716 წელს მათ საერთო მეგობართან სტუმრობისას ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და ჰომეროსის სა-დღეგრძელო შესვეს.

ანტიკური ლიტერატურის თარგმნის პრობლემებისადმი ყურადღება არც შემდგომში განელებულა – 1719 წელს ისტორიკოსმა და კრიტიკოსმა ჟან ბატისტ დიუბომ (1674-1742) ნაშრომში „კრიტიკული ფიქრები პოეზიასა და ფერწერაზე“ პერო და მოტი იმის გამო გააკრიტიკა, რომ მათ ანტიკური ლიტერატურის ფრანგული თარგმანები დედანზე წინ დააყენეს. მისი აზრით, თარგმანი, განსხვავებული ენის, სტილისტიკის, ეროვნული კოლორიტის და სხვ. თავისებურებათა გამო, დედანზე სრულ წარმოდგენას ვერასდროს შეუქმნიდა მკითხველს.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ჰომეროსის თარგმნის პრობლემების ირგვლივ გამართულ ამ ხანგრძლივ, მრავალწლიან დისკუსიამდე, 1661 წელს გამოვიდა პიერ დანიელ იუეს (1630-1721) ტრაქტატი „თარგმნის საუკეთესო საშუალების შესახებ“, რომელსაც კლასიციზმის ეპოქის ფრანგული მთარგმნელობითი აზროვნების უდიდეს მიღწევად მიიჩნევენ.

ტრაქტატის თანახმად, საუკეთესოა თარგმანი, რომელიც ავტორის აზრსაც ინარჩუნებს და რამდენადაც ამის საშუალებას ამოსავალ და თარგმანის ენებს შორის არსებული განსხვავება აძლევს, სიტყვასიტყვით მისდევს დედანს.

ამდენად, მთარგმნელი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს, სრულყოფილად გადმოსცეს დედნის თავისებურებანი და თავს რაიმეს გამოტოვებისა და ჩამატების უფლება არ უნდა მისცეს, დედნის მიმართ იმდენად ერთგული უნდა იყოს, რომ ბუნდოვან ფრაზებსაც კი არ აუაროს გვერდი და შესაბამისი შესატყვისები მოუძებნოს.

იუე დედნისა და თარგმანის ენობრივი სპეციფიკით განპირობებულ სირთულეებზეც შეაჩერებს ყურადღებას, მაგრამ მათ მხოლოდ იმის მტკიცებულებად მიიჩნევს, რომ „თარგმანი ჭეშმარიტი ხელოვნებაა“. იუეს აზრით, მთარგმნელი სირთულეების გადალახვით გაცილებით მეტი მიღწევებისთვის უკვალავს გზას თავის შემოქმედებით მემკვიდრეებს, რასაკვირველია, თუ ისინი მის მიერ დად-

გენილ „ნორმაზე“ შეძლებენ ორიენტირებას. ასეთ ორიენტირად კი მათ საკუთარ ნაშრომს სთავაზობს.

## XVII-XVIII საუკუნეების ინგლისური თარგმანი

საფრანგეთისაგან განსხვავებით ინგლისში კლასიციზმი ფართოდ არ გავრცელებულა, თუმცა მის სტილთან მიახლოების გარკვეული ცდები მაინც შეინიშნებოდა. ჯერ კიდევ აბრამ კაული (1618-1667) აღნიშნავდა, რომ მთავარი დაბრკოლება, რომლის წინაშე ის ძველი ბერძენი პოეტის პინდარეს ოდების თარგმნისას აღმოჩნდა, იყო დედნის ეპოქა, რომელთანაც მას საკმაოდ დიდი დრო აშორებდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ დედანი ინგლისისგან სრულიად განსხვავებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, რელიგიის ქვეყანაში შეიქმნა. ამიტომ ოდები თანამედროვე ინგლისელი მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელი რომ ყოფილიყო, თარგმნა ის, რაც საჭიროდ მიიჩნია, ზოგი რამ ამოიღო, ზოგიც – დაამატა ან შეცვალა.

ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა ვერგილიუსის მთარგმნელმა ჯონ დენიმ (1615-1669), რომელმაც 1656 წელს ინგლისელ მკითხველს ვირგილიუსის პოემის საკუთარი ვერსია შესთავაზა.

ინგლისში, ისევე როგორც საფრანგეთში, მსგავსი შეხედულებები სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა. მათთან პოლემიკისას ყალიბდებოდა იმ ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო პოეტის, ინგლისური კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ჯონ დრაიდენის (1631-1700) მთარგმნელობითი კონცეფცია.

დრაიდენი უცხოენოვანი ტექსტის გადმოცემის სამ საშუალებას გამოყოფდა: 1) მეტაფრაზას, როდესაც თარგმანი სიტყვასიტყვით, სტრიქონსტრიქონ მიჰყვება დედანს; 2) პარაფრაზას, როდესაც მთარგმნელის ძირითადი ყურადღება აზრობრივ სიზუსტეზეა კონცენტრირებული; 3) იმიტაციას (მიბადვას) – როდესაც მთარგმნელი (თუ მას ამ შემთხვევაში შეიძლება მთარგმნელი ეწოდოს) არა მხოლოდ დედნის აზრებითა და სიტყვებით ვარირებს, არამედ მზად არის, ისარგებლოს მისთვის ხელსაყრელი ყველა შემთხვევით, გადაუხვიოს დედანს და თარგმნოს ის, რაც მოესურვება.

ყველაზე მწვავე შენიშვნები დრადენს სიტყვასიტყვითი თარგმანის მიმდევართა მიმართ ჰქონდა, ნაკლებად აკრიტიკებდა მიბაძვებს, თუმცა, საბოლოოდ, დედნის გადაკეთებას მაინც არ ემხრობოდა.

დისკუსიის საგანი გახდა ინგლისური კლასიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენლის ალექსანდრ პოპის (1688-1744) მიერ თარგმნილი ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“. პოპს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მთარგმნელი ვალდებულია, მთელი სისრულით მიიტანოს მკითხველამდე დედანი, არ გადაუხვიოს მას და არ დაამახინჯოს, თუმცა ჰომეროსის პოემებს თავად უცვალა სახე და არისტოკრატიული სალონების „კარგ გემოვნებას“ მიუსადაგა – გართმა ჰომეროსის ურითმო ლექსი, გაანონასწორა რიტმი და დედნის ჰეგზამეტრი მაშინდელი ინგლისური პოეზიის მაღალი სტილისათვის დამახასიათებელი საზომით შეცვალა.

ჰომეროსის პოპისეული თარგმანები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველში, კრიტოსებისათვის უფრო ორიგინალური თხზულებები იყო, ვიდრე ძველი ბერძნული ეპოსის ნიმუშები – ცნობილ ინგლისელ ფილოლოგსა და კრიტიკოსს რიჩარდ ბენტლის (1662-1742) პოპისთვის უკითხავს: „მშენიერი პოემაა, მისტერ პოპ, მაგრამ რატომ მიანერტ მას ჰომეროსს?“ ედუარდ გიბონს კი პოპის თარგმანი შეაუდარებია პორტრეტისთვის, რომელიც ორიგინალთან მსგავსების გარდა, ყველა სხვა ღირსებით იყო შემკული.

XVII-XVIII საუკუნეების ინგლისური მთარგმნელობითი აზროვნების განვითარების საბოლოო შედეგები წარმოდგენილია ალექსანდრ ტაილერის (1747-1813) ნაშრომში „მთარგმნელობითი პრინციპების გამოცდილების შესახებ“, რომელიც ავტორმა თავდაპირველად მოხსენების სახით სამეფო საზოგადოების 1790 წლის სხდომაზე წაიკითხა.

ტაილერის აზრით, მკითხველზე დედნის იდენტური შთაბეჭდილების მოსახდენად, თარგმანს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნები:

- სრულყოფილად გადმოეცა ორიგინალის შინაარსი;
- ჰქონოდა დედნის შესატყვისი სტილი და მანერა;
- მთელი სიმსუბუქით დაუფლებოდა დედანს.

მთავარი, რასაც ტაილერი მთარგმნელებისგან მოითხოვდა, იყო დედნის ენისა და ავტორის მიერ დასმული პრობლემის უზადო ცოდნა, რომელთა გარეშე, მისი აზრით, შეუძლებელია ავტორის სათქმელის სწორად გადმოცემა.

ტაილერი მთარგმნელის თავისუფლების დასაშვებ ზღვარზეც მსჯელობს და აღნიშნავს, რომ პროზასთან შედარებით პოეზია მთარგმნელს ნაკლებად ზღუდავს, თუმცა მას აქაც უდიდესი სიფრთხილე მართებს, რათა დედნის შინაარსს ზიანი არ მიაყენოს და მას თვითმყოფადობა არ დაუკარგოს. ტაილერი დედნის ნაკლოვანი მხარეების შენარჩუნების კატეგორიული წინააღმდეგია და ჰომეროსის პოპისეულ თარგმანებს, იუესაგან განსხვავებით, მაღალ შეფასებას აძლევს – იგი თვლის, რომ მთარგმნელის მიერ შეტანილი შესწორებები და დამატებები დედნის საუკეთესო ეპიზოდებსაც კი მეტ ბრწყინვალეობას სძენს.

ანალოგიური პოზიცია ჰქონდა **დ. აბერდინს (1784-1860)**, რომელიც თვლიდა, რომ კარგ თარგმანს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნები:

- სრული წარმოდგენა შეექმნა დედნის არსსა და შინაარსზე;
- შეძლებისდაგვარად შეენარჩუნებინა დედნის მსოფლმხედველობა და სტილი;
- მხატვრული ნაწარმოების მსგავსად ადვილად წასაკითხი და ბუნებრივი ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ ტაილერის წიგნს საყოველთაო პოპულარობა, მასში წამოჭრილ პრობლემებთან ერთად, ენის სისადავემ და მდიდარმა საილუსტრაციო მასალამაც მოუტანა.

## თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის განვითარება გერმანიაში

ტაილერის ნაშრომი 1793 წელს გერმანულად ითარგმნა, რაც თარგმანის პრობლემატიკისადმი გერმანელების განსაკუთრებულ ინტერესზე მეტყველებს. ჯერ კიდევ გერმანული კლასიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი **მარტინ ოპიცი (1597-1639)** აღნიშნავდა თარგმანის, განსაკუთრებით ანტიკური ლიტერატურის თარგმანის მნიშვნელობას გერმანული ენის განვითარებაში. მოგვიანებით ამ საკითხმა ცნობილი ფილოსოფოსის **გ. ლეიბნიცის (1646-1716)** ყურადღებაც მიიპყრო – მისი დაკვირვებით, „კარგი წიგნების“ თარგმნით შესაძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მდიდარი ან ღარიბია თარგმანის ენა, იმის დადგენა, თუ რა აკლია მას.

გერმანიაში თარგმანმა განსაკუთრებული ყურადღება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიიპყრო. **გ. ლესინგის (1729-1781)** აზრით, ამ პერიოდში ფრანგები დედნის მიმართ მეტისმეტ თავისუფლებას იჩენდნენ, გერმანელი მკითხველი კი წლების მანძილზე ევროპულ ლიტერატურას საკმაოდ ხშირად ფრანგულ თარგმანებში ეცნობოდა.

ციურხის უნივერსიტეტის პროფესორ **იოზეფ ბრეტინგერის (1701-1776)** დაკვირვებით, მკითხველზე დედნის ანალოგიური ზემოქმედებისათვის მთარგმნელი აზრობრივად არ უნდა დაშორებოდა ამოსავალ ტექსტს, შეენარჩუნებინა მისი ფორმაც და შეეცვალა მხოლოდ მათი გამომხატველი ნიშნები.

მწერალი **ფრიდრიხ გოტლიბ კლოპშტოკი (1724-1803)** კი ყურადღებას დედანთან თარგმანის სულიერ სიახლოვეზე ამახვილებდა, რადგან თვლიდა, რომ მხატვრული ღირებულებების გადმოსაცემად მხოლოდ დედნის ერთგულება არ იყო საკმარისი. იგი თარგმანს ენის გამდიდრებისა და განახლების საშუალებადაც მიიჩნევდა.

იგივე პოზიცია ჰქონდა გერმანელ განმანათლებელსა და მწერალს **იოჰან გოტფრიდ ჰერდერს (1744-1803)**, რომლის დაკვირვებით, კარგი თარგმანი მშობლიური ენის ახალ შესაძლებლობებს ავლენს და პროგრესის ერთგვარი კატალიზატორია. ფრანგული და გერმანული მთარგმნელობითი ტრადიციების შეპირისპირებისას ჰერდერი მივიდა დასკვნამდე, რომ ფრანგები, რომლებიც თავიანთი მაღალი გემოვნებით ასე ამაყობდნენ, ყველაფრის თავიანთ ყაიდაზე გადაკეთებას ცდილობდნენ, „სანყალ“ და „უგემოვნო“ გერმანელებს კი, რომლებიც „არც საზოგადოებით, არც სამშობლოთი და არც კარგი გემოვნების ტირანიით“ გამოირჩეოდნენ, სურდათ, დედანი დაენახათ ისეთად, როგორც ის იყო.

გერმანიაში, ისევე, როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაში, განსაკუთრებული პოპულარობით ანტიკური მემკვიდრეობა სარგებლობდა – თუ XVIII საუკუნის პირველი ნახევარში ანტიკური ლიტერატურის სპეციალისტი **ი. ვიკელმანი** ძველი ბერძნული ენის არმცოდნე მკითხველს ურჩევდა, სათანადო გერმანული თარგმანების უქონლობის გამო, ჰომეროსის შემოქმედებას პოპის თარგმანებით გასცნობოდა, საუკუნის მიწურულს **გ. ფოსის** მიერ თარგმნილი „ილიადა“ და „ოდისეა“ ახალ ენებზე შესრულებულ საუკეთესო თარგმანად იქნა აღიარებული.

რუსი ისტორიოგრაფი და მწერალი **ნიკოლაი კარამზინი (1766-1826)** ევროპაში მოგზაურობის შემდეგ, სწორედ ფოსის თარგმანების შესახებ წერდა, რომ

ბერძნული ლიტერატურის ასეთი თარგმანები არც ფრანგებს ჰქონდათ და არც ინგლისელებს. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჰომეროსი გერმანელებთან ჰომეროსია – იმ უძველესი დროის სულიერებისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი და კეთილშობილური ენით.

ბრეიტინგერის, კლოპშტოკის, ფერდერის და სხვ. ნაშრომებმა, რომელთაც ხშირად გერმანული მთარგმნელობითი აზროვნების „პირველ მწვერვალად“ მოიხსენიებენ, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი XIX საუკუნის გერმანული თარგმანის შემდგომ განვითარებასა და აღმავლობას.

### თარგმანი და ენობრივი კულტურა

ყოველივე ზემოთ განხილულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ XII-XVIII საუკუნეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი თარგმნის პრობლემების მიმართ, გამოიკვეთა თარგმანის როლი ერის სულიერ ცხოვრებაში, დაისვა თარგმანის ხარისხის საკითხი და გამოითქვა სერიოზული შეშფოთება უცხოენოვანი სიტყვებითა და გამოთქმებით სათარგმნი ენის დაბინძურების საშიშროების შესახებ.

ინგლისური ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონის შემქმნელის სამუელ ჯონსონის აზრით, (1709-1784) უკონტროლო მთარგმნელობითი საქმიანობა ენისათვის სტიქიურ უბედურებას წარმოადგენდა. მისი დაკვირვებით, ყოველი თარგმნილი წიგნი ინგლისურ ენაში თავის კვალს ტოვებდა, ზოგჯერ – არასასიკეთოს.

ჯონსონი ფიქრობდა, რომ ამ პროცესს მხოლოდ ინგლისური ენის გრამატიკითა და ლექსიკონით ვერ შეაჩერებდა. ამიტომ კოლეგებს მოუწოდებდა, ბრძოლა გამოეცხადებინათ იმ უეციცი, არაკვალიფიციური მთარგმნელებისათვის, რომლებიც მშობლიურ ენას სერიოზულ ზიანს აყენებდნენ.

ინგლისელი კოლეგის მსგავსად მთარგმნელები გერმანელმა განმანათლებელმა ლესინგმაც გააკრიტიკა და მათი თარგმანები მოსწავლეებისთვის განკუთვნილ სავარჯიშოებს შეადარა. თან ირონიულად დასძინა, რომ მათ იმის ჭკუა კი ჰყოფნიდათ, რომ ანაზღაურებაზე უარი არ ეთქვათ.

XVIII საუკუნის თარგმანის კრიტიკა, ცხადია, მხოლოდ მსგავსი ხასიათის შენიშვნებით არ შემოიფარგლებოდა და უცხოენოვანი ტექსტის თარგმანში გადატანის პრობლემა გაცილებით ფართო, ენობრივ და კულტურულ კონტექსტში განიხილებოდა.

# XIX საუკუნის დასავლეთევროპული თარგმანი

## რომანტიკული თარგმანის ძირითადი თავისებურებანი

რომანტიზმს იმთავითვე მხატვრული თარგმანის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეტაპად მიიჩნევდნენ. რომანტიკოსთა უმრავლესობა (ვ. ბრენტანო, ა. შლეგელი, ფ. ნოვალისი და სხვ.) თვით თარგმანის ცნებას მთლიანად რომანტიზმთან და ზოგადად პოეტურ შემოქმედებასთანაც კი აიგივებდა.

XX საუკუნის მკვლევრების ა. ფინკელისა და გ. გაჩეჩილაძის აზრით, რომანტიკოსები დედნის ეროვნულ-ინდივიდუალური სპეციფიკის ადეკვატური გადმოცემისკენ ისწრაფოდნენ, რის საფუძველზეც მათ „რეალისტური თარგმანის“ შემქმნელებად მიიჩნევდნენ. რამდენადმე განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ ა. ფიოდოროვს, იუ. ლევინს და ვ. მიკუშევიჩს, რომლებიც რომანტიკოსთა მთარგმნელობით მიღწევებს არ უარყოფდნენ, მაგრამ მათი დაკვირვებით, თვითგამოხატვისაკენ სწრაფვისას რომანტიკოს მთარგმნელს შეეძლო სახე ეცვალა დედნისთვის, დაშორებოდა მას და ამით გარეგნულად კლასიციზმის მთარგმნელობით პრინციპებს მიახლოვებოდა – ასეთ „გაორებას“, რომელსაც ზოგჯერ „რომანტიზმის პარადოქსსაც“ უწოდებენ, რომანტიზმის ესთეტიკის მთავარ ცნებას – იდეალის გააზრებას უკავშირებენ. თუ კლასიციზმისათვის იდეალი ობიექტურად არსებობდა და რაციონალურ განმარტებას ექვემდებარებოდა, რომანტიკოსები მასში ხედავდნენ ირაციონალურ სულიერ მოვლენას, რომლის ახსნა ინტუიციურად, სუბიექტური თვალთახედვით ხდებოდა.

XVIII საუკუნის მიწურულს გერმანულმა მთარგმნელობითმა ტრადიციამ ევროპულ ლიტერატურაში წამყვანი ადგილი დაიკავა. XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში გამოცემულ ნიგნებსა და სტატიებში ხშირად იწერებოდა გერმანელთა „განსაკუთრებული მთარგმნელობითი“ მისიის შესახებ. ეს, პირველ რიგში, ეხებოდა რომანტიკულ სკოლას, რომლის ფუძემდებელი ა. შლეგელი პოეტ ლ. ტიქს არწმუნებდა, რომ „თარგმნის, როგორც ჭეშმარიტი პოეტური ხელოვნების“ აღმოჩენის პატივი წილად ხვდათ გერმანელებს. ანალოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ გერმანული რომანტიკული სკოლის თეორეტიკოსი ფ. შლაიერმახერი, თვალსაჩინო რომანტიკოსი, მწერალი და მოაზროვნე ფ. ნოვალისი.

გერმანული მთარგმნელობითი სკოლის აღორძინების შესახებ მოგვიანებით, XVIII-XIX სს. მიჯნაზეც იწერებოდა. ძნელია დაასახელო ამ პერიოდის რომელიმე თვალსაჩინო ლიტერატორი, რომელიც მთარგმნელობითი საქმიანობით არ ყოფილიყო გატაცებული.

საყურადღებოა, რომ დასავლეთ ევროპის მთარგმნელთა შორის გერმანელები პირველობას XX საუკუნეშიც ინარჩუნებდნენ.

რომანტიზმის პერიოდში მთარგმნელობითი პრაქტიკის პარალელურად თარგმანის ფენომენის თეორიულ გააზრებასაც ცდილობდნენ. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ნოვალისის, იმავე ფრიდრიხ ფონ გარდენბერგის (1777-1801) „ფრაგმენტები“, სადაც ის წერდა, რომ „თარგმანი ან გრამატიკულია, ან ცვლის ნაწარმოებს, ანდა მას მითად აქცევს“. მისი აზრით, თარგმანი, რომელიც თხზულებისგან მითს თხზავს, რეალური ნაწარმოების ნაცვლად მის იდეალს ქმნის. ნოვალისი ვარაუდობს, რომ ასეთი თარგმანი ჯერჯერობით არ არსებობს და „მის რაიმე კვალს“ მხოლოდ ზოგიერთ კრიტიკულ თხზულებასა და ხელოვნების ნიმუშთა აღწერილობებში შეიძლება წააწყდნენ. ამისათვის კი, მისი აზრით, საჭიროა ადამიანი, რომელსაც სიღრმისეულად ეცოდინება პოეზია და ფილოსოფია.

ნოვალისი როგორც მთარგმნელებისაგან, ისე უცხოენოვან თხზულებათა მთარგმნელ-გადამკეთებლებისგან საქმის ცოდნასა და ნიჭიერებას მოითხოვდა, რადგან თარგმნას ორიგინალურ შემოქმედებაზე გაცილებით რთულ საქმიანობად მიიჩნევდა. თავად კი მთარგმნელობითი პრაქტიკით ნაკლებად იყო დაკა-

ვებული და სხვა რომანტიკოსებისაგან განსხვავებით ამ საქმეში მწირი გამოცდილება ჰქონდა.

ნოვალისისაგან განსხვავებით აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა რომანტიზმის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ავგუსტ შლეგელი, რომელიც თარგმანის პრობლემატიკაზეც კითხულობდა ლექციებს და წერდა ნაშრომებს.

მრავალნაირი გამოცდილების შემდეგ იგი თარგმნას ადარებდა ნებაყოფლობით და მტანჯველ მონობას და მას არასარფიან და დაუფასებელ საქმიანობად მიიჩნევდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ საუკეთესო თარგმანიც კი ვერ შეფასდება ისე, როგორც ფასდება ორიგინალი, არამედ იმიტომაც, რომ რაც უფრო ღრმად ჩანვდება მთარგმნელი თავის სამუშაოს, მით უფრო უნდა გრძნობდეს, რომ არასრულყოფილება გარდაუვალია.

ა. შლეგელი არ გამორიცხავდა დედნის შინაარსთან ერთად მისი ფორმისა და თვითმყოფადობის შეუნარჩუნების შესაძლებლობას და მთარგმნელს ადარებდა ელჩს, რომლის წყალობით დედნის ავტორს ისეთივე პატივისცემა და აღტაცება უნდა დაემსახურებინა, როგორც მას თავის სამშობლოში ჰქონდა. იგი მთარგმნელებს მოუწოდებდა, შეძლებისდაგვარად, მთელი თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებებით მიეტანათ მკითხველამდე მათთვის უცხო ლიტერატურა.

თავად ა. შლეგელს დიდი წარმატება მოუტანა შექსპირის თარგმანებმა, რომელთაც მოგვიანებით გერმანელმა ისტორიკოსმა რ. ჰაიმმა გერმანელი ერის უძვირფასესი საჩუქარი უწოდა. აღსანიშნავია, რომ შექსპირის ა. შლეგელისეულმა თარგმანებმა უდიდესი გავლენა იქონია გერმანული დრამატურგიის შემდგომ განვითარებაზე.

გერმანული თარგმანის ისტორიაში არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ლუდვიგ ტიკის (1773-1853) მიერ თარგმნილმა სერვანტესის „დონ კიხოტმა“, რომელმაც გამოსვლისთანავე სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

თავის დროზე ავგუსტ შლეგელის ძმა ფრიდრიხი ამტკიცებდა, რომ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, თუ რა იყო, რას წარმოადგენდა თარგმანი. ამაზე პასუხის გაცემა სცადა გერმანელმა თეოლოგმა და ფილოსოფოსმა ფრიდრიხ დანიელ შლაიერმახერმა (1768-1834), რომელმაც 1813 წელს ბერლინის მეცნიერებათა სამეფო აკადემიაში წაიკითხა ლექცია თემაზე „თარგმნის სხვადასხვა მეთოდის შესახებ“.

შლაიერმახერის აზრით, თარგმანის კლასიფიკაცია შესაძლებელია როგორც ენობრივი მასალის, ისე მისი განხორციელების საშუალების მიხედვით. მისი დაკვირვებით, თარგმნა შეიძლება დასჭირდეს არა მხოლოდ ერთი და იმავე ენის დიალექტებს და თავად ამ ენას სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე, არამედ ერთი ეპოქისა და ერთი და იმავე ერის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ენასაც, რადგან ხშირად მათ შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ შუამავლის გარეშე არ ესმით ერთმანეთის. თავისებური თარგმანის საჭიროებას ხედავს შლაიერმახერი თანაბარი აზროვნების უნარის მქონე, მაგრამ განსხვავებული შეხედულებების თანამოსაუბრეთა შორის, ასევე სხვადასხვა სახის (მაგალითად, იდეის, ნაშრომის და სხვ.) განმარტებისას.

შლაიერმახერი გამოყოფს თარგმანის, ანუ, როგორც თავად აღნიშნავს, შეტყობინების ერთი ენიდან მეორეზე გადაცემის ორ სახეობას (თუმცა აქვე დასძენს, რომ მათი ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნა ყოველთვის არ არის შესაძლებელი), რომელთაგან პირველი გამოიყენება საქმიან (ყოველდღიურ) ცხოვრებაში, მეორე – ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მათ შორის განსხვავებას გადმოცემის საშუალებაში ხედავს და თვლის, რომ პირველ შემთხვევაში, როგორც წესი, იგი ზეპირია და მაშინაც კი თუ ქალაღზე ფიქსირდება, მექანიკურია. მეორე შემთხვევაში კი ზეპირ გადაცემას აზრი არ აქვს. შლაიერმახერი აღნიშნულ სახეობათა შორის სხვა განსხვავებებსაც ხედავს, რომლებიც, მისი აზრით, თვითონ სათარგმნი ტექსტის ხასიათზე დამოკიდებული.

თარგმნის მეთოდებისა და საშუალებების განხილვისას შლაიერმახერი აყალიბებს ცნობილ ანტითეზას, რომლის თანახმად, უცხოენოვანი ნაწარმოების თარგმნისას მთარგმნელი დილემის წინაშე დგას: ან „თავი დაანებოს ავტორს“ და დაუახლოვოს მას მკითხველი, ანდა პირიქით, „თავი დაანებოს მკითხველს“ და დაუახლოვოს მას ავტორი. – ანუ ორიენტირებული იყოს მკითხველზე და ახლობელი გახადოს მისთვის ორიგინალი, ან პირიქით, კონცენტრირება მოხდეს ავტორზე.

შლაიერმახერის აზრით, პირველ შემთხვევაში თარგმანი სრულყოფილია, თუ ძველი ბერძენი მწერლის თხზულების გერმანული თარგმანის კითხვისას მკითხველი იტყვის: დედნის ავტორს გერმანული ისე კარგად რომ ესწავლა, როგორც მთარგმნელმა ლათინური იცის, ის მთარგმნელზე უკეთეს ნაწარმოებს ვერ შექმნიდა. მეორე შემთხვევაში თარგმანის ამოცანა პრინციპულად იცვლება: დედნის შემქმნელი გერმანულ ვერსიაში უნდა ჩანდეს არა, როგორც საკუთარი ტექსტის გერმანულ ენაზე მთარგმნელი, არამედ გერმანულ ენაზე დაწერილი ნაწარმოე-

ბის ავტორი. აქვე შლაიერმახერი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ აღნიშნულ საშუალებათა საფუძველზე მესამე საშუალების შექმნა შეუძლებელია.

შლაიერმახერი დედანზე ორიენტირებულ თარგმანზე მსჯელობისას წარმატების უცილობელ პირობად ისეთი საშუალებების გამოყენებას მიიჩნევს, რომელთა წყალობით თარგმანის ენა გარკვეულწილად უცხო ენას ემსგავსება – აქ, მისი აზრით, მთარგმნელს უდიდესი ოსტატობა და სიფრთხილე მართებს, რათა ზომიერების ფარგლებს არ გასცდეს და ზიანი არც საკუთარ თავს და არც ენას მიაყენოს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ავტორისათვის თავის დანებება“, შლაიერმახერის კონცეფციის მიხედვით არსებითად, სხვა არაფერია, თუ არა ფიქცია, რადგან ორ ენაში ერთი და იმავე აზრის იდენტურად გამოთქმა ისეთივე იშვიათობაა, როგორც ორი ისტორიული სიტუაციის დამთხვევა. ამიტომ იმის განხილვას, თუ როგორ დაწერდა ავტორი თავის თხზულებას სხვა ენაზე, აზრი არ აქვს, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი სულ სხვა ნაწარმოებს შექმნიდა.

მართალია, ზემოთ განხილულ რომანტიკოსთა შეხედულებები მხატვრული თარგმანის პრინციპების შესახებ მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ აზროვნებასთან, მაგრამ ბევრი რამ ჰქონდა საერთო XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის გერმანული კულტურის იმ თვალსაჩინო წარმომადგენელთა მოსაზრებებთან, რომლებიც რომანტიკულ მიმართულებას არ მიეკუთვნებოდნენ – კერძოდ, ჰუმბოლტისა და გოეთეს მთარგმნელობით კონცეფციასთან.

### 3. ფონ ჰუმბოლტის მთარგმნელობითი ხონსეფცია

თვალსაჩინო გერმანელი ლინგვისტი და ენის ფილოსოფოსი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი (1767-1835) სრულყოფილად თარგმნის შესაძლებლობას პრინციპულად გამოორიცხავდა. 1796 წელს ავგუსტ შლეგელისადმი მიწერილ წერილში იგი თარგმანს „უშუდეგო მცდელობად“ მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, რომ მთარგმნელი ან დედნის, ან თავისი ხალხის ერთგული უნდა ყოფილიყო. ამ აზრს იზიარებდა წერილის ადრესატიც და თარგმნას ადარებდა ორთაბრძოლას, რომელშიც ერთ-ერთი, ავტორი ან მთარგმნელი, უნდა დამარცხებულიყო.

ჰუმბოლტის მოსაზრება სრულყოფილი თარგმანის შეუძლებლობის შესახებ უშუალოდ იყო დაკავშირებული მისი და მისი თანამოაზრეების იდეალისტურ შეხედულებასთან მსოფლიო ენების შესახებ, რომლის თანახმად, ყოველი ენა განსაზღვრავს და გამოხატავს ამა თუ იმ ხალხის სულიერი სამყაროს (ასევე აზროვნების) თავისებურებას, ამიტომაც, რომ ერთ ერს მეორისაგან განსხვავებული ენა და „სული“ აქვს.

მოგვიანებით ჰუმბოლტს თავის შრომებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სხვადასხვა ენიდან თარგმნის შედეგად შექმნილი რეალური გამოცდილება ნათლად დაგვანახებს, რომ ყოველი იდეის ნებისმიერ ენაზე გადმოცემა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია. თავად ჰუმბოლტი აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა და ხშირად საუბრობდა საკუთარი მთარგმნელობითი მისწრაფებების შესახებ, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა.

თარგმანისადმი ჰუმბოლტის დამოკიდებულება დროთა განმავლობაში რამდენადმე შეიცვალა – თუ დასაწყისში ის დედნის მიმართ მაინცდამაინც დიდ ერთგულებას არ იჩენდა, მოგვიანებით მასთან მიახლოებას ცდილობდა. ჰუმბოლტმა თავისი შეხედულებები თარგმანზე განავრცო და ერთგვარად დასრულებული სახე მისცა მის მიერ 1861 წელს თარგმნილ ესქილეს „აგამემნონის“ წინასიტყვაობაში.

ჰუმბოლტისათვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია დედნის ერთგულება – მისი აზრით, თარგმანს გარკვეული უცხოური ელფერი უნდა დაჰკრავდეს და თუ მთარგმნელი ამას ზომიერების ფარგლებში ახერხებს, მიზანი მიღწეულია. მისთვის მიუღებელია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთარგმნელმა უნდა

წეროს ისე, როგორც ავტორს თარგმანის ენაზე შეიძლებოდა დაეწერა, რადგან თელის, რომ ამით არსებითად ზარალდება თარგმანი, რომელიც უკვე ვერანაირ სარგებლობას ვერ მოუტანს სათარგმნ ენას და ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხს. ამის მაგალითად მოჰყავს ანტიკური ლიტერატურის ფრანგული თარგმანები, რომლებშიც, მისი შეხედულებით, ანტიკური სული ოდნავადაც არ იგრძნობა. ჰუმბოლტისათვის განსაკუთრებით მიუღებელია ტექსტის „შელამაზება“, რადგან ფიქრობს, რომ იგი აბსოლუტურად ცვლის დედნის კოლორიტსა და განწყობილებას.

ჰუმბოლტი დედნის ე. წ. „ბუნდოვან ადგილების“ თარგმნაზეც შეაჩერებს ყურადღებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთარგმნელს ერთმანეთში არ უნდა აერიოს თარგმანი და კომენტარი, მან თავი უნდა შეიკავოს ზედმეტი განმარტებებისგან და დედნის ტექსტში იმ შემთხვევაშიაც არ ჩაერიოს, თუ ავტორს რაიმე გადაკრულად აქვს მინიშნებული, ან ძნელად ამოსაცნობი მეტაფორა აქვს გამოიყენებული, ანდა ზოგიერთი მისი მოსაზრება ზედაპირულია. მისი მოსაზრებით, ამ შემთხვევაში მთარგმნელის ყოველგვარი მცდელობა, გასაგები გახადოს ტექსტი, ამაოა, რადგან რაც არ უნდა გულმოდგინედ იმუშოს მასზე და მრავალჯერ გადაამუშავოს, დედნიდან მაინც გადაუხვევს.

# გოეთე და თარგმნის პრობლემა

რომანტიზმის ჩამოყალიბების პერიოდში, ჰუმბოლტის პარალელურად, თარგმანის პრობლემების შესახებ თავის მოსაზრებებს გერმანული ლიტერატურის კლასიკოსი იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749-1832) გამოთქვამდა.

გოეთე, ისევე, როგორც ჰუმბოლტი, ჰომეროსის ეპოსის ფოსისეულ ვერსიას მაღალ შეფასებას აძლევდა, მაშინ, როცა რომანტიკოსი ფ. შლეგელი თვლიდა, რომ ფოსი ისტორიულ და კრიტიკულ ალღოს იყო მოკლებული (რაც შესაძლოა რომანტიზმისადმი ფოსის უარყოფითი დამოკიდებულებით იყო განპირობებული).

გოეთემ გერმანელი მთარგმნელის კრისტოფ მარტინ ვილანდის (1733-1813) ხსოვნისადმი მიძღვნილ მოხსენებაში (1813) თარგმანზე გამოთქმული მოსაზრებები, იდეების სახით, ჯერ კიდევ 1801 წელს „გერმანისა და დოროთეას“ ინგლისელ მთარგმნელს პირადი მიმონერისას მიანოდა – კერძოდ, იგი წერილში თარგმნის ორ პრინციპზე ამახვილებდა ყურადღებას. პირველი, როგორც თავად აღნიშნავდა, მიზნად ისახავს, უცხოელი ავტორი გადაიყვანოს მკითხველთან, რათა ამ უკანასკნელმა მასში თავისი თანამემამულე დაინახოს, ხოლო მეორე, პირიქით, მკითხველის უცხო ქვეყანაში გადაყვანას და მის ყოფა-ცხოვრებასთან, გარემოსთან, ავტორის ენის წყობასთან და დედნის სხვა თავისებურებებთან მის „შეგუებას“ გვთავაზობს. გოეთე ორივე მეთოდის აეკარგიანობასაც შეეხო და ვილანდის დამსახურებად ის მიიჩნია, რომ იგი თარგმნის ორივე პრინციპის შერწყმას ცდილობდა, მაგრამ ზოგჯერ, როგორც „მგრძნობიარე და გემოვნებიანი ადამიანი“, უპირატესობას მაინც პირველს ანიჭებდა.

1817 წლიდან იწყება გოეთეს „აღმოსავლურ-დასავლური „დივანის“ გამოქვეყნება. ამ პერიოდისათვის ევროპაში განსაკუთრებით იზრდება ინტერესი აღმოსავლური ქვეყნების ხალხისა და კულტურისადმი. ინტენსიურად შეისწავლება ძველი ბერძნული ლიტერატურა, ითარგმნება ირანული პოეზიის ნიმუშები, იქმნება „ყორანის“ მიბაძვები და სხვ. გოეთეს აზრით, აღმოსავლური კლასიკის ნიმუშთა თარგმანები, რომლებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან დედნისგან, მკითხველს დედანზე მხოლოდ ზოგად წარმოდგენას უქმნიან, თუმცა იგი იმასაც აღნიშნავს, რომ გერმანელი მთარგმნელები ცდილობენ, თანდათან მიუახლოვდნენ აღმოსავლეთს და მოუწოდებს მათ, შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ დედნის ფორმა და არავითარ შემთხვევაში არ „გადააკეთონ ავტორი“.

ამჯერად თარგმნის პრინციპებზე მსჯელობისას გოეთე თარგმანებს მათი თარგმნის მეთოდების მიხედვით აჯგუფებს და სამ ძირითად სახეობას გამოყოფს. თავდაპირველად ყურადღებას იმ თარგმანებზე შეაჩერებს, რომელთაც უცხო ქვეყნის ტრადიციები, წარმოდგენები და ცნებები მკითხველამდე უცვლელად მიაქვთ. გოეთეს განმარტებით, ამ ტიპის თარგმანი ნიველირებას უკეთებს ორიგინალის სპეციფიკას და მის ფორმალურ-სტილისტურ თავისებურებებს ვერ გადმოსცემს, თუმცა, ფიქრობს, რომ მსგავსი ვერსიები აუცილებელია და მიმღებ კულტურას დიდ სამსახურს უწევს, რადგან, მათი სახით რალაც ახალი და მშვენიერი შეუმჩნეველად შედის ჩვეულ „შინაურულ“ გარემოში სულიერად ამხნეველს მკითხველს და ნამდვილ სიხარულს ანიჭებს მას. სწორედ ასეთ თარგმანთა რიცხვს მიაკუთვნებს იგი ჯერ კიდევ მარტინ ლუთერის მიერ გერმანულად თარგმნილ ბიბლიას.

თარგმნის მეთოდი, რომელსაც გოეთე შემდგომ განიხილავს, გამიზნულია იმისათვის, რომ ორიგინალი უჩვეულო გარემოს მოარგოს და მისი აზრები და გრძნობები საკუთარი აზრებითა და გრძნობებებით გადმოსცეს. ასეთ თარგმანებს იგი პაროდულს უწოდებს და თვლის, რომ თარგმნის ეს მეთოდი, ძირითადად, ფრანგული მთარგმნელობითი ტრადიციისათვის არის დამახასიათებელი – მისი დაკვირვებით, თუ ფრანგულ ენაში ყველა უცხოური სიტყვა ასიმილაციას განიცდის და თავისებურ ჟღერადობას იძენს, ფრანგულ თარგმანებში ყველა უცხო აზრი და გრძნობა, საგნებიც კი ფრანგულ ნიადაგზე აღმოცენებული ერთგვარი სუროგატით იცვლება. გოეთე ასეთ თარგმანთა რიცხვს მიაკუთვნებს მის მიერ წარსულში ნაქებ ვილანდის თარგმანებს, რომლებიც, მისი აზრით, იმდენად უახლოვდებიან ძველს და უცხოს, რამდენადაც ეს მთარგმნელისთვის არის ხელსაყრელი და მისი თანამედროვეებისა და თანამემამულეებისთვის მისაღები.

დაბოლოს, გოეთე მსჯელობს თარგმანებზე, რომლებშიც, ორიგინალის იდენტური თარგმანის შექმნის სურვილი იგრძნობა. იგი ფიქრობს, რომ თუ ამ ტიპის თარგმანი მთლიანად ვერ ჩაენაცვლება დედანს, გარკვეულწილად მის მაგივრობას მაინც გაუნეწვს მკითხველს. გოეთეს ვარაუდით, შესაძლოა ასეთმა თარგმანმა ზოგიერთის გაღიზიანებაც კი გამოიწვიოს და მთარგმნელი დედნის ერთგულების გამო თავისი ხალხის მოლაღატედაც კი მიიჩნიოს. ამიტომ მკითხველს ურჩევს, იზრუნოს თვითგანვითარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი თარგმანები მისთვის ყოველთვის გაუგებარი და მიუწვდომელი იქნება. ხოლო მთარგმნელებს მიუთითებს, რომ დედნის იდენტურად თარგმნის სურვილი სულაც არ ნიშნავს მის წინამორბედ მეთოდებზე უარის თქმას. მაგალითად, გერმანული მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი აღმოსავლური პოეზიის (კერძოდ, ფირდოუსისა და

ნიზამის თხზულებათა) პროზად თარგმნა, რადგან ეს თარგმანები გერმანელ მკითხველს ტექსტის შინაარსთან ერთად მის მთავარ სათქმელსაც გააცნობდა და მისთვის სრულიად უცხო ავტორთა შეხედულებების გააზრებაშიც გარკვეულ დახმარებას გაუწევდა.

გოეთე ამ ტიპის თარგმანთა უპირატესობას იმაშიც ხედავს, რომ მათ მკითხველამდე უკარგადესი სიზუსტით მიაქვთ დედანი და მას სრულიად უცხო სამყაროსთან აახლოებენ.

საყურადღებოა, რომ გოეთე, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არ იყო რომანტიზმის მიმდევარი, თარგმანის როლსა და მნიშვნელობას რომანტიკული თვალთახედვით წარმოაჩენს. იგი გერმანელთა განმასხვავებელ ნიშნად უცხოური კულტურისადმი პატივისცემას, სხვათა ეროვნული თავისებურებების დაფასებას მიიჩნევს. რაც, მისი აზრით, გარკვეულწილად დედნისადმი გერმანული თარგმანების განსაკუთრებულ ერთგულებაშიც გამოიხატება.

რომანტიკოსთა მსგავსად, გოეთე გერმანელთა განსაკუთრებულ მთარგმნელობით მისიაზეც ამახვილებს ყურადღებას და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გერმანელებს წილად ხვდათ უდიდესი პატივი, ყველა ერში გაეღვიძებინათ მშობლიური ლიტერატურის გერმანულ ენაზე თარგმნის სურვილი.

გოეთე მთარგმნელობით საქმიანობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მისთვის ნებისმიერი მთარგმნელი სხვადასხვა ერთა შორის ერთგვარი შუამავლია, რომელიც მათ ურთიერთგაცნობასა და ურთიერთგამდიდრებას ემსახურება.

# XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანული მთარგმნელობითი ტრადიცია

XIX საუკუნის პირველი ნახევრის თარგმანისათვის დამახასიათებელმა დედნის მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემის ტენდენციამ თავისებური ასახვა ჰპოვა ტიხო მომზენის (1819-1900) ნაშრომში „უცხოური პოეზიის გერმანულ ენაზე თარგმნის ხელოვნება“ (1858). აღასანიშნავია, რომ მომზენისა და გოეთეს თვალსაზრისი თარგმნის მეთოდების შესახებ, ძირითადად, ემთხვეოდა ერთმანეთს.

საუკუნის მინურულს გერმანიაში გაჩნდა განსხვავებული ტენდენცია, რომლის თანახმად, თარგმანს მკითხველზე დედნის შესატყვისი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. თარგმნის ეს მეთოდი არ ითვალისწინებდა დედნის ეროვნული კოლორიტის, მისი „უცხოური ელფერის“ შენარჩუნებას. აქედან გამომდინარე, მთარგმნელს შეეძლო, ორიგინალის ზოგიერთი მონაკვეთი ისე გადაეკეთებინა, რომ თარგმანის მკითხველისათვის ყოველგვარი უცნაური და გაუგებარი მისანვდომი გაეხადა.

აღნიშნული ტენდენცია უფრო ნათლად და თანმიმდევრულად გამოიკვეთა ულრიხ ფონ ვილამოვიც-მელენდორფის (1848-1931) სტატიის „რა არის თარგმანი?“ (1891). ცნობილია, რომ სტატიის ავტორმა თავისი ერთ-ერთი თეორიული მოსაზრება საკმაოდ ორიგინალურად დაასაბუთა – კერძოდ, იმის საილუსტრაციოდ, რომ პოეტურ თარგმანში მთარგმნელი მიზანს, პირველ რიგში, დედნის იდენტური საშუალებების მოძიებით აღწევს, ვილამოვიც-მელენდორფმა გერმანელი კლასიკოსების გოეთეს, შილერისა და ჰაინეს თხზულებები ძველ ბერძნულსა და ლათინურ ენებზე თარგმნა და გერმანულ და ანტიკურ ლექსთა საზომებს შორის კონკრეტული შესატყვისების დადგენა სცადა.

ვილამოვიც-მელენდორფისათვის მთავარი იყო დედნის აზრის გადმოცემა, მისი იდეის შენარჩუნება და არა ცალკეული სიტყვისა და გამოთქმის თარგმანში პირდაპირ გადატანა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თარგმანის ენას და თვლიდა, რომ გერმანული ენაზე თარგმნა თვალსაჩინო გერმანელი მწერლების ენითა და სტილით წერას ნიშნავდა. ვილამოვიც-მელენდორფისთვის ეს იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ჰუმბოლტიც კი არ დაინდო და მისდამი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, „აგამემნონის“ თარგმანი დაუნუნა, რადგან მისი აზრით, თარგმანის ტექსტი გერმანულად არც დაწერილი იყო და არც გალექსილი, არც სწორად გააზრებული და დედნის გარეშე გაუგებარი.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მიწურულის ნაშრომები მოიცავს საკმაოდ მდიდარ ფაქტობრივ მასალას, თარგმანის სახეობათა სხვადასხვა კლასიფიკაციასა და პრაქტიკული რეკომენდაციებს, თუმცა მათში გამოთქმულია ეჭვი დედნის სრულყოფილად თარგმნის შესაძლებლობის შესახებ. ეს ტენდენცია ჩანს ფ. ბასის, იუ. კელერის, ფ. ნიცშეს და სხვ. მოსაზრებებში.

# ფრანგული რომანტიზმი და თარგმანის განვითარება

მართალია, XIX საუკუნის განმავლობაში ევროპული თარგმანის ცენტრად გერმანიარჩებოდა, მაგრამფრანგმა რომანტიკოსებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს დასავლეთ ევროპული თარგმანის განვითარებაში.

ფრანგი რომანტიკოსი პროსპერ მერიმე (1803-1870) დალმაციაში, ბოსნიაში, ხორვატიასა და ჰერცეგოვინაში ჩანერილ სიმღერთა კრებულში „გუზლა“ აღნიშნავდა, რომ საფრანგეთში დღითიდღე იზრდებოდა ინტერესი უცხოური, განსაკუთრებით ფრანგულისაგან განსხვავებული ფორმის თხზულებებისადმი.

ამ პერიოდისათვის ფრანგი მკითხველი გოეთეს „ფაუსტსა“ და ბიურგერის „ლენორას“ ჟერარ ნერვალის (1808-1855), ხოლო შექსპირის „ოტელოს“ ალფრედ დე ვინის (1797-1863) თარგმანებით გაეცნო.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჯონ მილტონის „დაკარგულ სამოთხის“ ფრანსუა რენე შატობრიანისეულ (1768-1848) პროზაულ (1836) თარგმანს. ფრანგული და ინგლისური ჟურნალების ფურცლებზე გამართულ პოლემიკას შეუერთდა პუშკინიც, რომლის აზრით, სიტყვასიტყვითმა თარგმანმა მთარგმნელი დედანს დააშორა.

მოგვიანებით კრიტიკაში არაერთხელ აღინიშნა, რომ ფრანგულ თარგმანებში ყველაზე ნაკლებად დედნის ინდივიდუალურ-სტილისტური თავისებურებანი იყო გათვალისწინებული, მკითხველს კი სჭირდებოდა თარგმანები, რომლებიც უცხოური პოეზიის ნიმუშთა სპეციფიკას გააცნობდა.

ამ ამოცანის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ალმანახ „ლიტერატურული პარნასის“ ირგვლივ გაერთიანებულმა პოეტთა ჯგუფმა, ე.წ. „პარნასელებმა“, რომელთა ლიდერმა ლეკონტ დე ლილმა ანტიკური პოეზიის ნიმუშები თარგმნა. მთარგმნელობითი საქმიანობით იყვნენ დაკავებული შარლ ბოდლერი და სტეფან მალარმე, დაინერა თეორიული ნაშრომებიც.

# XIX საუკუნის ინგლისური თარგმანი

ინგლისელები მთარგმნელობით ტრადიციებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ გერმანელებს, მაგრამ თარგმნის ტენდენციები, ძირითადად, ანალოგიური ჰქონდათ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ გავრცელდა **ჯორჯ ნიუმენის (1801-1890)** თეზისი, რომლის თანახმად, მთარგმნელს შეძლებისდაგვარად უნდა შეენარჩუნებინა დედნის ნებისმიერი, განსაკუთრებით თარგმანის მკითხველისათვის უჩვეულო, უცხო თავისებურებანი. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა პოეტმა **რობერტ ბრაუნინგმა (1812-1889)**, რომელიც ამტკიცებდა, რომ დედანზე სრული წარმოდგენის შექმნა მხოლოდ იმ თარგმანს შეუძლია, რომელიც დედნის სიტყვებთან ერთად მათ თანმიმდევრობასაც ინარჩუნებს. იგივე პოზიცია ჰქონდა პოეტსა და მხატვარს **დანტე გაბრიელ როსეტის (1828-1882)**, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მთარგმნელის საქმიანობა გარდაუვალი თვითუარყოფა იყო.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ამ მეთოდის წინააღმდეგ გამოვიდა პოეტი, კრიტიკოსი, და ჰომეროსის თხზულებათა მთარგმნელი **მეთიუ არნოლდი (1822-1888)**, რომელმაც მთარგმნელებსა და რიგით ინგლისელ მკითხველს ერთგვარი უნდობლობაც კი გამოუცხადა, რადგან თვლიდა, რომ იმის დადგენა, თუ რამდენად სწორად აღიქვა მთარგმნელმა დედანი და მიიტანა მკითხველამდე, მხოლოდ ძველი ბერძნული ენისა და პოეზიის მცოდნეს შეეძლო.

ინგლისში პარალელურად არსებობას განაგრძობდა თავისუფალი თარგმანი, რომლის თვალსაჩინო ნიმუშია **ედვარდ ფიცჯერალდის (1809-1883)** მიერ თარგმნილი ომარ ხაიამის რობაიები. **ბრაუნინგმა** ფიცჯერალდის ამ თარგმანებს მშვენიერი ინგლისური პოეზია უწოდა.

ინგლისურ კრიტიკაში არაერთხელ გამოითქვა აზრი თარგმანის, განსაკუთრებით პოეტური თარგმანის განუხორციელებლობის შესახებ. პოეტ-რომანტიკოს **პერსი ბილი შელისათვის (1834-1896)** პოეზიის თარგმნა იგივე იყო, რაც იის სურნელისა და ფერის ძირითადი პრინციპის ამოსაცნობად მისი ქოთანში ჩადება.

ინგლისში მხატვრული თარგმანის პრაქტიკაც ვითარდებოდა – **დანტე როსეტიმ** თარგმნა დანტე ალეგიერი და სხვა იტალიელი პოეტები; **უილიამ მორისმა (1834-1896)** - ისლანდიური საგები და ვერგილიუსის „ენეიდა“, **ელჯერ-**

ნონ მორისმა (1837-1909) ფრანგი პოეტები ფრანსუა ვიიონი და თეოფილ გოტიე და სხვ.

ასე შეიძლება დავახასიათოთ XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ქვეყანათა, კერძოდ, გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ზოგადი პრინციპები და ტენდენციები.

# XX საუკუნის მთარგმნელობითი აზროვნება

## XX საუკუნის თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ზოგადი დახასიათება

XX საუკუნეში თარგმანის პრობლემებზე გაცილებით მეტი ნაშრომი დაიწერა, ვიდრე მთელ მის წინამორბედ პერიოდებში. ეს იმდენად ვრცელი მასალაა, რომ მის უბრალო ჩამონათვალსაც კი ერთი წიგნი ვერ დაიტევს. ამიტომ XX საუკუნის პირველი ნახევრის მხოლოდ ზოგადი დახასიათებით შემოვიფარგლებით და აღვნიშნავთ, რომ თარგმანისადმი ინტერესი საუკუნის დასაწყისშივე საკმაოდ დიდი იყო და პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული მოვლენების გამო ეს ინტერესი რამდენადმე განელდა, მაგრამ 50-იანი წლებიდან განახლდა.

თარგმანის ისტორიაში დაიწყო აღმავლობის ხანა – ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია 1953 წელს მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის შექმნა, რომელსაც დაარსების დღიდან წლების განმავლობაში ფრანგი მწერალი, მთარგმნელი და თეორეტიკოსი პიერ ფრანსუა კაიე (1907) ხელმძღვანელობდა. ფედერაციის 1963 წლის სექტემბრის კონგრესზე მიიღეს „მთარგმნელის ქარტია“, რომლის ძირითადი დებულებების თანახმად, თარგმანს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი მოთხოვნები:

- ყველა თარგმანი დედნის ერთგული უნდა იყოს და მის შინაარსსა და ფორმას ზუსტად გადმოსცემდეს; ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველა მთარგმნელის იურიდიული და მორალური ვალდებულებაა;
- ზუსტი თარგმანი არ უნდა აგვერიოს სიტყვასიტყვით თარგმანში, რადგან სიზუსტე არ გამორიცხავს გარდაუვალ (აუცილებელ) ცვლილებებს, რომლებიც სხვა ენაზე, სხვა ქვეყანაში დედნის ფორმის, ატმოსფეროსა და სათქმელის გადმოცემის სპეციფიკით არის განპირობებული.
- მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს ენა, რომლიდანაც თარგმნის და რაც მთავარია, სრულყოფილად ფლობდეს ენას, რომელზედაც თარგმნის;
- ამასთან ერთად ფართო ზოგადი განათლებაც უნდა ჰქონდეს – კარგად იცნობდეს იმ საკითხებს, რომელზეც დედანშია. საუბარი და თავი შეიკავოს მუშაობისაგან მისთვის უცნობ სფეროში.

XX საუკუნე, განსაკუთრებით მეორე ნახევარი, იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ თარგმანის ცალკეულ სახეობათა სპეციალიზაციის საფუძველზე იწყება ახალ ნაირსახეობათა წარმოქმნა. გაცილებით მნიშვნელოვანი ხდება სამეცნიერო თარგმანი, იქმნება ბეჭდური თარგმანის სხვადასხვა სისტემა და სხვ.

აღნიშნულმა გარემოებებმა დიდი გავლენა იქონია მთარგმნელობითი აზროვნების განვითარებაზე. 50-60 იან წლებში თარგმანმცოდნეობამ, ერთგვარი ოფიციალური აღიარება მოიპოვა, როგორც განსაკუთრებულმა სამეცნიერო დისციპლინამ, რომელსაც აქვს შესწავლის საკუთარი ობიექტი, სტრუქტურა და მეთოდები.

# თარგმანის თეორიის განვითარება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

XX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპის თარგმანმცოდნეობაში ორი ძირითადი მიმართულება შეინიშნებოდა – ერთი მხრივ, გრძელდებოდა უცხოენოვანი მხატვრული ტექსტის გადმოცემის პრობლემათა ტრადიციულ ლიტერატურულ-ესთეტიკურ ასპექტში კვლევა, მეორე მხრივ, სწრაფად ვითარდებოდა საკუთრივ თარგმანის, როგორც ენათაშორისი კომუნიკაციის პროცესის ლინგვისტური თეორია. ორივე მიმართულების წარმომადგენელთა ინტერესთა სფეროები ხშირად იკვეთებოდა. რაც შეეხება ამოსავალ პრინციპებთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობას, 50-60-იანი წლების საბჭოთა მკვლევრებისაგან განსხვავებით, მწვავე ფორმა არ მიუღია.

დასავლეთ ევროპული თარგმანმცოდნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ედმონ კარი 1956 წელს ჟენევაში დასტამბულ წიგნში „თარგმანი თანამედროვე მსოფლიოში“ თარგმანს ლიტერატურათმცოდნეობითი პოზიციიდან განიხილავდა და ზოგადად ამ მიმართულების კანონზომიერებას ამტკიცებდა, თუმცა მოგვიანებით თარგმანის კვლევის ორივე პრინციპის სინთეზს არ გამოორიცხავდა.

ამავე წელს პარიზში გამოცემულ მონოგრაფიაში „მოლალატე ლამაზმანები“ („Неверные красавицы“) ფრანგი მკვლევარი ჟორჟ მუნენი მთარგმნელისაგან ფართო ზოგად ფილოლოგიურ და კულტურულ-ისტორიულ განათლებას მოითხოვდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კარგად თარგმნისთვის უცხო ენის ცოდნა არ იყო საკმარისი – მთარგმნელს ამ ენასთან დაკავშირებული კულტურა და ისტორია უნდა შეესწავლა, ლინგვისტთან ერთად კარგი ეთნოგრაფიც ყოფილიყო და ყველაფერი უნდა სცოდნოდა ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის შესახებ,

60-იან წლებში ინგლისელ მკვლევართაგან ყველაზე მეტი პოპულარობით თომას სეივორის „თარგმნის ხელოვნება“ სარგებლობდა. გამოკვლევის ავტორი ამტკიცებდა, რომ ყველასათვის მისაღები თარგმნის საერთო პრინციპები არ არსებობს. სპეციალისტები ერთ საერთო აზრამდე ჯერ არ მისულან, პირიქით, ისინი იმდენად ხშირად და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს, რომ უამრავი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება დატოვეს.

თარგმნის პრინციპების შესახებ გამოთქმული ეს მოსაზრებები თ. სეივორმა შემდეგი თანმიმდევრობით წარმოადგინა:

1. თარგმანი უნდა გადმოსცემდეს დედნის სიტყვებს;
2. თარგმანი უნდა გადმოსცემდეს დედნის იდეებს;
3. თარგმანი ორიგინალური ნაწარმოებივით უნდა იკითხებოდეს;
4. თარგმანი თარგმანივით უნდა იკითხებოდეს;
5. თარგმანში დედნის სტილი უნდა აისახებოდეს;
6. თარგმანში მთარგმნელის სტილი უნდა აისახებოდეს;
7. თარგმანი უნდა იკითხებოდეს როგორც ორიგინალის თანამედროვე ნაწარმოები;
8. თარგმანი უნდა იკითხებოდეს, როგორც მთარგმნელის თანამედროვე ნაწარმოები;
9. მთარგმნელს უფლება აქვს დედანში რაიმე ჩაამატოს ან ამოიღოს;
10. მთარგმნელს არ აქვს რაიმეს ჩამატების ან ამოღების უფლება;
11. ლექსი პროზად უნდა ითარგმნოს;
12. ლექსი ლექსადვე უნდა ითარგმნოს.

თ. სეივორის აზრით, სანამ თარგმნას შეუდგებოდეს, მთარგმნელმა შემდეგ სამ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი: 1) რას ამბობს ავტორი? 2) რა აქვს მხედველობაში? 3) როგორ საუბრობს ამაზე? – რაზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, თუ რა მოთხოვნებს წაუყენებენ თარგმანს და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი, რადგან მის ცალკეულ სახეობას განსხვავებული სპეციფიკა ექნება.

აღსანიშნავია, რომ თ. სეივორის ამ ნაშრომმა, მდიდარი ფაქტობრივი მასალათა და ყველასათვის მისაწვდომი ენით, არა მხოლოდ სპეციალისტთა, არამედ მკითხველთა ფართო წრის დიდი ინტერესიც დაიმსახურა.

ინგლისში იმავე პერიოდში გამოიცა ჯონ კეტფორდის ნიგნი „თარგმანის ლინგვისტური თეორია“, რომელიც, როგორც სათაურშივე ჩანს, ენათმეცნიერულ პრობლემატიკაზე იყო ორიენტირებული. ავტორის განმარტებით, თარგმანი ეს არის ერთი ენის ტექსტური მასალის მეორე ენის ეკვივალენტური ტექსტური მასალით შეცვლა. კეტფორდის აზრით, ეკვივალენტურობაზე საუბრისას უნდა განვასხვავოთ ტექსტური ეკვივალენტი და ფორმალური შესატყვისი. პირველ შემთხვევაში თარგმანის ტექსტი ან მისი ნაწილი განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილება, როგორც მოცემული ამოსავალი ტექსტის ეკვივალენტი; მეორე შემთხვევაში კი – იგულისხმება თარგმანის ენის ნებისმიერი ერთეული,

რომელსაც ამ ენის ინვენტარში დაახლოებით ისეთივე ადგილი უკავია, როგორც შესაბამის ერთეულს ამოსავალი ენის ინვენტარში. კეტფორდი ფორმალურ შესატყვისთა პირობითობაზეც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს: „რადგან ყველა ენა საბოლოოდ *sui generis*-ია (1. თავისთავადი, თვითმყოფადი, თავისებური; 2. ერთადერთი და განუმეორებელი, უნიკალური), მისი კატეგორიები მხოლოდ თვითონ ენაში არსებულ ურთიერთობათა ტერმინებით განისაზღვრება, ცხადია, ფორმალური შესიტყვებები ყოველთვის მიახლოებითია“.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გერმანელ თარგმანმცოდნეთა განსაკუთრებული ინტერესი თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიული ასპექტისადმი. ამ მხრივ აღსანიშნავია **ჰანს შტიორიგის** ქრესტომათია „თარგმანის პრობლემა“ (1963), რომელიც ანტიკური ხანიდან XX საუკუნის მეორე ნახევრამდე პერიოდს მოიცავს (თუმცა აქ მეტი ყურადღება მაინც გერმანელ ავტორებს ეთმობა).

ისტორიულ-მთარგმნელობითი პრობლემატიკის შესწავლის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა **რიჰარდ კლეპფერის** ნიგნმა „ლიტერატურული თარგმანის თეორია“ (1967), ასევე **ვ. სდუნის, რ. ვიტენჰოუს** და სხვ. ნაშრომებმა.

70-იან წლების გამოკვლევებიდან აღსანიშნავია **კატარინა რაისის** „ტექსტების კლასიფიკაცია და თარგმნის მეთოდები“, რომელშიც ავტორმა სათარგმნი მასალის ტიპთა ჟანრობროვ-სტილისტური კლასიფიკაცია შემოგვთავაზა. რაისი გერმანელი მკვლევრის **კ. ბიულერის** კონცეფციას (რომლის თანახმად, ენას აქვს 3 ფუნქცია – აღწერა, გამოხატვა და მიმართვა) დაყრდნობით გამოყოფს ტექსტების შემდეგ ტიპებს: 1) შინაარსზე ორიენტირებული ტექსტები (სამეცნიერო, საინფორმაციო, საქმიანი და სხვ.); 2) ფორმაზე ორიენტირებული ტექსტები (მხატვრული ლიტერატურა); 3) მიმართვაზე ორიენტირებული ტექსტები (ქადაგება, რეკლამა, პოლემიკა და სხვ). იგი გამოყოფს მეოთხე ტიპსაც, ე. წ. აუდიომედიალურ ტექსტებს, რომლებიც ენობრივთან ერთად გამოხატვის არაენობრივ (ტექნიკურ, აკუსტიკურ, ოპტიკურ) ფორმებსაც ითხოვენ – რადიო, ტელევიზია და სხვ. რაისის თანახმად, ტექსტის გადმოცემის მეთოდები დამოკიდებულია იმაზე, თუ ენათაშორისი ტრანსფორმაციის რომელ ტიპს მიეკუთვნება ამოსავალი ტექსტი.

თარგმანის თეორიული პრობლემები 70-იან წლებში ნიდერლანდებსა და ბელგიაშიც შეისწავლებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა **ჯ. პოლმსის** მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია, რომელშიც წარმოდგენილია თარგმნის ოთხი ტიპი: 1) თარგმანი, რომელიც ორიგინალის ფორმას ინარჩუნებს (მაგრამ სრული იდენტურობა

აქ შეუძლებელია); 2) თარგმანი, რომელიც მიმღებ კულტურაში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ორიგინალი ამოსავალ კულტურაში (ანუ ორიგინალის ანალოგიური ფორმების თარგმანი, რომელიც იმავე ეფექტს იწვევს, რასაც დედანი); 3) თავისუფალი თარგმანი, რომელშიც ორიგინალის იდეა ახლებურად არის წარმოჩენილი; 4) კვაზისათარგმნი ტექსტი, რომელიც ორიგინალისაგან სრულიად განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს და მასთან მხოლოდ ზოგიერთი რამ აქვს საერთო. ჯ. ჰოლმის თავს იკავებს მის მიერ შემოთავაზებული თარგმნის მეთოდების (როგორც ურთიერთგამომრიცხავის) შეფასებისგან, თუმცა აღნიშნავს, რომ მათგან ყველა ვერ მისცემს მთარგმნელს თავისი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას.

ჰოლმის კოლეგამ ა. ლეფვერმა რამდენადმე განსხვავებული კლასიფიკაცია შექმნა და ობიექტად, პირველ რიგში, პოეტური ტექსტი აირჩია: **ფონეტიკური**, რომელიც კარგად წარმოაჩენს მშობლიურ სიტყვებს შორის კავშირს და ბგერათრანანერს გადმოსცემს; **ზედმინვენიტი**, რომელიც ტექსტის აზრს გადმოსცემს, მაგრამ მის მხატვრულ ღირებულებას აუფერულებს; **ეკვირიტმული**, რომელიც ზომას ინარჩუნებს, მაგრამ ორიგინალის სინტაქსურ ნყობასა და აზრობრივ მხარეს ამახინჯებს; **პროზაული**, რომელიც აზრს ინარჩუნებს, მაგრამ ტექსტს პოეტურობას უკარგავს; **გარიტმული**, რომელსაც სიტყვების აზრობრივი მხარის დამახინჯებისა და მოსაწყენი პედანტიზმისკენ მივყავართ; **თეთრი ლექსით გადმოცემა**, რომელიც შინაარსსა და ლიტერატურულ დონეს ინარჩუნებს, მაგრამ მეტრულ თავისებურებათა გამო ხან ავრცობს, ხან კვეცს ტექსტს, რის შედეგადაც გაჭიანურებული და მოუქნელი ხდება; **თარგმანი-ინტერპრეტაცია** – დედნის ესა თუ ის ვერსია და იმიტაცია, რომლებშიც ორიგინალის თემა იმ მიზნით არის ინტერპრეტირებული, რომ იგი უფრო მისაწვდომი და ადვილად აღსაქმელი იყოს.

# აღმოსავლეთ ევროპის მთარგმნელობითი აზროვნება

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში (გასული საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან 80-იანის ბოლომდე) ე. წ. „სოციალისტური ბანაკის“ შემადგენლობაში იმყოფებოდა, ამიტომ მათზე საბჭოთა თარგმანმცოდნეობაში მიმდინარე პროცესების გავლენა აშკარად შეიმჩნევა. იქმნებოდა საკუთარ ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული ორიგინალური ნაშრომებიც, რომლებშიც საბჭოთა და დასავლური გამოცდილება იყო გათვალისწინებული. ამ მხრივ აღსანიშნავია ჩეხი მეცნიერის ირჟი ლევის „თარგმნის ხელოვნება“, რომელიც 1969 წელს გერმანულ, 1974-ში კი რუსულ ენაზე ითარგმნა. წიგნში თარგმანის ზოგად პრობლემებთან ერთად გაანალიზებულია სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრის (დრამა, პოეზია და სხვ.) თარგმნასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები.

თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე მუშაობდნენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც (1949-1989), სადაც საბჭოთა თარგმანმცოდნეობის გავლენა მეტ-ნაკლებად შეინიშნებოდა.

1954 წელს გდრ-ში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე **ალფრედ კურელამ**, სპეციალურ მოხსენებაში „თარგმანის თეორია და პრაქტიკა“, კოლევებს მოუწოდა, ძველი და ახალი თაობის გერმანულ მთარგმნელთა მიღწევებთან ერთად საბჭოთა თარგმანმცოდნეობის გამოცდილებაც გაეზიარებინათ. მისი აზრით, თარგმნა „ეს უბრალო კოპირება, ხელობა და ფილოლოგიის ნაწილი კი არა, ლიტერატურული შემოქმედების სახეობაა, ხოლო მთარგმნელი – მწერალი, მხატვარი...“ ა. კურელა მთარგმნელს შემდეგ მოთხოვნებს უყენებდა:

1. მთარგმნელი თავისუფლად და შემოქმედებითად უნდა ფლობდეს მშობლიურ ენას;
2. დაწვრილებით და ზუსტად იცოდეს რეალიები და
3. სიღრმისეულად წვდებოდეს სათარგმნი ტექსტის ენას.

კურელა საბჭოთა კოლეგის, „რეალისტური თარგმანის“ თეორიის ფუძემდებლის **ი. კაშკინის** ანალოგიურად, მთარგმნელისა და დედნის ავტორის ერთმანეთთან დამაკავშირებელ რგოლად ობიექტურ სინამდვილეს მიიჩნევდა. თარგმანის ენობრივ ასპექტებზე მსჯელობისას კი გერმანული მთარგმნელობითი ტრადი-

ციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ვ. ჰუმბოლტისა და ფ. შლაიერმახერის გავლენას განიცდიდა.

კურელასაგან განსხვავებით, მის თანამემამულე ოტო კადეს ნაშრომებში ენათაშორისი ტრანსფორმაცია კომუნიკაციის თეორიის პოზიციიდან, ანუ, პირველ რიგში, ლინგვისტურ ჭრილში განიხილება. კადე ე. წ. „მაკროლინგვისტური“ მიდგომის პრინციპის მომხრეა და თვლის, რომ აუცილებელია თარგმანის, როგორც სამეტყველო ქცევის განსაკუთრებული სახეობის, ენობრივი და არაენობრივი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური ასპექტების ურთიერთზემოქმედების გათვალისწინება.

70-80-იან წლებში თარგმანმცოდნეობა მნიშვნელოვნად გააქტიურდა ბულგარეთში – აქ, უპირატესად, აღსანიშნავია სიდერ ფლორინისა და სერგეი ვლახოვის ნაშრომი „უთარგმნელი თარგმანში“, რომელიც საბჭოთა კავშირში ორჯერ გამოიცა. ნიგნში მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით განხილულია ამოსავალი ტექსტის იმ ერთეულების (რეალიები, ფრაზეოლოგიზმები და სხვ.) გადმოცემის პრობლემები, რომელთაც თარგმანის ენაში ეკვივალენტები არ ეპოვებათ.

საყურადღებოა ს. ფლორინის პოპულარული ნიგნი „მთარგმნელობითი ტანჯვა(ნი)სატანჯველი“ („Муки переводческие“), რომელშიც ავტორი მდიდარი პირადი გამოცდილების საფუძველზე მოგვითხრობს მთარგმნელობითი საქმიანობის სპეციფიკაზე.

ყურადღებას იმსახურებს ანა ლილოვას ნიგნიც „თარგმანის ზოგადი თეორიის შესავალი“, რომელშიც საბჭოთა თარგმანმცოდნეობის, კერძოდ, ა. ფიოდოროვის ამავე სახელწოდების ცნობილი ნაშრომის გავლენა იგრძნობა.

აღნიშნულ პერიოდში თარგმანის პრობლემები აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიაც (პოლონეთში, იუგოსლავიაში და სხვ.) შეისწავლებოდა და თარგმანმცოდნეობის სხვადასხვა ასპექტისადმი მიძღვნილი ნაშრომები გამოიცემოდა.

# თარგმანმცოდნეობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

გასული საუკუნის 50-60-იან წლებში თარგმანის თეორია ინტენსიურად განვითარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში – იბეჭდებოდა ენათაშორისი კომუნიკაციების პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები, კრებულები, სტატიები და სხვ. ამ მხრივ აღსანიშნავია რომან იაკობსონის სტატია „თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესახებ“, რომელშიც ხაზგასმულია, რომ მეცნიერება ენის შესახებ ვერ შეძლებს ვერცერთი ლინგვისტური მოვლენის ინტერპრეტირებას ენის იმავე ან სხვა სისტემათა ნიშნების სხვა ნიშნებით თარგმნის გარეშე. როგორც იგი აღნიშნავს „ორი ენის ნებისმიერი შეპირისპირება მათი ურთიერთ-თარგმნადობის (рассмотрение их взаимной переводимости) განხილვას ვარაუდობს. ხოლო ფართოდ გავრცელებული ენათაშორისი კომუნიკაციის პრაქტიკა, კერძოდ, მთარგმნელობითი საქმიანობა, ლინგვისტური მეცნიერების მუდმივი მეთვალყურეობით უნდა წარიმართებოდეს. თარგმანს, რომელიც, იაკობსონის აზრით, სხვა ნიშნით თარგმნას ნიშნავს, აქვს შემდეგი ნაირსახეობანი:

1. შიდაენობრივი თარგმანი (შეცვლა), როდესაც ვერბალური ნიშნები იმავე ენის სხვა ნიშნების მიხედვით ინტერპრეტირდება;
2. შიდაენობრივი თარგმანი (საკუთრივ თარგმანი), როდესაც ვერბალური ნიშნები სხვა რომელიმე ენის ნიშნებით ინტერპრეტირდება;
3. სემიოტიკათაშორისი თარგმანი ან ტრანსმუტაცია, როდესაც ვერბალური ნიშნების ინტერპრეტირება არავერბალური ნიშნებით ხდება. იაკობსონის ამ კლასიფიკაციამ იმთავითვე სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო და არაერთ გამოკვლევაში იქნა გათვალისწინებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მის ფარგლებს გარეთ ენათაშორისი კომუნიკაციის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იუჯინ ნაიდასა და მისი კოლეგების მიერ ბიბლიის ეგზოტიკურ ენებზე (კერძოდ, ამერიკელი ინდიელების ენებზე) თარგმნის პრობლემების კვლევამ.

მკვლევრები გამოყოფენ თარგმნის სამ მეთოდს:

1. შეტყობინების ხასიათი;
2. ავტორის განზრახვა და მისგან გამომდინარე, მთარგმნელის, როგორც მისი ნდობით აღჭურვილი პირის, ამოცანები;
3. აუდიტორიის ტიპი. აღნიშნულ მეთოდებზე დაყრდნობით ნაიდა აყა-

ლიბებს თავისი კონცეფციის ძირითად დებულებებს: „ბუნებრივი თარგმანი უნდა აკმაყოფილებდეს: 1) თარგმანის ენისა და მთელი მისი კულტურის მოთხოვნებს; 2) მოცემული შეტყობინების კონტექსტს; 3) აუდიტორიას, რომლისთვისაც განკუთვნილია თარგმანი“. აქედან გამომდინარე, ნაიდა ფიქრობს, რომ ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს თარგმანის ამოცანებზე არსებული „ძველი“ და „ახალი“ თვალსაზრისი. მისი დაკვირვებით, ძველი კონცეფციის თანახმად, ყურადღება, პირველ რიგში, შეტყობინების ფორმაზე იყო ფიქსირებული, რადგან ძირითად ამოცანად თარგმანის დედნის სტილისტური თავისებურებების (რითმის, რიტმის, სიტყვათა თამაშის, უჩვეულო კონსტრუქციების) გადმოცემას ისახავდა. ახალი კონცეფცია კი ორიენტირებულია მიმღების რეაქციაზე, რომელიც აუცილებლად უნდა შევადაროთ ამოსავალი ტექსტის პირველადი მიმღების რეაქციას. შესაბამისად, უნდა გამოიყოს „ფორმალური“ ეკვივალენტურობა (შეტყობინებაზე ორიენტირებული) და დინამიკური (აღმქმელზე ორიენტირებული). თუმცა იქვე დასძენს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფორმალური ეკვივალენტურობის მეთოდით შექმნილ თარგმანებს დიდი ღირებულება აქვთ (მაგალითად, თუ ლაპარაკია ენობრივი ტექსტების სპეციალურად ლინგვისტური მიზნით გადმოცემაზე). საბოლოოდ კი უპირატესობას მაინც დინამიკურ ეკვივალენტურობას ანიჭებს, რადგან თვლის, რომ იმის დადგენა, თუ რამდენად სწორია თარგმანი, პირველ რიგში, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გასაგებია ის იმ აუდიტორიის საშუალო მკითხველისთვის, რომლისთვისაც არის გამიზნული. აქედან გამომდინარე, ნაიდას აზრით, არა მხოლოდ სავარაუდო, არამედ აუცილებელიცაა ისეთი თარგმანების არსებობა, რომლებიც კვალიფიცირებული იქნება, როგორც „სწორი“ – თუ ისინი აკმაყოფილებენ შესაბამისი აუდიტორიის მოთხოვნებს.

ნაიდა თვლის, რომ შეტყობინების შინაარსის შესანარჩუნებლად აუცილებელია მისი ფორმის შეცვლა, რამაც შეიძლება არსებითი ცვლილება შეიტანოს ამოსავალ ტექსტში, თუმცა მკვლევრისათვის სავსებით მისაღებია, მაგალითად, ახალი აღთქმის ინგლისურ „მოდერნისტულ“ ვერსიაში ორიგინალის „ნმინდა ამბორის“ ჩანაცვლება ინგლისურენოვანი აუდიტორიისათვის უფრო ახლობელი და ანალოგიური კულტურული ფუნქციით – „გულითადი ხელის ჩამორთმევა“.

ამერიკულ თარგმანმცოდნეობაში არანაკლები ყურადღება ეთმობოდა პოეტური თარგმანის თავისებურებებს – ამ მხრივ აღსანიშნავია რობერტ ბლაის „თარგმნის რვა საფეხური“ (1991), სადაც ავტორი თარგმნის პროცესს ეტა-

პობრივად, დედნის გაცნობიდან თარგმანის დასრულებამდე განიხილავს. მისი აზრით, თარგმანზე მუშაობის ყველა საფეხური ერთმანეთთან იმდენად არის გადაჯაჭვული, რომ მათ შორის ზღვარის გავლება შეუძლებელია. ბლასის ამ საფეხურებს შემდეგი თანმიმდევრობით განიხილავს: პირველი საფეხური – პნკარედის შედგენა, რომლის დროს პოეტური ტექსტის ჭეშმარიტი აზრის დაკარგვა გარდაუვალია; მეორე – ტექსტის აზრის გარკვევა, რაც შინაარსის იმ ასპექტების წვდომას გულისხმობს, რომლებიც ამოსავალი ტექსტის ენითა და კულტურით განისაზღვრება; სწორედ ამ ეტაპზე ხდება თარგმანზე შემდგომი მუშაობის საბოლოო გადანყვეტილების მიღება; მესამე – პნკარედის დამუშავება ანუ ამოსავალი ტექსტის „ჭეშმარიტი აზრის თავისებური აღდგენა“; მეოთხე – ამერიკული მთარგმნელობითი კულტურისთვის დამახასიათებელი სათარგმნი ტექსტის „ამერიკანიზაცია“, მისთვის ორიგინალის ენერჯიისა და მუხტის მისანიჭებლად; მეხუთე საფეხურის მთავარი ამოცანაა დედნის თავისებურებათა, მისი განწყობისა და აურის ამოცნობა და თარგმანში გადატანა, რაც მთარგმნელისაგან უდიდეს სტილისტურ ოსტატობას მოითხოვს; მეექვსე – ლექსის ყდერადობის ამოცნობა, რისთვისაც საჭიროა ამოსავალი ტექსტის ზეპირად სწავლა და საკუთარ თავთან და სხვებთან დეკლამირება, რათა სრულყოფილად შეიცნო დედნის ბგერა და რიტმი; მეშვიდე – ამ ეტაპზე (მთარგმნელს, განსაკუთრებით კი დამწყებს, საკმაოდ რთული დაბრკოლებების გადალახვა უხდება) თარგმანს აკონტროლებს მკითხველი-ბილინგვა, რომლისთვისაც დედნის ენა მშობლიურია და მას თარგმანის ტექსტში შეცდომებისა და ხარვეზების აღმოჩენა თითქმის ყოველთვის შეუძლია; და ბოლოს, მერვე ეტაპი – მთარგმნელი კვლავ უბრუნდება მის მიერ შექმნილ ყველა ვარიანტს, რათა არ გამოორჩეს ის მიგნებები, რომლებიც საბოლოო ტექსტში არ შეუტანია. ამ ეტაპზე სასურველია, მთარგმნელი დედნის სხვა არსებულ თარგმანებსა და მათ კომენტარებსაც გაეცნოს და ამით საკუთარი თარგმანი დაასრულოს.

ბლასამდე, 1988 წელს, პოეზიის თარგმნის პრობლემებზე გამოქვეყნდა ბ. რაფელის „პოეზიის თარგმნის ხელოვნება“, რომელშიც ავტორი აღნიშნავდა, რომ ორი იდენტური ენა არ არსებობს, შეუძლებელია ნებისმიერი შეტყობინების ერთი ენიდან მეორეზე სრულყოფილად გადატანა, რადგან თარგმანის ენაში დედნის ფონოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა და პროსოდია არ რეპროდუცირდება. ბ. რაფელის დაკვირვებით, იგივე შეიძლება ითქვას მათი მატარებელი ხალხის ისტორიული განვითარებითა და კულტურით განპირობებულ თავისებურებებზეც, მაგრამ თუ ენათაშორისი გადაცემა „ნაშთის“ გარეშე შეუძლებელია, მაშინ სავსებით შესაძლებელია ისეთი („კარგი“) თარგმანის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს აუდიტორიას. აქვე რაფელი გამოყოფს თარგმანის 4 ტიპს:

ზუსტს, ინტერპრეტირებულს, თავისუფალსა და იმიტაციურს. ზუსტ თარგმანს, ჩვეულებრივ, ქმნიან მეცნიერები, რომელთათვის მთავარია, თარგმანი სკურპულოზური სიზუსტით ინარჩუნებდეს ლექსის ფორმას და აცნობდეს მკითხველს ორიგინალის იდეებს, მის სოციალურ და ფილოსოფიურ კონცეპციას, მასში მოცემულ ისტორიულ ფაქტებს. აქ დედნისადმი ერთგულებას მისი მხატვრული მხარე ენირება. ინტერპრეტირებული თარგმანი, რომელიც ფართო მკითხველთვის არის გამიზნული, არსებითად, ორიგინალთან მიახლოებული ვერსიაა, რომელშიც გარკვეული ცვლილებების შეტანა – შეკვეცა და გამოტოვება დაშვებულია. რასაც ბ. რაფელი იმით ხსნის, რომ ორიგინალის სრულყოფილად გამოცემა ისედაც შეუძლებელია, ამიტომ ამ შემთხვევაში მთარგმნელი მკითხველს სთავაზობს საკუთარ წარმოდგენას თარგმანზე. რაც შეეხება თავისუფალ თარგმანს, მასში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი და ის გავრცობილი და განმარტებითი ხასიათისაა, თუმცა, როგორც ბ. რაფელი შენიშნავს, ამ ხერხით შედარებით ნაკლები მთარგმნელი სარგებლობს. დაბოლოს, – იმიტაციური თარგმანი, რომელიც ბ. რაფელისათვის უფრო ორიგინალური ნაწარმოებია, ვიდრე თარგმანი.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე ბ. რაფელი ასკვნის რომ, პირველ რიგში, აუცილებელია სათარგმნი ტექსტის ესთეტიკური ღირებულების შენარჩუნება.

ასეთია დასავლეთ ევროპული და ამერიკული თარგმანის ძირითადი ტრადიციები XX საუკუნის 90-იან წლებამდე